პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

22 თებერვალი **ორშაბათი** 2010

№042(13030) ფასი 60 თეთრი

# სტუმრების ხუთიდან ოთხი

## დამაჯერებელი, მაგრამ დამაფიქრებელი




» გვერდი 4-6

კვირას ეროვნულზე. დინამო-ვიტ ჯორჯია 1:2

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



# დაიწყო...

## კანკავას შემდეგ კალაძე და კანდელაკიც

» გვერდი 7 ლეგიონის უქმეები

# სკანდალური მატჩი სან სიროზე




## მილანმა მანჩესტერს ლივერპულში მოუგო




ინტერი-სამპდორია

» გვერდი 7-11 მსოფლიო ფეხბურთი

ლელოს სპეციალური კორესპონდენტები თენგიზ გაჩეჩილაძე და კახა ბერიძე ვანკუვერიდან

# მისასალმებელი წინსვლა დიდი მხარდაჭერით

## უისტლერში ნოდარ ქუმარიტაშვილის მემორიალი გაიხსნა

არა გვგონია, საგანგებოდ დაიგეგმა, მაგრამ ფაქტია: ვანკუვერში **ოთარ ჯაფარიძე-ელისონ ლინ რიდის** საციგურაო სარბიელზე გამოსვლა და უისტლერში **ნოდარ ქუმარიტაშვილის** მემორიალის გახსნა ერთმანეთს დაემთხვა. თუ არ ვცდებით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ოლიმპიადაზე დაღუპული სპორტსმენის მემორიალი უშუალოდ თამაშების დღეებში იხსნება. მემორიალთან ადამიანები გამუდმებით ანთებენ სანთლებს, რითაც პატივს მიაგებენ ქართველი ოლიმპიელის ნათელ ხსოვნას.

ოლიმპიურ სარბიელზე დებიუტის კვალობაზე, შეძლებდა თუ არა ქართული დუეტი ყინულზე ცეკვის სავალდებულო პროგრამაში ოსტატობის სრულყოფილად დემონსტრირებას, გარკვეულწილად დიდად იყო დამოკიდებული თვით ამ წყვილის წინასასტარტო განწყობაზე. მწვრთნელმა და შეგირდებმა ძალიან კარგად იციან, რომ სპორტის ამ სახეობაში სასწაულები არ ხდება, ისეთ გრანდიოზულ სპორტულ ფორუმზე, როგორიც ოლიმპიური თამაშებია, შესაძლებლობებს ცოტას თუ მაინც ვინმე წაუმატებს, უკვე მიღწევაა. ჩვენმა წყვილმა კი ეს შეძლო. პი-



კახა ბერიძის ფოტო

ელისონ ლინ რიდი და ოთარ ჯაფარიძე ვანკუვერის ყინულზე

რადი შედეგი გააუმჯობესა და სტარტამდე 23 ოლიმპიურ ფინალურ წყვილს შორის რეიტინგით თუ ბოლო იყო, სავალდებულო ასპარეზობის დასრულების შემდეგ 26,65 ქულით უკვე მე-20 ადგილზე გადაინაცვლა - ჩამოიტოვა დიდი ბრიტანეთის (25,68), ჩეხეთის (23,19) და ესტონეთის (21,73) წარმომადგენლები. რა თქმა უნდა, ეს მისასალმებელი წინსვლაა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვანკუვერის ოლიმპიადა მათთვის მხოლოდ მეოთხე ოფიციალური შეჯიბრებაა.

წინა რეპორტაჟებში ვწერდით, რომ ქართული დუეტი შებოჭილი არ იყო და პასუხისმგებლობის წნეხს არ განიცდიდა. რეალობიდან გამომდინარე, მათ მაღალ შედეგს არავინ უგეგმავდა. ჯაფარიძე-რიდის წყვილი არენაზე გამოჩნდა თუ არა, მაყურებელმა ოვაციით წაახალისა. ტრიბუნებზე ასეთ მხარდაჭერას მხოლოდ მასპინძელთა და ამერიკელთა გამოსვლისას გამოხატავდნენ. საქართველოს დელეგაცია კვლავაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გრძნობს თანადგომას, რომელმაც ახლა სპორტულ სარბიელზე გადაინაცვლა. ეს უმალვე გამოჩნდა მას შემდეგ, რაც ჩვენები ჩაერთვნენ ოლიმპიურ ტურნირში.

დღეს ოთარი და ელისონი ორიგინალური ცეკვების პროგრამაში ქართული ეროვნული სამოსითა და ფოლკლორით წარდგებიან. თანაც სარბიელზე პირველები გამოვლენ.

ჩვენებს გამოსვლა დამთავრებული ჰქონდათ, როცა **ირაკლი ჯაფარიძეს** ტელეფონით აცნობეს, რომ **ელენე გედევანიშვილი** და მისი მწვრთნელი **ვაგნერი** უკვე ჩამოვიდნენ ვანკუვერში და ოლიმპიურ სოფელში თუ დროზე დაბინავდებოდნენ, შეიძლებოდა, Pacific Coliseum-შიც მოესწროთ მოსვლა. ელენეც ხომ სულ მალე ამავე სარბიელზე ჩაებმება ასპარეზობაში.

გედევანიშვილმა პირველი ვარჯიში უკვე ჩაატარა. დღეს მწვრთნელს შევხვდებით და შევეცდებით, მასთან ინტერვიუ მოვამზადოთ.

უისტლერში ჩვენი სამთო-მოთხილამურეები სტარტამდე ბოლო საწვრთნელ ვარჯიშებს ატარებენ **გერა აბრამიშვილის** ხელმძღვანელობით. 23 თებერვალს გიგანტურ სლალომში **ჯაბა გელაშვილი** და **იასონ აბრამაშვილი** იასპარეზებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმამაღალი ფიქრები ვანკუვერზე და ვანკუვერამდე

# გახსოვდეთ გარდაცვლილები

ვანკუვერის ქუჩებში სეირნობა იოლი როდია. Canada Pleace-ისა და Waterfront Centre-ის მიდამოებში, იქ, სადაც კორდოვას ქუჩას კვეთს ბურარდის, ტრულოვისა და გრენვილის ქუჩები, დღის ნებისმიერ დროს თავისუფლად გავლა, ხალხმრავლობის გამო, საკმაოდ გაძნელებულია. საქმე ისაა, რომ ქალაქში ყველაზე ძალუმად აქ იგრძნობა ოლიმპიური მუხტი. სწრედ აქაა განთავსებული მთავარი პრესცენტრი და მაუწყებლობის საერთაშორისო შტაბი - ათი ათასმა ჟურნალისტმა აქ გაიარა აკრედიტაცია და ბევრი მათგანი ხშირად სტუმრობს ამ ორ უზარმაზარ შენობას, აქვე ანთია ოლიმპიური ცეცხლი. ტურისტთა და ცნობისმოყვარეთა დიდი ნაკადი სწორედ მისკენ მიემართება. ვის არ ნახავთ აქ - ფოტო და ვიდეოკამერებით, მობილურებით შეიარაღებულ ყველა ჯურისა და ასაკის ხალხს, მათ შორის საბავშვო თუ ინვალიდთა ეტლებით. ჩაცმულობას აღარ იკითხავთ? გვერდი-გვერდ დააბიჯებენ ზამთრის პირობაზე ჩათბუნებული და, თითქოს, საზაფხულოდ ზღვის კურორტზეაო - შორტებსა და მოკლესახელოიან მაისურაში გამოწყობილები.

გრენვილის ქუჩა ვანკუვერის ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო არტერიაა. აქ იპოვით მსოფლიოში ცნობილი ბრენდების ბუტიკებს, აქვეა ყველაზე დიდი სავაჭრო ცენტრი - ამერიკული Sears; მის გვერდით Granvill Pacific Moll-ია. სხვათა შორის, ვანკუვერში ყველაფერი Pacific-თან (წყნარი) ასოცირდება. აქ არის Pacific სანაპირო, ცენტრი, სავაჭრო სახლი, რგინიგზის სადგური, სპორტული არენა, სასტუმრო, მაღლივი შენობა, საათების მაღაზია და ათასი რამ კიდევ. და ერთიც - ყველგან და ყველაფერზე, სპორტთან და ოლიმპიზმთან რაიმე კავშირის მიუხედავად, თვალში გხვდებათ წარწერები - Go Canada Go!

ცხადია, თამაშების პერიოდში ქუჩა მხოლოდ ქვეითად მოსიარულეებს ეთმობათ. გვიან ღამემდე გრძელდება ჟივილ-ხივილი და ალიაქოთი. ქუჩის თეატრის სანახაობები, საცირკო წარმოდგენები, აკრობატთა გამოსვლები, ალმოსავლური ორთაბრძოლების ილეთები, პანტომიმა. საინტერესოა, რომ მაყურებლები, გამვლელ-გამომვლელნი თავად ერთვებიან მხიარულების პროცესში. შეხვდებით ჯგუფურად მოარულ პოლიციელებს - საინტერესოა, სად იპოვეს ასეთი გოლიათური აღნაგობის ხალხი, რომლებიც იოლად შედიან კონტაქტში მოსეირნეებთან. რაიმეს თუ ჰკითხავთ, ბევრი მათგანი მხრებს იჩეჩს - ბოდიში, არ ვიცი, ვანკუვერელი არ ვარო. სხვათა შორის, ღიმილს იწვევენ გადაჭედილ ქუჩაში ველოსიპედით წყვილებად მოარული პოლიციელები.

გარდა ევროპელი ტურისტებისა, არავინ აქცევს ყურადღებას იმას, რომ აქაური მეტროს მატარებლები (Sky Train) მემანქანის გარეშე მოძრაობენ. და, უნდა გითხრათ, გაოცებული ვარ მათი პუნქტუალური მუშაობით. თუმც უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ მგზავრთა ნაკადს ბაქნებზე მოხალისეები აკონტროლებენ და ხშირად დაინახავთ ქუჩაში ადამიანთა დიდ რიგებს, რომლებსაც მეტროს სადგურებში ჩასვლა სურთ.

და კიდევ ერთი - ბევრ ოლიმპიურ თამაშზე ვყოფილვარ და ასე ლიად ვაჭრობა ოლიმპიური ბილეთებით არსად შემხვედრია. გადამყიდველებს შეხვდებით ყველგან, ისინი მოურიდებლად გთავაზობენ და გაჩვენებენ კიდეც ამოსარჩევად ბილეთებს - ასე იყო თამაშების გახსნისას და ასე გრძელდება ახლაც. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა ჰოკეისა და ფიგურული ციგურაობის ბილეთებზე. პოლიციელი გვერდით დგას და ვითომც არაფერი...

ისე, აქაურ გადამყიდველებს, როგორც ჩანს, სინდისი მაინც აქვთ შერჩენილი - ნომინალურ ფასს მხოლოდ 15-20 პროცენტს თუ წაუმატებენ ხოლმე.

შეუძლებელია, იყო ვანკუვერში და არ მოინახულო სტენლის პარკი - ქალაქის საზღვრებში მოქმედ პარკთა შორის ის მსოფლიოში უდიდესია - 1000 აკრზე განფენილ პარკს კანადის გენერალ-გუბერნატორის, ლორდ სტენლის სახელი ეწოდა. პარკი ბურარდის ზოლს ესაზღვრება, ეს კი ის ადგილია, სადაც ამ ორასი წლის წინათ ევროპელებმა პირველად დადგეს ფეხი აქაურ მიწაზე. შუა თებერვალი პარკში სეირნობის მთლად მოსახერხებელი დრო ნამდვილად არ არის, მაგრამ იქ მარტოც არ ვყოფილვარ - ზოგი დარბოდა, მეტნი - 4-5 წლის ასაკიდან დაწყებული და ჭარმაგობას მიღწეულნი, ველოსიპედებით სეირნობდნენ. შეყვარებულ წყვილებსაც მოჰკრავდით თვალს, მოხუცებსა და ინვალიდებს მომვლელები ასეირნებდნენ, მათ რუსულ ენაზე საუბარსაც რამდენჯერმე მოვკარი ყური.

იცით, რამ მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება? ისევე, როგორც ყველგან და ყველა პარკში, აქაც მრავლადაა დასასვენებელი ძელსკამები. ბევრ მათგანზე დატანებულია დაახლოებით 30-35 სმ სიგრძის და 5-7 სმ სიგანის რკინის შავი ფილა, რომელზეც ამოტვიფრულია მიცვალებულის მოსახსენიებელი სიტყვები დაბადებისა და გარდაცვალების თარილის მინიშნებით და ცნობა, თუ ვისგანაა სამგლოვიარო ფილა. არ გეგონოთ, გარდაცვლილნი ცნობილი ადამიანები იყვნენ - ისინი ჩვეულებრივი ბებიები და ბაბუები, დედები და მამები, დები და ძმები, მეგობრები არიან.

ამ ძელსკამებზე ხომ ჩამოსხდებიან შეყვარებულებიც, მოხუცებიც, ბავშვებიც, ახალგაზრდებიც, ტურისტებიც, ინვალიდებიც, ჭკვიანებიც და შერეკილებიც, ჰოდა, ყველა მათგანი ამ ფორმით გაიგებს იმქვეყნად დროულად თუ უდროოდ წასულ მათთვის უცნობი ადამიანის ვინაობას. ბევრი პატივსაც მიაგებს, ალბათ...

ჩემი ერთი სისუსტე და, გარკვეულწილად, უცნაურობაც უნდა ვაღიარო - მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ბევრ ქალაქში, სადაც კი შესაძლებლობა მომეცემოდა, აუცილებლად მოვინახულებდი სასაფლაოებს, ცხადია, პარკებშიც დავსეირნობდი, მაგრამ მსგავსი არსად შემხვედრია.

**ემზარ ზენაიშვილი**
ვანკუვერიდან



ტრამპლინიდან ხტომა



# ოთხგზის ამანი

მეორე მედალი გაითამაშეს ვანკუვერში ტრამპლინიდან მხტომელებმა - ისინი გრძელ ტრამპლინში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

რა თქმა უნდა, საყოველთაო ყურადღება საშუალო ტრამპლინის ტრიუმფატორ **სიმონ ამანისკენ** იყო მიპყრობილი. შვეიცარიელი ბრწყინვალე ფორმაშია, მაგრამ მარტო ამით არ იყო მის მიმართ ინტერესი გამოწვეული. ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამანის თხილამურების ახალმა სამაგრებმა, რომელიც თითქოს აკრძალული იყო სათხილამურო ფედერაციის მიერ. ავსტრიის ნაკრების ხელმძღვანელობამ ფედერაციაში ჩივილი გადაწყვიტა, შემდეგ კი გადაიფიქრა. ბუნებრივია, ეს ნაბიჯი ამანზე ფსიქოლოგიურ შეტევას ემსახურებოდა, მაგრამ შვეიცარიელის განწყობაზე ამას არ უმოქმედია.

თავიდან ფინელმა **მატი ჰაუტამიაკიმ** გაისროლა, რომელიც 134 მეტრზე გადახტა და სერიოზული განაცხადი გააკეთა მედალზე. პირველი ცდისას ავსტრიელებს ხელი მოეცარათ - **კოფლერი** მეოთხე იყო, **შლირენცაუერი** - მეხუთე. პირველ ორ ადგილზე კი ის მხტომელები განლაგდნენ, რომლებმაც საშუალო ტრამპლინზე გამოიჩინეს თავი - **ადამ მალიში** და სიმონ ამანი, ვინც სოლიდური უპირატესობით დაწინაურდა.

ალბათ, ბევრს არ ახსოვს, რომ 2002 წელს სოლტ-ლეიკ-სიტიში დიდ ტრამპლინზე საპრიზო სამეული ასე გამოიყურებოდა - ამანი, მალიში, ჰაუტამიაკი. სწორედ ასე იყვნენ ეს მხტომელები განლაგებულნი პირველი ცდის შემდეგ. ფინელმა მეორე ნახტომი ჩააგდო და საუკეთესო ექვსეული მიღმა აღმოჩნდა. სოლტ-ლეიკ-სიტის პოდიუმი ვანკუვერში საშუალო ტრამპლინის პოდიუმად გადაიქცა - ისევე როგორც ერთი კვირის წინ, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ამანმა, მალიშმა და შლირენცაუერმა მოიგეს. ნახტომების აღწერას აზრი არ აქვს. ამანმა უბრალოდ გაიმარჯვა და ყველა დროის ლეგენდარულ სპორტსმენებს შორის დაიკავა ადგილი. შვეიცარიელმა გაიმეორა ლეგენდარული ფინელი **მატი ნიუკანენის** რეკორდი, რომელიც ასევე ოთხი ოქროს მფლობელი იყო, მაგრამ ამანი "მფრინავ ფინალზე" მაღლა დგას თუნდაც იმიტომ, რომ ოთხივე ჩემპიონობა ინდივიდუალური პირველობებისას მოიპოვა, ნიუკანენმა კი ერთი ოქრო გუნდურ შეჯიბრში აიღო.

ადამ მალიშმა მეოთხე ოლიმპიური მედალი მოიგო, მაგრამ პოლონელს ოქრო არ აქვს და არც ექნება, რადგან ის ოთხი წლის შემდეგ სოჭში გამოსვლას აღარ აპირებს.

ტრამპლინისტებს წინ გუნდური პირველობა ელით. იქ ამანი ოქროს ვერ მოიგებს, რადგან სათანადო დონის პარტნიორები არ ჰყავს. ყველა ავსტრიელთა პირველობას ელოდება.

**K-125**

1. სიმონ ამანი (შვეიც) - 283,6; 2. ადამ მალიში (პოლ) - 269,4; 3. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) - 262,2; 4. ანდრეას კოფლერი (ავსტრია) - 261,2; 5. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) - 246,7; 6. მიხაელ ნოიმაიერი (გერ) - 245,5...

**გია თვალაბეიშვილი**

სკელეტონი

# პირველი ოქრო 30 წლის შემდეგ

პირველად 30 წლის განმავლობაში დიდმა ბრიტანეთმა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა ინდივიდუალურ პირველობაში.

ინგლისელებს ნანატრი გამარჯვება 27 წლის სკელეტონისტმა **ემი უილიამსმა** მოუტანა, რომელმაც ოთხი ცდის ჯამში 3 წუთი 35,64 წამი აჩვენა და პირადი რეკორდი დაამყარა.

*"ეს ისტორიული მომენტია. არ მეგონა, თუ პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ვიდგებოდი, - განაცხადა დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ უილიამსმა. - ყველაფერი თითქოს ბურუსით იყო მოცული. მეოთხე ცდის დიდი ნაწილი საერთოდ არ მახსოვს. მხოლოდ ის დავინახე, რომ ფინიშის შემდეგ შეჯიბრის დირექტორ ენდი შმიდს გაღიმებული სახე ჰქონდა. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ შედეგი კარგი უნდა ყოფილიყო".*

ბრიტანეთიდან თეთრი ოლიმპიადის ბოლო ჩემპიონი ცნობილი მოციგურავე **რობინ კაზინსი** იყო, რომელმაც ოქროს მედალი 1980 წელს ლეიკ-პლესიდში მოიპოვა.

1984 წელს სარაევოს ოლიმპიადაზე მოციგურავეების - **ჯეინ ტორვილისა** და **კრისტოფერ დინის** დუეტმა ცეკვებში მოიპოვა პირველობა, მაგრამ ეს არ ყოფილა ინდივიდუალური გამარჯვება. გარდა ამისა, 2002 წელს ბრიტანეთის ქალ ქიორლინგისტთა ნაკრებმა პირველობა მოიპოვა სოლტ-ლეიკ-სიტიში.

**კაცები**

1. ჯონ მონტგომერი (კან) - 3:29,73; 2. მარტინს დუკურსი (ლატ) - +0,07; 3. ალექსანდრ ტრეტიაკოვი (რუს) - +1,02; 4. ტომას დუკურსი (ლატ) - +1,40; 5. ზაკ ლუნდი (აშშ) - +1,54; 6. კრისტიან ბრომლი (ბრიტ) - +1,57...

**ქალები**

1. ემი უილიამსი (ბრიტ) - 3:35,64; 2. კერსტინ შიმკოვიაკი (გერ) - +0,56; 3. ანია ჰუბერი (გერ) - +0,72; 4. ნოელ პიკუს-პეისი (აშშ) - +0,82; 5. მელისა ჰოლინგსვორტი (კან) - +0,96; 6. შელი ლუდმანი (ბრიტ) - +1,05...

**გია თვალაბეიშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ციგურებით სირბილი

# შენი დევისმა ჰოლანდიელთან წააგო



ციგურებით სირბილში 1500 მეტრი უნივერსალური დისციპლინაა - რაღაც საშუალო სტაიერულ 5000 მეტრსა და "გრძელ" სპრინტს შორის. ამიტომაც გუშინ რიჩმონდის "ოვალზე" სპორტის ამ სახეობის ყველა ვარსკვლავმა მოიყარა თავი, რომლებიც სხვადასხვა დისტანციაზე სპეციალიზდებიან.

ვარსკვლავური კომპანიიდან პირველი სტარტზე 5000 მეტრზე ვანკუვერის ოლიმპიადის ჩემპიონი, ჰოლანდიელი **სვენ კრამერი** გავიდა და პირველი მეტნაკლებად სერიოზული ორიენტირი დააწესა - 1.47,40. თუმცა ცხადი იყო, რომ ამ დროს აუცილებლად გააუმჯობესებდნენ, თანაც არაერთხელ. კრამერისთვის 1500 მეტრზე გარბენი მნიშვნელოვანი იყო 10 ათას მეტრზე მოსამზადებლად.

საბოლოოდ, კრამერის დრო თორმეტმა მოციგურავემ გააუმჯობესა, მედლების ბედი კი ბოლო სამ გარბენში გადაწყდა. ფანტასტიკური გამოვიდა ჰოლანდიელი **მარკ ტუიტერტისა** და ნორვეგიელი **ჰავარდ ბოკოს** დუელი. იმ დღეს ტუიტერტი აღმოჩნდა ერთადერთი მოციგურავე, ვინც დისტანცია წუთსა და 46 წამზე ნაკლებ დროში დაფარა. როგორც გაირკვა, ამ გარბენში მონაწილეობდა ჩემპიონი და ბრინჯაოს მედლის მფლობელი.

ტუიტერტის დროის გაუმჯობესება ვერავინ შეძლო. თანამედროვე ციგურაობის ერთ-ერთმა მთავარმა ვარსკვლავმა, 1000 მეტრზე ვანკუვერის ჩემპიონმა **შენი დევისმა** მხოლოდ ის მოახერხა, რომ ბოკოს დრო გააუმჯობესა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. დისტანციის პირველ ნახევარში შენი სულ ცოტას აგებდა ტუიტერთან, მაგრამ ფინიშზე ჩამორჩენა გაიზარდა და ბოლოს ნახევარ წუთზე მეტი შეადგინა. ვინ იცის, იქნებ დევისის მიერ ნაჩვენებ დროზე იმანაც იმოქმედა, რომ მას გარბენისას ძლიერი კონკურენტი არ ჰყოლია. კანადელი **ლუკას მაკოვსკი** სტარტზევე ჩამორჩა ამერიკელს და საბოლოოდ, მე-14 შედეგი აჩვენა. ნებისმიერ შემთხვევაში, დევისმა, ისევე როგორც ოთხი წლის წინ, ვერცხლის მედალი მოიგო, რაც ცუდი შედეგი არ არის.

**1500 მ. კაცები**

1. **მარკ ტუიტერტი** (ჰოლ) - 1:45,57; 2. **შენი დევისი** (აშშ) - +0,53; 3. **ჰავარდ ბოკო** (ნორ) - +0,56; 4. **ივან სკობრევი** (რუს) - +0,85; 5. **ტაე-ბუი მო** (ს. კორ) - +0:90; 6. **ჩედ ჰედრიკი** (აშშ) - +1:12...

მედლების ცხრილი

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 6 | 7 | 10 | 23 |
| 2. ნორვეგია | 5 | 3 | 3 | 11 |
| 3. გერმანია | 4 | 6 | 4 | 14 |
| 4. ს. კორეა | 4 | 4 | 1 | 9 |
| 5. კანადა | 4 | 3 | 1 | 8 |
| 6. შვეიცარია | 4 | 0 | 1 | 5 |
| 7. შვედეთი | 3 | 1 | 2 | 6 |
| 8. ჩინეთი | 3 | 1 | 1 | 5 |
| 9. ავსტრია | 2 | 2 | 3 | 7 |
| 10. საფრანგეთი | 2 | 1 | 4 | 7 |
| 11. ჰოლანდია | 2 | 1 | 1 | 4 |
| 12. რუსეთი | 1 | 2 | 2 | 5 |
| 13. ავსტრალია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 13. სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 15. ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 16. ბრიტანეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 17. პოლონეთი | 0 | 3 | 1 | 4 |
| 18. ლატვია | 0 | 2 | 0 | 2 |
| 19. იტალია | 0 | 1 | 3 | 4 |
| 20. იაპონია | 0 | 1 | 2 | 3 |
| 21. ბელარუსი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 21. სლოვენია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 23. ყაზახეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 23. ფინეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 23. ესტონეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 26. ხორვატია | 0 | 0 | 1 | 1 |

**ჰოკეი**

**ქალები. 5-8-ე ადგილები**

**შვეიცარია-ჩინეთი 6:0**

2:0, 2:0, 2:0

გოლები: 1:0 ლემანი (ს. მარტი), 2:0 ს. მარტი, 3:0 ნუსბუამი (ლ. მარტი, ლემანი), 4:0 ს. მარტი (ლემანი, ლეიმგრუბერი), 5:0 ს. მარტი (ლემანი, მაიერი), 6:0 ს. მარტი (ლეიმგრუბერი, ბენცი).

**რუსეთი-სლოვაკეთი 4:2**

2:0, 1:1, 1:1

გოლები: 1:0 სოტნიკოვა (ლებედევა), 2:0 გავრილოვა (სერგინა, სმოლენცევა), 2:1 პრავლიკოვა (ველიკოვა), 3:1 ტერენტიევა (კაპუსტინა, დიუბანოკი), 3:2 კაპუსტოვა (ველიკოვა), 4:2 გავრილოვა.

**ქერლინგი**

**ქალები**

V ტური

| | |
|---|---|
| გერმანია-ბრიტანეთი | 4:7 |
| რუსეთი-აშშ | 4:6 |
| ჩინეთი-დანია | 11:1 |

VI ტური

| | |
|---|---|
| დანია-კანადა | 4:5 |
| შვედეთი-ჩინეთი | 6:4 |
| ბრიტანეთი-იაპონია | 4:11 |
| შვეიცარია-რუსეთი | 8:5 |

VII ტური

| | |
|---|---|
| შვედეთი-რუსეთი | 1:10 |
| აშშ-ბრიტანეთი | 6:5 |
| დანია-შვეიცარია | 7:8 |
| გერმანია-ჩინეთი | 7:9 |

სატურნირო მდგომარეობა: 1. კანადა - 4 მოგება/0 წაგება; 2. შვედეთი - 4/1; 3. ჩინეთი - 4/2; 4. ბრიტანეთი - 3/3; 5. იაპონია - 2/2; 6. გერმანია - 2/3; 6. აშშ - 2/3; 6. შვეიცარია - 2/3; 9. რუსეთი -2/4; 10. დანია - 1/5.

**კაცები**

VI ტური

| | |
|---|---|
| გერმანია-შვეიცარია | 7:6 |
| დანია-კანადა | 3:10 |
| საფრანგეთი-აშშ | 3:4 |
| ნორვეგია-ჩინეთი | 7:5 |

VII ტური

| | |
|---|---|
| ნორვეგია-დანია | 6:3 |
| საფრანგეთი-გერმანია | 4:9 |
| ჩინეთი-ბრიტანეთი | 4:9 |
| შვედეთი-აშშ | 7:8 |

VIII ტური

| | |
|---|---|
| შვეიცარია-ჩინეთი | 9:5 |
| შვედეთი-საფრანგეთი | 4:5 |
| კანადა-ბრიტანეთი | 7:6 |

სატურნირო მდგომარეობა: 1. კანადა - 6 მოგება/0 წაგება; 2. ნორვეგია - 5/1; 3. შვეიცარია - 4/2; 4. გერმანია - 3/3; 4. ბრიტანეთი - 3/3; 4. შვედეთი - 3/3; 7. საფრანგეთი - 2/4; 7. აშშ - 2/4; 9. დანია - 1/5; 9. ჩინეთი - 1/5.

**ბობსლეი**

**კაცები. ორადგილიანი**

1. გერმანია-1 (ანდრე ლანგე, კევინ კუშკე) - 1:43,31; 2. გერმანია-2 (ტომას ფლორშუტცი, რიჩარდ აჯეი) - +0,11; 3. რუსეთი-1 (ალექსანდრ ზუბკოვი, ალექსეი ვოევოდა) - +0,50; 4. აშშ-1 - +0,62; 5. შვეიცარია-1 - +0,63; 6. კანადა-2 - +0,75...

**ფრისტაილი**

**აკრობატიკა. ქალები**

1. ალა ცუპერი (ბლრ) - 195,76; 2. ნი ნა ლი (ჩინ) - 192,10; 3. სინ სინ გო (ჩინ) - 189,16; 4. შუ ან ჩენგი (ჩინ) - 180,91; 5. ემილი კუკი (აშშ) - 180,25; 6. ლეისი შნური (აშშ) - 169,51...

თხილამურებით რბოლა

# ბიორგენის მეორე ოქრო

თხილამურებით მორბენლებს მორიგი დისციპლინა გამოდევნებით რბოლა ჰქონდათ, რომელსაც მეორენაირად დუატლონს უწოდებენ. ეს სახელი იქიდან გამომდინარეობს, რომ სპორტსმენები ნახევარ დისტანციას კლასიკური სტილით გადიან, მეორე ნახევარს - თავისუფალი სტილით, შუაში კი სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე თხილამურებს იცვლიან.

ტრამპლინიდან მხტომელი **სიმონ ამანის** გარდა, ვანკუვერის ოლიმპიადის ერთ-ერთი მთავარი გმირის სახელზე ნორვეგიელი მორბენალი ქალი **მარიტ ბიორგენი** აცხადებს პრეტენზიას. ინდივიდუალურ რბოლაში წარუმატებლობის შემდეგ (თუ შეიძლება ბრინჯაოს მედლის მოპოვებას წარუმატებლობა ეწოდოს), მან დამაჯერებლად მოიგო სპრინტი, ახლა კი დუატლონში იოლად აიღო ოქრო.

ბიორგენი ორივე სტილით სირბილისას ბრწყინვალედ გამოიყურებოდა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მისი გაქცევა ბოლო წრეზე. კონკურენტები ბევრს ეცადნენ ლიდერის დაწევას, მაგრამ ნორვეგიელის დღევანდელი ფორმის გათვალისწინებით მასთან ბრძოლა შეუძლებელი ჩანს.

■ ■ ■

ნორვეგიელებს ამ დისციპლინაში მამაკაცებს შორისაც ჰქონდათ წარმატების მიღწევის იმედი. წინა დისციპლინებში ჩავარდნის შემდეგ, სეზონის ლიდერ **პეტერ ნორტუგისგან** ჩვეულ დონეზე გამოსვლას ელოდნენ.

სწორედ ნორტუგი იყო დაწინაურებულთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, რომელიც პელოტონს გამოეყო და მედლები გაითამაშა. ამ ჯგუფში ორი შვედი - **მარკუს ჰელნერი და იოჰან ოლსონი,** რუსი **ალექსანდრ ლეგკოვი** და გერმანელი **ტობიას ანგერერი** შედიოდა. როგორც ჩანს, ნორტუგი მართლაც ცუდად მომზადებული შეხვდა ამ ოლიმპიადას, რადგან ზედიზედ მესამე დისციპლინა ჩააგდო. ნორტუგი იყო პირველი, ვინც მედლებისთვის ბრძოლას ჩამოშორდა და საბოლოოდ, 40 წამზე მეტი წააგო გამარჯვებულთან.

საფინიშო სპურტი პირველმა ჰელნერმა დაიწყო და ისეთი ტემპი აკრიფა, რომ მისი დაწევა ვერავინ შეძლო. ანგერერი მეორე იყო და ძალიან კმაყოფილიც დარჩა ვერცხლის მედლით, რადგან ვეტერანს შვედთან გამკლავების შანსი არ ჰქონდა. საპრიზო სამეულში მოხვდა კიდევ ოლსონი, რომელიც თავიდან გუნდური ტაქტიკით მოქმედებდა - მას ნაადრევად გაქცევა და ამით მეტოქეების დაღლა ჰქონდა დავალებული, რასაც შვედმა კარგად გაართვა თავი. მისი დამსახურებაა, რომ კონკურენტებმა ვერ შეძლეს ჰელნერის დაწევა.

**დუატლონი. 15 კმ. ქალები**

1. **მარიტ ბიორგენი** (ნორ) - 39:58,1; 2. **ანა ჰააგი** (შვედ) - +8,9; 3. **იუსტინა კოვალჩიკი** (პოლ) - +9,3; 4. **კრისტინ სტეირა** (ნორ) - +09:40; 5. **აინო კაისა საარინენი** (ფინ) - +42:50; 6. **ტერეზა იუჰაუგი** (ნორ) - +51:90...

**დუატლონი. 30 კმ. კაცები**

1. **მარკუს ჰელნერი** (შვედ) - 1:15:11,4; 2. **ტობიას ანგერერი** (გერ) - +02,1; 3. **იოჰან ოლსონი** (შვედ) - +02,8; 4. **ალექსანდრ ლეგკოვი** (რუს) - +4,0; 5. **ივან ბაბიკოვი** (კან) - +9,1; 6. **იენს ფილბრიხი** (გერ) - +13,6...

ბიატლონი

## ბიორნდალენი სოჭში მიდის

ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი ბიატლონისტი **ოლე ეინარ ბიორნდალენი** 2014 წელს სოჭის ოლიმპიადაზე გამოსვლას აპირებს.

**"სოჭში გამოსვლა მაქვს გადაწყვეტილი"**, - განაცხადა ნორვეგიელმა ინდივიდუალური რბოლის შემდეგ, სადაც ვერცხლის მედალი მოიგო. თუ ბიორნდალენი დანაპირებს შეასრულებს, ეს მისთვის მეექვსე ოლიმპიადა იქნება კარიერაში.

გამოდევნებით რბოლაში ლეგენდარულმა ნორვეგიელმა მხოლოდ თანამემამულე **ემილ-ჰეგლე სვენდსენთან** წააგო. *"ჩემთვის მთავარია რბოლისგან სიამოვნების მიღება, მნიშვნელობა არ აქვს, ვერცხლის მედალს მოვიგებ თუ ოქროს"*, - აღიარა მან.

დოპინგი

## სუფთა ოლიმპიადა

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ აქამდე ჩატარებულ დოპინგტესტებს აკრძალული პრეპარატების გამოყენების ფაქტი არ გამოუვლენია.

შაბათის მონაცემებით, ვანკუვერში უკვე 1363 სპორტსმენი შეამოწმეს, სულ კი 2500-მდე დოპინგ-ტესტის გამართვაა დაგეგმილი. *"ყოველ ახალ ოლიმპიადაზე ვზრდით ტესტების რაოდენობას, ჩვენი შემოწმებები უფრო მრავალმხრივი ხდება.... რა თქმა უნდა, მოხარულები ვართ იმის გამო, რომ სპორტსმენები აკრძალულ პრეპარატებს არ იყენებენ"*, - ამბობს ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელი **მარკ ადამსი**.

ამ მომენტისთვის ვანკუვერში ანტისადოპინგო კანონმდებლობის ერთადერთ დარღვევად ითვლება ეპიზოდი, რომელიც რუსეთის ქალ ჰოკეისტთა ნაკრების მცველ **სვეტლანა ტერენტიევას** უკავშირდება. ეს სპორტსმენი გაციების საწინააღმდეგოდ იყენებდა წამალს, რომელიც აკრძალულ პრეპარატს შეიცავდა.

შორტ-ტრეკი

# აპოლო 7

მორიგი ორი ფინალი გაიმართა შორტტრეკისტთა ტურნირზე, რის შემდეგაც ამერიკული სპორტის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა დაფიქსირდა. ამ ქვეყნის წარმომადგენელმა **აპოლო ანტონ ონომ** კარიერაში მეშვიდე ოლიმპიური მედალი მოიპოვა, რაც ამ ქვეყნის არც ერთ ათლეტს არ გაუკეთებია. ონოსთვის ეს მესამე ოლიმპიადაა და ახლა მის ანგარიშზე ორი ოქრო, ორი ვერცხლი და სამი ბრინჯაო მოდის. აქამდე აპოლო მედლების რაოდენობით ლეგენდარულ ამერიკელ მოციგურავეს **ბონი ბლეირს** უტოლდებოდა.

გუშინ ონოს ბრინჯაოზე უფრო მაღალი სინჯის მედლის მოგების შანსი არ ჰქონდა. 1000 მეტრის ფინალში მას ორი კორეელისა და ორი კანადელის წინააღმდეგობის დაძლევა უწევდა. ამერიკელი მეზობლებს კი გაუმკლავდა, მაგრამ ბრწყინვალედ მოციგურავე **იუნ-სუ ლისა და ჰო-სუკ ლის** ვერაფერი დააკლო. აზიელები ფინიშამდე სამი წრით ადრე აგებდნენ კანადურ დუეტთან, მაგრამ შემდეგ ფანტასტიკური სპურტით გაასწრეს კონკურენტებს და ფინიშზე პირველობა გაითამაშეს. ვანკუვერში ორგზის ჩემპიონი გახდა იუნ-სუ ლი.

**1500 მ. ქალები**

1. **იან ჟოუ** (ჩინ) - 2:16,993; 2. **იუნ-ბიუნ ლი** (ს. კორეა) - 2:17,849; 3. **სიუნ ჰი პაკი** (კ. კორ) - 2:17,927; 4. **კატერინ რეიტერი** (აშშ) - 2:18,396; 5. **ჰა-რი ჩო** (ს. კორ) - 2:18,831; 6. **ერიკა ჰუზარი** (უნგ) - 2:19,251...

**1000 მ. კაცები**

1. **იუნ-სუ ლი** (ს. კორ) - 1:23,747; 2. **ჰო-სუკ ლი** (ს. კორ) - 1:23,801; 3. **აპოლო ანტონ ონო რნრ** (აშშ) - 1:24,128; 4. **შარლ ჰემლინი** (კან) - 1:24,329; 5. **ფრანსუა ჰემლინი** (კან) - 1:25,206; 6. **ჟია ლიან ჰანი** (ჩინ).



ჰოკეი

# სელიანემ ხარლამოვს გაასწრო

გასულ უქმეებზე მამაკაცთა ჰოკეის ტურნირზე გრანდები ერთმანეთს არ შეხვედრიან და შესაბამისად, ლოგიკური შედეგები მივიღეთ. ამ ფონზე ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ფინელი **ტეემუ სელიანეს** ისტორიული რეკორდი. გერმანიასთან მატჩში ლეგენდარულმა ფორვარდმა ერთი შედეგიანი პასი შეასრულა, ოლიმპიადებზე 37 ქულა დააგროვა, რითაც ზამთრის თამაშების ისტორიაში ყველაზე შედეგიანი ჰოკეისტი გახდა. ახლა სელიანეს ანგარიშზე 20 გოლი და 17 შედეგიანი გადაცემა მოდის.

ტეემუმ მეორე პერიოდის მე-17 წუთზე გამოიჩინა თავი - მან **კიმო ტიმონენს** გაატანინა შაიბა. 39 წლის სელიანემ ოლიმპიადებზე ლეგენდარულ საბჭოთა ჰოკეისტს **ვალერი ხარლამოვს**, კანადელ **ჰარი უილსონსა** და ჩეხ **ვლასტიმილ ბუბნიკს** გაასწრო, რომლებსაც 36-36 ქულა აქვთ.

*"როცა ასე ბევრს თამაშობ ოლიმპიადებზე, თანაც ასეთი ძლიერი პარტნიორების გვერდით, მსგავსი შედეგიანობა სავსებით ლოგიკურია. მით უმეტეს, რომ ბოლო ტურნირებზე ჩვენი გუნდი წარმატებით გამოდის"*, - ამბობს სელიანე, რომელმაც პირველად ოლიმპიადაზე 1992 წელს ალბერვილში ითამაშა.

სხვათა შორის, სელიანეს ჰოკეის ეროვნულ ლიგაშიც აქვს ერთი რეკორდის დამყარების შანსი. მას ხუთი გოლი სჭირდება ლეგენდარული თანამემამულის **იარი კურის** (601 გოლი) გასასწრებად, რითაც NHL-ის ისტორიაში საუკეთესო ფინელი სნაიპერი გახდება.

**A ჯგუფი**

**ნორვეგია-შვეიცარია 4:5 (ო)**

1:1, 2:2, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 შპრუნგერი-1 (დომენიჩელი-2, ზანიტცი-1), 1:1 ვიკინგსტადი-1 (ტორესენი-1, იაკობსენი-1), 2:1 ჰანსენი-1 (ტორესენი-2), 2:2 ვიკი-2 (ზეგერი-1, პლიუსი-2), 2:3 ზანიტცი-1 (ზეგერი-2, ვიკი-1), 3:3 ვიკინგსტადი-2 (ცუკარელო-ოსენი-1, ულიმბი-1), 3:4 ბლინდენბახერი-1 (ვიკი-2, შტრაიტი-2), 4:4 ვიკინგსტადი-3 (ტორესენი-3), 4:5 ლემი-1 (განენი-1).

| | მ | ომ | ონ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 2 | 0 | 0 | 0 | 9-2 | 6 |
| კანადა | 1 | 1 | 0 | 0 | 11-2 | 5 |
| შვეიცარია | 0 | 1 | 1 | 1 | 8-10 | 3 |
| ნორვეგია | 0 | 0 | 1 | 2 | 5-19 | 1 |

**B ჯგუფი**

**ჩეხეთი-ლატვია 5:2**

3:0, 1:2, 1:0

გოლები: 1:0 კრეისი-1 (ერატი-1, ფლიშმანი-1), 2:0 პლეკანეცი-2 (ჟიდლიცკი-2, როლინეკი-1), 3:0 იაგრი-2 (ჟიდლიცკი-3, კაბერლე-1), 4:0 კაბერლე-1 (ელიაში-1, ჟიდლიცკი-4), 4:1 სოტნიეკსი-1 (ვასილიევი-1), 4:2 ანკიპანსი-2 (კარსუმსი-2, პუიაცი-1), 5:2 ელიაში-2.

**ლატვია-სლოვაკეთი 0:6**

0:3, 0:2, 0:1

გოლები: 0:1 ვიშნოვსკი-1 (შტუმპელი-1, ზედნიკი-1), 0:2 ზედნიკი-1 (ჰანძუში-1, ბარტეჩკო 0-1), 0:3 შტუმპელი-1 (პალფი-1), 0:4 მარიან ჰოსა-2 (შტუმპელი-2), 0:5 ჰანძუში-1, 0:6 ბარანკა-1 (ჰანძუში-2, შტრბაკი-1).

| | მ | ომ | ონ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 0 | 8-3 | 6 |
| სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 1 | 9-4 | 5 |
| რუსეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 9-4 | 4 |
| ლატვია | 0 | 0 | 0 | 3 | 4-19 | 0 |

**C ჯგუფი**

**ბელარუსი-შვედეთი 2:4**

0:2, 1:1, 1:1

გოლები: 0:1 დ. სედინი-1 (ჰ. სედინი-1, ვეინჰანდლი-2), 0:2 ალფრედსონი-1 (იოჰანსონი-1, ბექსტრიომი-2), 0:3 ფრანცენი-1 (პალსონი-1, მოდინი-1), 1:3 მელეშკო-1 (სტასენკო-1, რიადინსკი-1), 2:3 მელეშკო-2 (კულაკოვი-1), 2:4 ალფრედსონი-2 (ჰ. სედინი-2, დ. სედინი-1).

**ფინეთი-გერმანია 5:0**

1:0, 2:0, 2:0

გოლები: 1:0 ტ. რუუტუ-1 (ნისკალა-1, ჰაგმანი-1), 2:0 ტიმონენი-1 (ს. კოივუ-2, ო. იოკინენი-1), 3:0 ტიმონენი-2 (სალო-1, სელიანე-2), 4:0 ი. რუუტუ-2 (პელტონენი-1, კაპანენი-2), 5:0 პიტკანენი-1 (ჰაგმანი-2).

**გერმანია-ბელარუსი 3:5**

1:1, 0:1, 2:3

გოლები: 1:0 ზაიდენბერგი-1 (შტურმი-1, გოკი-1), 1:1 უგაროვი-1, 1:2 კალიუჟნი-1 (ს. კოსტიცინი-1, სტასენკო-2), 1:3 ს. კოსტიცინი-2 (კოლცოვი-1), 2:3 ტიპლი-1 (რანკელი-1), 3:3 გოკი-1, 3:4 სალეი-1 (კალიუჟნი-1, ს. კოსტიცინი-2), 3:5 კალიუჟნი-2 (კოლცოვი-2, ს. კოსტიცინი-3).

| | მ | ომ | ონ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 2 | 0 | 0 | 0 | 10-1 | 6 |
| შვედეთი | 2 | 0 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 0 | 2 | 8-12 | 3 |
| გერმანია | 0 | 0 | 0 | 3 | 3-12 | 0 |

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

21.02. თბილისი. ეროვნული
1 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 2 |

0:1 ბერიაშვილი (41), 0:2 ჯანელიძე (52), 1:2 გ. კაშია (90. პენ.)

დინამო: ლორია - თომაშვილი, გ. კაშია, კრსტესკი, ჩიკვილაძე - შ. კაშია (71. ლექვთაძე), ედნილსონი, კოშკაძე, ჯუისი (56. ნემსაძე) - აკირემი, ვაწაძე

*სათადარიგოები: შეყრილაძე, კაკუბავა, ჩადუნელი, ფირცხალავა, სიხარულიძე*

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ხურცილავა, ა. კვახაძე, ადამაძე, ჯაფარიძე - გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, ვასაძე - ჯანელიძე (76. გურეშიძე), ბერიაშვილი (90. როსტიაშვილი), ლიპარტია (85. დ. ლომაია)

სათადარიგოები: მიქაბერიძე, მაისაშვილი, კორიფაძე, ზაქრაძე

გაფრთხილება: ჯუისი (42), ვასაძე (44), შ. კაშია (58), ვაწაძე (70), ჯაფარიძე (80), რაზმაძე (86)

გაძევება: ჯაფარიძე (90)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი



ნამიც და დინამოს კარში მეორე გოლი გავა

# მინიმალური, მაგრამ დამაჯერებელი

„ვიტ ჯორჯიამ“ „დინამოსთან“ მატჩებში ტრადიციად დამკვიდრებული ფრეების სერია შეწყვიტა, თანაც ძალიან დამაჯერებლად - **გელა გომელაურის** გუნდმა გუშინ მეტოქეს დამსახურებულად სძლია და მართალია, დღეისათვის კვლავ მეოთხე საფეხურზე რჩება, მაგრამ გამოტოვებული შეხვედრის მოგების შემთხვევაში, სამეულში ადგილს დაიბრუნებს.

„დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ დაპირისპირებები უმეტესად არცთუ სანახაობრივი, მაგრამ უაღრესად დაძაბულია ხოლმე და ამჯერადაც ასე იყო. „დინამომ“ ამჯერადაც სწრაფი, კომბინაციური ფეხბურთით სცადა წარმატების მიღწევა, ვეტერინარებმა კი ტრადიციული დისციპლინირებული ფეხბურთის გარდა, ტექნიკურადაც მაღალ დონეზე ითამაშეს. თავიდანვე უნდა ვახსენოთ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი **ჯაბა ლიპარტია**, რომელმაც შეტევის მარცხენა ფლანგზე დაუღალავად იშრომა და მეტოქეს არაერთი თავსატეხი გაუჩინა.

საკადრო პრობლემები ორივე გუნდს ჰქონდა. მასპინძლებსაც და სტუმრებსაც დისკვალიფიკაციის გამო, წამყვანი მოთამაშეები აკლდათ - „დინამოს“ „ვიტ ჯორჯიადან“ სულ ცოტა ხნის წინ დამატებული ფლანგელი **გიორგი კახელიშვილი**, „ვიტ ჯორჯიას“ კი წამყვანი ფორვარდი და გუნდის საუკეთესო ბომბარდირი **ვახტანგ კვარაცხელია**. მათ ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში შესაბამისად, **დონალდ ჯუისი** და **გიორგი ბერიაშვილი** მოხვდნენ, რომელთაგანაც მხოლოდ ჯორჯიელმა გაამართლა მწვრთნელის იმედები.

ორივე გუნდი დაცვაში ყურადღებით თამაშობდა, მატჩი საგოლე მომენტებით დატვირთული არ ყოფილა. ამგვარ შეხვედრებში საგოლე შანსის ხელიდან გაშვება ხშირად საბედისწეროა ხოლმე და ასე დაემართა „დინამოსაც“, რომელსაც ანგარიშის გახსნის ორი რეალური შესაძლებლობა ჰქონდა. **მათე ვაწაძის** დარტყმა **გრიგოლ ბედიაშვილმა** მოიგერია, ჯუისის ჩაწოდების შემდეგ კი **ჯორჯ აკირემიმ** მეტოქის კარს თავური ააცილა. მანამდე „ვიტ ჯორჯიას“ მხრიდან **გურამ ადამაძეს** შეეძლო თავისი გუნდის დაწინაურება, მაგრამ თავით არაზუსტად დაარტყა.

სამაგიეროდ, ბერიაშვილს არც მიზანმა უმტყუნა და არც კლასმა. „ვიტ ჯორჯიას“ თავდამსხმელმა დაახლოებით 25 მეტრიდან ძალიან ეფექტურად, ძლიერად და ამავდროულად, მოჭრილად დაარტყა და კარიდან წინ გამოსულ **გიორგი ლორიას** ბურთი თავზე გადაუგდო. ეს გოლი არა მხოლოდ ტურის, მთლიანი ჩემპიონატის მშვენებადაც შეგვიძლია დავასახელოთ.

ბუნებრივია, ყველაფერი ამით არ მთავრდებოდა და მოსალოდნელი იყო, რომ „დინამო“ მეორე ტაიმში უფრო მობილიზებული ითამაშებდა, მაგრამ პირიქით მოხდა - **კახა კაჭარავას** გუნდი მატჩის მეორე ნახევარში გაცილებით ინერტული და უფანტაზიო იყო, „ვიტ ჯორჯიას“ კი ანგარიშის შენარჩუნებაზე თამაში არასოდეს უჭირდა. ვეტერინარები თავსაც შესანიშნავად იცავდნენ და სწრაფი კონტრშეტევებიც რიგიანად გამოსდიოდათ. სწორედ ასეთ ეპიზოდებში „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელი ორჯერ გავიდა „დინამოს“ მეკარესთან პირისპირ, მაგრამ თანამსაჯმა ორივე შემთხვევაში თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

მანამდე კი სტუმრებმა საკუთარი უპირატესობა ორ ბურთამდე განამტკიცეს. მეორე ტაიმი რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, როცა „დინამოს“ საჯარიმოს მისადგომებთან დანიშნული ჯარიმა **ლუკა რაზმაძემ** შეასრულა. მისი ძლიერი დარტყმის მოგერიება ლორიამ კი შეძლო, მაგრამ დამატებაზე ყველას **გიორგი ჯანელიძემ** დაასწრო და „დინამო“ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

მეორე ტაიმში „დინამოს“ მოწინააღმდეგის კართან ერთი რეალური ხიფათიც კი არ შეუქმნია. დამატებულ დროში დანიშნულ პენალტზე ბევრი საუბარი კი აღარც ღირს, რადგან იმ მომენტისთვის კომპენსირებული დროც გასულიყო და „ვიტ ჯორჯიას“ გამარჯვება უკვე გადაწყვეტილი იყო. არბიტრმა **ლაშა ჯაფარიძისა** და მათე ვაწაძის ორთაბრძოლისას წესების დარღვევა დააფიქსირა, თერთმეტმეტრიანიც დანიშნა და ჯორჯიელს მეორე ყვითელი ბარათიც უჩვენა. **გურამ კაშიამ** ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა პენალტი. ამის შემდეგ კი თამაშის განახლება და დასრულება ერთი იყო.

ასე დასრულდა ტურის ცენტრალური მატჩი უპრინციპულეს მეტოქეებს შორის, რომლებიც ბოლო სეზონებში ერთმანეთში ჩემპიონის ბედს არკვევდნენ, ახლა კი მათ შორის მხოლოდ მესამე ადგილისთვის მიმდინარეობს დავა და შესაძლოა, საქართველოს თასის ფინალშიც გადაეყარონ ერთმანეთს.

ამ მატჩში ნებისმიერი შედეგი მოსალოდნელი იყო და ამიტომაც გასაკვირი არა „ვიტ ჯორჯიას“ გამარჯვება, არამედ ის უპირატესობაა, რითაც მეტოქეს აჯობა. ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ჩატარებულ საწყის ორ შეხვედრაში ხომ „დინამომ“ მაღალ დონეზე ითამაშა და ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა, როცა ვეტერინარებმა ბოლნისის „სიონს“ ვერაფერი მოუხერხეს...

„დინამოს“ გულშემატკივრები მსაჯობით დარჩნენ უკმაყოფილონი. მსაჯობა მართლაც არ ყოფილა უნაკლო, მაგრამ დამარცხებულმა მხარემაც აღიარა, რომ ამას მატჩის შედეგზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია და „ვიტ ჯორჯიამ“ დამსახურებულად გაიმარჯვა.

### მატჩის შემდეგ

**კახა კაჭარავა (დინამო):** „ჩემი გუნდის თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ. ვერ შევქმენით საჭირო რაოდენობის სახიფათო მომენტები, წავაგეთ ორთაბრძოლების უმეტესობა... უკვე მესამე წელიწადია, „ვიტ ჯორჯიასთვის“ არ მოგვიგია და ეს მართლაც დასაფიქრებელი ფაქტია. „დინამოს“ სხვა კომპონენტებთან ერთად, კონცენტრაციაც აკლდა“.

**გელა გომელაური (ვიტ ჯორჯია):** „დღევანდელი მატჩი ზომაზე მეტად დაძაბული გამოდგა. შეიძლებოდა, მაყურებელს უფრო სანახაობრივი ფეხბურთიც ეხილა, მაგრამ მოთამაშეებს ხელი დამძიმებულმა გრუნტმა შეუშალა. საინტერესოა, სამართლიანად დანიშნა თუ არა მსაჯმა პენალტი ჩვენს კარში. ამის თქმა მხოლოდ ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ შემეძლება“.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



# „ოლიმპი“ განმტკიცდა

21.02. თბილისი. ამერი
700 მაყურებელი

| | |
|---|---|
| გაგრა | 0 |
| ოლიმპი | 2 |

0:1 იმედაშვილი (62. ჯიქიას პასით), ჭედია (69. აკინოს პასით)

გაგრა: თევდორაძე - ხარაბაძე, ქორთუა, ჭაავა, გაბუნია - კვასხვაძე, ჩხეტიანი, ოქრიაშვილი, პავლიაშვილი (72. გულორდავა), ნ. ჯიშკარიანი (80. მოსიაშვილი) - კიკნაძე (66. ჭოხონელიძე).

*სათადარიგოები: სტურუა, ტყეშელაშვილი, ოვონიკოკო, მოიზესი.*

ოლიმპი: ჭანტურია - ლონლაძე, მაჭავარიანი, ფრაგა, გილაური (86. დათუნაიშვილი) - ჯიქია, იმედაშვილი, კვარაცხელია, დობროვოლსკი (46. ჭედია) - აკინო (75. რეხვიაშვილი), იაშვილი.

*სათადარიგოები: მერლანი, ხუბუა, ხიდეშელი, ელოხი.*

გაფრთხილება: ჩხეტიანი (12), რეხვიაშვილი (82)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

ჩემპიონობისთვის მებრძოლმა რუსთავის „ოლიმპმა“ „გაგრასთან“ გასვლით მატჩში რთული გამარჯვება მოიპოვა. მასპინძლები მონდომებით და შემართებით თამაშობდნენ, რადგან გუნდი ბოლოდან მეორე ადგილზეა და მათთვის ახლა ყველა შეხვედრას ოქროს ფასი აქვს. თუ მდგომარეობა არ გამოასწორა, „გაგრას“ უმაღლეს ლიგასთან დამშვიდობება მოუწევს.

რუსთაველებმა შეხვედრა საკმაოდ უცნაური განლაგებით დაიწყეს: ეს ნახევარდაცვას უფრო შეეხებოდა, რადგან **აკინო** თავდასხმაში **იაშვილს** შეუწყვილეს, ფორვარდი **ჯიქია** კი ფლანგზე გადასწიეს. თუმცა ჯიქიას დროდადრო ჩვევა სძლევდა და შეტევებით ერთობოდა, დაცვით ფუნქციებს კი ნაკლებად ასრულებდა.

„გაგრამ“ მატჩი კარგად დაიწყო, რუსთაველებმა კი მეტოქე არ დააფასეს და პირველ ტაიმში დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდნენ. მათ რიგებში აშარად გამოირჩეოდა **კვარაცხელია.** საქართველოს ჩემპიონატში დღეს ის ერთ-ერთი საუკეთესოა. მოდურად რომ ვთქვათ, კრეატიული ფეხბურთელია - საყრდენობასთან ერთად, შეტევების ორგანიზებასაც ითავსებდა და ყველაზე მეტჯერ შეეძლო თავის გამოჩენა. როგორც კი შეთამაშდება, **კვარაცხელია-იმედაშვილის** წყვილი ერთობ სერიოზული ძალა გახდება. მე-15 წუთზე კვარაცხელიას მშვენიერი გადაცემით მეკარესთან პირისპირ დარჩა აკინო, რომელმაც არაზუსტად დაარტყა და ანგარიშის გახსნის მშვენიერი შანსი გაანიავა.

„გაგრა“ თავს კარგად იცავდა და საკმაოდ მწვავე შეტევებსაც ახორციელებდა. მე-19 წუთზე **ოქრიაშვილმა** ბურთი კუთხურიდან ჩააწოდა, კარის წინ უმეთვალყურეოდ დარჩენილმა **პავლიაშვილმა** თავით დაარტყა, მაგრამ მეკარე **ჭანტურიამ** მშვენიერი რეაქცია გამოავლინა და „ოლიმპი“ გადაარჩინა.

21-ე წუთი: კვარაცხელიამ თავურით სცადა კარის აღება, მაგრამ „გაგრა“ მეკარე **თევდორაძემ** აშკარა გოლს გადაარჩინა. 35-ე წუთზე, აკინოს ჩაკიდების შემდეგ, მასპინძელთა კარს ახლო მანძილიდან ისევ კვარაცხელია უტევდა - ბურთი მცირე მანძილით ასცდა მიზანს.

ზუსტად ერთ წუთში რუსთაველთა ცენტრალური მცველი **ალექს ფრაგა** მოედნის ცენტრთან ახლოს შეცდა, ბურთს ოქრიაშვილი დაეწია, მაგრამ დროულად ვერ დაარტყა, დაგვიანებული გასროლა კი შედეგიანი ვერ აღმოჩნდა.

44-ე წუთზე „ოლიმპი“ გოლს გადაურჩა: მარჯვენა ფლანგზე **ირაკლი კიკნაძემ** მშვენივრად ითამაშა, მცველებს გასცდა და საჯარიმოში მარტო დარჩენილი ოქრიაშვილი მოძებნა - ბურთი კარში მიდიოდა, მაგრამ ჭანტურიამ ამჯერადაც კარგად ითამაშა და სტუმრები გადაარჩინა.

მეორე ტაიმში „ოლიმპი“ გაცილებით აქტიურად გამოიყურებოდა და დაცვაში მეტი ყურადღებით თამაშობდა. რაც მთავარია, შეხვედრის მსვლელობაზე გავლენა **თემურ მახარაძის** გადაადგილებებმა მოახდინა:

» მე-5 გვერდზე

# ოლიმპი განმტკიცდა

« მე-4 გვერდიდან

შეტევების გასაძლიერებლად, საყრდენი ნახევარმცველის **დობროვოლსკის** ნაცვლად, მოედანზე შეიყვანა მეოთხე ნომინალური თავდასხმელი **ჭედია**, რომელიც დაემატა იაშვილს, აკინოსა და ფაქტობრივად თავდასხმაში მოთამაშე ჯიქიას. ფრთხილი ფეხბურთის მოყვარული მწვრთნელისგან ვა-ბანკზე წასვლა მოულოდნელი, მაგრამ ვითარებიდან გამომდინარე მიღებული გადაწყვეტილება იყო - აუტსაიდერთან ფრე ხომ კონკურენტებს გაუადვილებდა საქმეს...

მართალია, მასპინძლებს კონტრშეტევები აღარ გამოსდიოდათ, მაგრამ თავს ძალიან კარგად იცავდნენ და არავის გაუკვირდებოდა, შეხვედრა ფრედ რომ დასრულებულიყო. თუმცა სტუმართა მასიურმა და ყოვლისმომცველმა ზეწოლამ შედეგი გამოიღო: 62-ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან ჯარიმა ჭედიამ ჩააწოდა, თევდორაძემ ჯიქიას დამატებაზე ურთულესი ბურთი არ გაატანინა, მაგრამ კარის წინ დარჩენილმა იმედაშვილმა შანსი ხელიდან არ გაუშვა - 0:1.

„გაგრამ" გოლი გააპროტესტა. მასპინძლები მიიჩნევდნენ, რომ არბიტრმა **ლევან კვარაცხელიამ** ჯერ რუსთაველთა დარღვევაზე „დახუჭა თვალი", ხოლო შემდეგ უსამართლოდ დააჯარიმა ისინი, რასაც იმედაშვილის გოლი მოჰყვა. თუმცა არბიტრს პროტესტისთვის ყურადღება არ მიუქცევია, გოლმა კი გამოუცდელი და ჯერაც დაუღვინებელი „გაგრა" გატეხა. ცნობისთვის - მასპინძელთა შემადგენლობაში ორი არასრულწლოვანი თამაშობდა: 16 წლის მარჯვენა მცველი **ცოტნე ხარაბაძე** და 17 წლის ოქრიაშვილი. პირველი - უმაღლეს ლიგაში მეორედ თამაშობს, ის ასაკისთვის შეუფერებლად თავდაჯერებული და მებრძოლია. რაც შეეხება ოქრიაშვილს, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს ბიჭი „გაგრას" ლიდერად ყალიბდება...


წამიც და დავით იმედაშვილი ანგარიშს გახსნის
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

რუსთაველებმა მეტოქის მდგომარეობით ისარგებლეს და კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს: 69-ე წუთზე „გაგრას" მცველი მოედნის ცენტრში შეცდა, აკინომ ბურთი აართვა, ჭედია მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და „ოლიმპის" ფორვარდმა შორეულ კუთხეში ზუსტად დაარტყა - 0:2.

ამის შემდეგ ორივე გუნდს ჰქონდა მცდელობა, მაგრამ რეალური საგოლე მომენტი აღარ შექმნილა და „ოლიმპმა" ლიდერობა განიმტკიცა.

**მერაბ მამულაშვილი**

# გეგუჩაძის რისკი, ქასრაშვილის სინანული

21.02. ბოლნისი. თ, სტეფანია
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სიონი | 0 |
| ზესტაფონი | 1 |

0:1 დვალი (87. ბენაშვილის პასით)

სიონი: ბობლიაშვილი - კობაური, ლ. ჭელიძე, ქემოკლიძე, რაქვიაშვილი - უგრეხელიძე, ლ. ნოზაძე, გ. მელქაძე (72. ლ. მერებაშვილი), შენგელია (79. ისიანი) - უგულავა (46. მაისურაძე), ლ. მელქაძე.

სათადარიგოები: ზუხბაია, გ. კვანტალიანი, გ. სილაგავა, რუსეიშვილი

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - ბენაშვილი, კობახიძე, გ. ონიანი, ელიავა - აფციაური, ძარია (83. ჩიხლაძე), გრიგალაშვილი, ცხადაია (52. წინამძღვრიშვილი), კორღალიძე (72. მიქაბერიძე) - დვალი.

სათადარიგოები: მამალაძე, გამეზარდაშვილი, მაკარიანი, დაუშვილი.

გაფრთხილება: ქემოკლიძე (49), რაქვიაშვილი (73), ბენაშვილი (79), ბობლიაშვილი (84)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

ამ გუნდების პირველი ბოლნისური შეხვედრა უგოლოდ დასრულდა. მაშინ ჩემპიონობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა „ზესტაფონმა" ქვემო ქართლში 2 ქულა დაკარგა. დიდი შანსი იყო, გუშინდელ მატჩსაც ანალოგიური ფინალი ჰქონოდა, საქმე აქეთკენაც მიდიოდა, მაგრამ იმერლებმა ნავსი გატეხეს და ამ სეზონში ბოლნისში პირველად მოიგეს. აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ „სიონმა" წელს საკუთარ არენაზე პირველად ითამაშა და პირველი მარცხიც განიცადა.

სანამ თამაშის მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, რამდენიმე საგულისხმო მომენტზე უნდა შევაჩეროთ თქვენი ყურადღება. „სიონის" ფორვარდ **ლევან მელქაძეს** ყოფილ გუნდთან მოუწია დაპირისპირებამ. ბოლნისელთა რიგებში გუშინ პირველად ითამაშა მცველმა **ლაშა ჭელიძემ**, რომელიც ბოლოს ყაზახეთში ასპარეზობდა. რაც შეეხებათ სტუმრებს, დისკვალიფიკაციის გამო მათ ორი საკვანძო ფიგურა, მეგოლე **ნიკა გელაშვილი** და ცენტრალური მცველი **გიორგი ხიდეშელი** აკლდათ. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ჩინებულად შეცვალა მცველმა **მამუკა კობახიძემ**, რომელიც ზესტაფონელებმა ზამთრის პაუზისას დაიმატეს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კობახიძის სახით ჩვენს ნაკრებს გამორჩეული მცველი ეზრდება. დაცვითი ოპერაციების გარდა, 18 წლის მცველმა გუშინ შეტევაშიც გვარიანად იბრძოლა და საერთო ჯამში დიდი სამუშაოც გასწია. მეგოლე გელაშვილის არყოფნაში კი თავი გამოიჩინა **ჯაბა დვალმა**, რომელმაც სეზონში მე-9, ხოლო წელს მე-3 გოლი გაიტანა.

მასპინძელთა რიგებში უდავოდ გამორჩეული იყო ფლანგის ნახევარმცველი **ვლადიმერ უგრეხელიძე**, რომელიც ხან ერთ, ხან მეორე ფლანგზე თავგამოდებით იბრძოდა და მისი გარჯის წყალობით სტუმართა კართან სიმშვიდე არაერთხელ დაირღვა. მართალია, სათანადო კონდიციებში ვერ არის ლევან მელქაძე, მაგრამ გუშინაც გამოჩნდა, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელია და ასეთ ფეხბურთელს ყოველთვის შეუძლია სარგებლის მოტანა. ხოლო ზესტაფონელებს ბურთის გატანა რომ გაუჭირდათ, ეს ბოლნისელთა მეკარე **მინდია ბობლიაშვილის** დამსახურებაა.

ახლა სტუმრებზე ვთქვათ. ზემოხსენებული კობახიძის გარდა, დიდი სამუშაო გასწია **ალექსი ბენაშვილმაც**. ის მარჯვენა მცველის ფუნქციასაც ასრულებდა, ნახევარდაცვაშიც ჯეროვნად ირჯებოდა და თანაგუნდელებს შეტევაშიც ეხმარებოდა. ბევრი ოფლი დაღვარეს **შოთა გრიგალაშვილმა** და ერთადერთი გოლის ავტორმა დვალმაც.

ახლა უშუალოდ თამაშის მსვლელობაზე გადავიდეთ. მასპინძლებმა მატჩი აქტიურად დაიწყეს და სწრაფი გოლით დაწინაურებაც შეეძლოთ - მეკარე **როინ კვასხვაძის** შეცდომა **უგულავამ** ვერ გამოიყენა. მე-15 წუთზე უკვე დვალი დაემუქრა ბოლნისელთა კარს, მაგრამ უშედეგოდ. გავიდა კიდევ 15 წუთი და ჯაბამ 22 მეტრიდან დასცხო - ბურთი მცირედი მანძილით ასცდა კარს.

მალე სტუმართა კაპიტანმა **თორნიკე აფციაურმა** იაქტიურა, მაგრამ „სიონი" მეკარე ბობლიაშვილმა იხსნა. შემდეგ **ირაკლი შენგელიას** დარტყმული ასცდა მიზანს და ტაიმის ბოლოს ზესტაფონელთა მიერ კარგად დამუშავებული საჯარიმო დარტყმა ვიხილეთ, მაგრამ დაგვირგვინება კვლავ უზუსტო გამოდგა.

ბოლნისელები უქულოდ დარჩენას არ აპირებდნენ და შესვენებაზე **ხვიჩა ქასრაშვილმა** უგულავა **მაისურაძით** შეცვალა. ამ ცვლილებამ „სიონი" აშკარად გამოაცოცხლა და მეორე ნახევრის დასაწყისი უკვე ბოლნისელთა შეტევებით აღინიშნა. 53-ე წუთზე მელქაძის მიერ მარცხენა ფლანგიდან მეკარის საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს მაისურაძე ვერ შესწვდა, თორემ ანგარიში გაიხსნებოდა. ორ წუთში მაისურაძის დარტყმულს მცველმა **გიორგი ონიანმა** ფეხი დაუხვედრა და კუთხურზე მოიგერია.

ამ შეტევებმა **გია გეგუჩაძის** შეგირდები გამოაცოცხლა. მალე ისინი უპირატესობას დაეუფლნენ და „სიონის" კართან სიმშვიდე არა ერთხელ დაარღვიეს. ჯერ იყო და, გრიგალაშვილის ჯარიმა მცირედით ასცდა მიზანს, მერე კი მასვე ბობლიაშვილმა აულო მორიგი საჯარიმო დარტყმა.

გეგუჩაძე ვა-ბანკზე წავიდა. ბუნებრივია, სტუმართა თავკაცი შედეგზე იყო ორიენტირებული და ამიტომ ორი თავდამსხმელი, ჯერ **რატი წინამძღვრიშვილი**, ხოლო მერე დუბლების გოლეადორი **ნიკოლოზ ჩიხლაძეც** შეუშვა მოედანზე. ამასობაში, ბოლნისელებმა დაცვიდან კონტრშეტევაზე გადააწყვეს თამაში და აშკარად გამოჩნდა, რომ გეგუჩაძე დიდ რისკზე წავიდა, თუმცა ამ რისკმა გაამართლა...

70-ე წუთზე წინამძღვრიშვილის დარტყმული მცირედით ასცდა მიზანს, მერე მაისურაძის მცდელობასაც დააკლდა სიზუსტე. 79-ე წუთზე აფციაურის ჯარიმაზე ბობლიაშვილმა იმარჯვა. საპასუხო სვლა გააკეთა ქასრაშვილმა - რაკი მეტოქე მთელი ძალით უტევდა, დაცვა გამოცდილი მცველით, **ლევან მერებაშვილით** გააძლიერა. თუმცა ბოლოსკენ ფეროელთა შეტევები კიდევ უფრო გამწვავდა და შედეგიც მოიტანა - 87-ე წუთზე ბენაშვილის პასით ჩინებულად ისარგებლა დვალმა და ოსტატური დარტყმით ბურთი მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში გადაგზავნა - 0:1.

დარჩენილ დროში მასპინძლებს ერთი სახიფათო შეტევა ჰქონდათ. 90-ე წუთზე **უგრეხელიძის** პასის შემდეგ მელქაძემ კი დაარტყა, მაგრამ ბენაშვილმა მოასწრო და დროულად გადაეფარა ბურთს.



ფოტო: www.fczestafoni.ge

### მატჩის შემდეგ

**გია გეგუჩაძე (ზესტაფონი):** „ბოლნისში ყოველთვის ჭირს თამაში და დღესაც რთული მატჩი გამოვიდა, მაგრამ საბედნიეროდ, შევძელით და მოვიგეთ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ „სიონი" ფრეზეც თანახმა იყო... დიახ, მესამე ფორვარდის შეყვანით რისკზე წავედით, მაგრამ ჩვენთვის შედეგი უმთავრესი იყო. მძიმე გრუნტი იყო და თამაში ჭირდა, თუმცა სასურველ შედეგს მაინც მივაღწიეთ".

**ხვიჩა ქასრაშვილი (სიონი):** „სამწუხაროა, რომ დავმარცხდით, ფრე უფრო ლოგიკური იქნებოდა. დასანანი შეცდომა დავუშვით და გოლიც სწორედ იმ ეპიზოდში მივიღეთ. „ზესტაფონს" არაფერში ჩამოვრჩით, მეტიც, ცალკეულ ეპიზოდებში ვჯობდით კიდეც. უბრალოდ არ გაგვიმართლა, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი".

**დავით ცაბაძე**
ბოლნისი-თბილისი

საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი" სამძიმარს უცხადებს ალექსანდრე ჩივაძეს დედის გარდაცვალების გამო.

საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი" სამძიმარს უცხადებს კლუბის თანამშრომელს გია ისიანს დედის გარდაცვალების გამო.

ბიბლიოთეკა

# პირველი მოგება სტუმრად

21.02. სამტრედია. ე, მანჯგალაძე
2 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სამტრედია | 0 |
| ბაია | 1 |

0:1 რ. ონიანი (53. ფიფიას პასით)

სამტრედია: ი. შენგელია - კუპრეიშვილი, გოგია, ჟვანია, ნინუა (68. ბარამიძე) - სამსეიშვილი, ქორიძე, ჩომახიძე, ფირცხალავა (46. ზ. ხაჭიპერაძე) - ჩალაძე, ეცადეიშვილი (65. დარბაიძე).

სათადარიგოები: განძავა, კირთაძე, ბაკურაძე, ჩხაიძე

ბაია: სომხიშვილი - კვეკვესკირი, კვესიეშვილი, ყველაშვილი, თოდუა - ჩისამბა ლუნგუ (88. ეხვაია), რ. ონიანი, ვართაგავა, აკობია - ფიფია (66. სიხარულია) - ბაკარანძე (84. ქირია).

სათადარიგოები: ზარქუა, აქუბარდია, სახოკია, წურწუმია

გაფრთხილება: სომხიშვილი (55), კვეკვესკირი (64), თოდუა (87), ეხვაია (90)

არბიტრი: გ. ვადაჭორია

ამ გუნდების პაექრობას გასულ სეზონში ჩაეყარა საფუძველი, როცა ორივე მათგანი უმაღლეს ლიგაში დანინაურებისთვის იბრძოდა. მას შემდეგ „სამტრედია“ და „ბაია“ ერთმანეთის მიმართ ყოველთვის პრინციპულად არიან განწყობილი და ეს გულშემატკივრების დამოკიდებულებაშიც კარგად იგრძნობა. სამტრედიელი ფანებისთვის „ბაიასთან“ თამაში ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც რომელიმე ლიდერთან მატჩი. ამიტომაც, ადგილობრივებმა ზუგდიდელებთან გუშინდელი მარცხი მწვავედ განიცადეს და თამაშის შემდეგ სამტრედიის არენასთან კარგა ხანს „დულდა“ უარყოფითი ემოციები... მიმდინარე ჩემპიონატში ამ გუნდების პირველ დაპირისპირებაში „სამტრედიამ“ 1:0 გაიმარჯვა, ზუგდიდური მატჩი კი ფრედ 2:2 დასრულდა.

ზამთრის შესვენებისას ორივე გუნდი საგრძნობლად გადახალისდა. „ბაიამ“ არაერთი გამოცდილი ფეხბურთელი დაიმატა, თუმცა ზუგდიდელებმა წინა ორ მატჩში, „სპარტაკთან“ და „ლოკომოტივთან“, მხოლოდ ერთ ქულას გამოჰკრეს ხელი. „სამტრედიას“ რაც შეეხება მან ზამთრის შესვენების შემდეგ ორივე შეხვედრა წააგო, მაგრამ ჩემპიონატის ლიდერებთან მატჩში იმერლები საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ყოველივე ამის გათვალისწინებით გუშინდელ მატჩში ფავორიტად მასპინძლები ითვლებოდნენ, თუმცა „ბაიამ“ როგორც იქნა ნავსი გატეხა და მიმდინარე ჩემპიონატში პირველად მოიგო გასვლითი შეხვედრა. სტუმართა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს გუნდის ახალწვეულებმა, რომელთა შორისაც ორი ექსსამტრედიელი - **პაატა ბაკარანძე** და **გიორგი კვესიეშვილი** იყო. ორივე მათგანი საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა, კვესიეშვილი დაცვის ცენტრში უშეცდომოდ ირჯებოდა, ბაკარანძე კი თავდასხმაში აქტიურობდა. კარგად გაისარჯნენ **სევასტი თოდუა, ლევან აკობია, გოგი ფიფია** და მეკარე **სომხიშვილიც**, რომელმაც რამდენიმე რთული დარტყმა მოიგერია.

სამტრედიელებმა, რომლებსაც დისკვალიფიკაციის გამო ორი წამყვანი ფეხბურთელი - **ვაკო ტყემალაძე** და **გიორგი ილურიძე** აკლდათ, შეხვედრა აქტიურად დაიწყეს და მე-4 წუთზე პირველი სახიფათო მომენტიც შექმნეს. **ქორიძემ** საჯარიმოს გარედან ძლიერად დაარტყა და სომხიშვილმა აკრობატულ ნახტომში კუთხურზე მოიგერია ბურთი. წვიმა და მძიმე გრუნტი ფეხბურთელებს სწრაფი შეტევების განხორციელების საშუალებას არ აძლევდა და თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. ასეთ ამინდს „ბაიამ“ უკეთ აუღო ალღო და თანდათან უპირატესობაც მოიპოვა. განსაკუთრებით ფიფია აქტიურობდა,. რომელმაც საჯარიმოებითა და შორეული დარტყმებით რამდენჯერმე შეაწუხა მეკარე **შენგელია.** ტაიმის ბოლოს სამტრედიელებმა ორი მწვავე შეტევა განახორციელეს. ორჯერვე ყურადღების ცენტრში **ჩომახიძე** მოექცა, 34-ე წუთზე მისი ძლიერი დარტყმის შემდეგ ბურთი მცველებმა მოიგერიეს, გამოვარდნილ ბურთთან პირველი ქორიძე გაჩნდა, მაგრამ უზუსტოდ დაარტყა. მეორე ეპიზოდში **კუპრეიშვილმა** ჩომახიძეს ბრწყინვალე ქუსლური პასი გაუკეთა, თუმცა ვეტერანი სამტრედიელის დარტყმა მეკარე სომხიშვილმა მოიგერია.

შესვენების შემდეგ **ანჯაფარიძე-მესიაჩენკოს** წყვილმა მოედანზე გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **ზაურ ხაჭიპერაძე** შეუშვა და სამტრედიელთა შეტევებს სიმწვავე მოემატა. 47-ე წუთზე კუთხურის გათამაშების შემდეგ ხაჭიპერაძემ საჯარიმოს გარედან ძლიერად დაარტყა, სომხიშვილმა რეაგირება მოასწრო და ბურთს თითები წაჰკრა, მაგრამ ბურთი ძელს რომ არ მოხვედროდა მისი გარჯა საკმარისი არ იქნებოდა. ამ ეპიზოდს ისევ კუთხური მოჰყვა, იქიდან მოწოდებულ ბურთს კვლავ ხაჭიპერაძე გამოეხმაურა და უძლიერესი დარტყმით ხარიხას ოდნავ გადააცილა.

ზუგდიდელთა საპასუხო შეტევას კი გოლი მოჰყვა: 53-ე წუთზე ფიფიამ კუთხური მოაწოდა, **როინ ონიანმა** მცველებს დაასწრო და ახლო მანძილიდან გაიტანა - 0:1. ათიოდე წუთში ონიანს კვლავ მიეცა გატანის შანსი, თუმცა ამჯერად შენგელიამ იხსნა საკუთარი გუნდი. დარჩენილ დროში სამტრედიელები ბევრს ეცადნენ ანგარიშის გათანაბრებას, სახიფათოდაც უტევდნენ, მაგრამ დამაგვირგვინებელი დარტყმები არ გამოსდიოდათ. ორჯერ **ჩალაძემ** დაარტყა სახიფათოდ, ხაჭიპერაძესაც ჰქონდა კარგი მომენტი, მაგრამ ამაოდ... უქმად ზუგდიდელებიც არ ყოფილან. გოლის შემდეგ **ელგუჯა ქომეთიანის** შეგირდებმა კონტრშეტევებზე ააგეს თამაში და სამი რეალური საგოლე მომენტიც შექმნეს, თუმცა ბაკარანძისა და **სიხარულიას** დარტყმები შენგელიამ მოიგერია...

**დავით კოხრეიძე**
სამტრედიიდან

# საყაიმო ემოცია

21.02. გორი. თ ბურჯანაძე
200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 1 |
| ლოკომოტივი | 1 |

0:1 ბ. გოცირიძე (36. ჭელიძის პასით), 1:1 ჩირიკაშვილი (70. მაისურაძის პასით)

სპარტაკი: ბათიაშვილი - ბოიომო, ბაქრაძე, მგელაძე, ფოფხაძე - თარხნიშვილი, კანდელაკი (60. ჩივაძე), ჩირიკაშვილი, მაისურაძე - დეკანოიძე (46. მედ ნალო), ბუზალაძე (46. კლოვისი).

სათადარიგო: ნონოსი, მგალობლიშვილი, გ. კვახაძე, უხურგუნაშვილი

ლოკომოტივი: ქვილითაია - ვეკუა, ლ. ჩაგელიშვილი, ხუმარაშვილი, სარალიძე - ჭელიძე (82. ჩიკვაიძე), კაკულია (46. წულაძე), ქებაძე, დიაკვნიშვილი, გოცირიძე (69. კაჭახიძე) - მეტრეველი.

სათადარიგო: გვენცაძე, მახარაძე, გადელია, დ. ჩაგელიშვილი

გაფრთხილება: მეტრეველი (13), მაისურაძე (43), წულაძე (50), კაჭახიძე (81)

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

გოლნისში „სპარტაკის“ სკანდალურად ქცეული თამაშის შეფასებისას პროფლიგის მიერ გამოყენებულ ტერმინოლოგას თუ დავესესხებით გორულ მატჩზე სპორტულიც ითქმის, ემოციურიც, ჟინიანიც და საბრძოლოც, მაგრამ ყოველივე ეს ცხინვალელთათვის მოსაგებად მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი. იქაური შეფასებებით, „სპარტაკი“. თუ „უემოციოდ“ გაისარჯა და მოიგო, გორში (განსაკუთრებით მეორე ტაიმში) უდიდესი თავგანწირვით იბრძოლა.

ამავდროულად, „რკინიგზელებს“ ნამდვილად დაუფასდათ მეტოქეზე არანაკლებ თავგანწირული ნაღვაწი. სტუმრები ეული ფორვარდით და კონტრშეტევებზე აგებული 4-5-1 ტაქტიკით გავიდნენ მინდორზე. მატჩში 3 ქულის დამგეგმავ „სპარტაკს“ კი ცხადია უფრო შეტევაზე ორიენტირებული განლაგება ჰქონდა შერჩეული. ცხინვალელები სასურველი შედეგის მისაღწევად უწინარესად ორი ახალგაზრდა შემტევის, **ბუზალაძისა** და **დეკანოიძის** იმედად იყვნენ. მათ უკან კი 4-4 მცველი და ნახევარმცველი ცდილობდა მეტოქისთვის საკუთარი თამაშის თავს მოხვევას.

პირველ ტაიმში გამოკვეთილ ტერიტორიულ უპირატესობას ვერც ერთი გუნდი ვერ დაეუფლა. აღსანიშნავი ხიფათი მე-9 წუთზე **ქვილითაიას** კართან შეიქმნა და მეკარის დროული რეაქციით განიმუხტა, არადა, წამითაც რომ დაეგვიანა, **ჩირიკაშვილი** ალბათ ანგარიშს გახსნიდა.

იქვე, საპირისპირო კართანაც ვნახეთ ხიფათი, როცა **ვეკუამ დიაკვნიშვილთან** ბურთის გათამაშების შემდეგ ძლიერად დაარტყა და „რიკოშეტის“ გამო კინაღამ **ბათიაშვილის** კარი აიღო. ცოტა ხანში **მაისურაძის** პასით დეკანოიძემ, ხოლო შემდეგ ჩირიკაშვილმა შორიდანაც მოსინჯეს ქვილითაიას მზადყოფნა, მაგრამ „ლოკომოტივის“ გოლკიპერის ძლევა, მოგეხსენებათ, იოლი სულაც არ არის.

„სპარტაკის“ თამაშს ორგანიზებას მოედნის ცენტრიდან სწორედ ჩირიკაშვილი უკეთებდა და საკმაოდ კარგადაც. თუმცა მის გოლამდე ბურთი ცხინვალელთა კარში ვიხილეთ: ისარგებლა რა მცველთა შეცდომით, **გოცირიძემ** ბურთი თავით გადაგზავნა ბათიაშვილის კარში - 0:1.

გოლმა სტუმრებს სტიმული შემატა. **გელა სანაიას** შეგირდები შეტევებშიც ენერგიულად ერთვებოდნენ და დაცვის ხაზზე გარჯაშიც არ აკლდათ სიზუსტე. მაგალითად, დეკანოიძის მიერ კარის გასწვრივ ჩაწოდებული ბურთს სამი ცხინვალელიდან ვერც ერთმა ვერაფერი მოუხერხა.

მეორე ტაიმის დასაწყისში **ვლადიმერ ხაჩიძემ** თავდასხმაში **დეკანოიძე-ბუზალაძის** დუეტი **კლოვისი-ნალოს** ტანდემით ჩაანაცვლა. მართალია უმთავრესი მიზნის შესრულება - გოლის გატანა ვერც ლეგიონერებმა შეძლეს, მაგრამ ვფიქრობთ, ისინი ურიგოდ ნამდვილად არ გარჯილან. **მედ ნალომ** ორჯერ ისეთი სოლო რეიდი შემოგვთავაზა, რამდენიმე ფეხბურთელის ცრუ მოძრაობით გვერდის ავლით, რომ ქომაგებს საქებარი სიტყვები არ დაუშურებიათ.

დაუზარელად მოქმედი **კლოვისი** (ნალო ამ თვალსაზრისით არ გამოირჩეოდა) კი „ლოკომოტივის“ მცველებს მოსვენებას არ აძლევდა, თუმცა დასკვნით ფაზაში მაინც ვერ სჯობდა. 51-ე და 58-ე წუთებზე ჯერ **თარხნიშვილის,** მერე კი ნალოს ჩაწოდებებზე იმარჯვეს „რკინიგზელმა“ მცველებმა.

ცოტა ხანში საპირისპირო კართან შეცდნენ მცველები და ბურთი **მეტრეველს** დარჩა, რომელმაც მეტად სახეირო პოზიციიდან უხეიროდ დაარტყა. მატჩის ამ მონაკვეთში ფლანგებზე თარხნიშვილისა და მაისურაძის გააქტიურებამ „ლოკომოტივს“ თავსატეხი მოუმატა. „სპარტაკი“ სერიოზულ უპირატესობას დაეუფლა და შედეგიც მალე მოვიდა - 70-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან თარხნიშვილმა საპირისპირო ფლანგზე მაისურაძე მოძებნა, ამ უკანასკნელმა კი ჩირიკაშვილს დაუგდო, რომელმაც თავის მხრივ საჯარიმოს გარედან ქვილითაიას აუღებელი დაურტყა, მეკარე არც განძრეულა - 1:1.

დარჩენილი 20 წუთი „სპარტაკის“ იერიშებში გაილია. ვფიქრობთ, ხაჩიძის შეგირდებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ, მაგრამ სტუმრებმა უდიდესი მონდომებისა და დაცვის შეთანხმებული მოქმედების ხარჯზე ქულის შენარჩუნება მაინც მოახერხა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 20 | 16 | 3 | 1 | 47-13 | 51 |
| 2. ზესტაფონი | 22 | 14 | 6 | 2 | 40-19 | 45 |
| 3. დინამო | 21 | 11 | 5 | 5 | 36-14 | 38 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 20 | 10 | 7 | 3 | 28-19 | 37 |
| 5. სპარტაკი | 22 | 8 | 6 | 8 | 29-33 | 30 |
| 6. სამტრედია | 21 | 6 | 4 | 11 | 27-42 | 22 |
| 7. სიონი | 21 | 3 | 9 | 9 | 12-27 | 18 |
| 8. ბაია | 21 | 4 | 4 | 13 | 16-29 | 16 |
| 9. გაგრა | 21 | 3 | 5 | 12 | 20-40 | 14 |
| 10. ლოკომოტივი | 21 | 1 | 9 | 11 | 8-27 | 12 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 19 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 15 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 11 |
| გაბედავა (გაგრა) | 10 |

*შენიშვნა: ცხრილში ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის „სიონი“-“სპარტაკის“ მატჩთან დაკავშირებული პფლ-ის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება.*

**XIII ტური**

**25 თებერვალი, ხუთშაბათი**
ვიტ ჯორჯია-სპარტაკი

**26 თებერვალი, პარასკევი**
ზესტაფონი-დინამო
ბაია-გაგრა
ოლიმპი-სიონი

**27 თებერვალი, შაბათი**
ლოკომოტივი-სამტრედია

ფეხბურთელთა სტაჟირება ბრაზილიის ს/კ "ინტერნაციონალში"

წარვადგენთ ბრაზილიის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე 2009 წლის ვიცე-ჩემპიონ პორტო ალეგრეს საფეხბურთო კლუბ "ინტერნაციონალში" 16-17-18-19 წლის პერსპექტიულ ფეხბურთელებს ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური დონის ასამაღლებლად. სტაჟირების პროგრამის მინიმუმი 3 თვეა, მაქსიმუმი - ერთი წელი. სტაჟირების შემდეგ ქართველ ფეხბურთელებს საკონტროლო თამაშები ექნებათ ს/კ "ინტერნაციონალსა" და პორტო ალეგრეს სხვა გუნდებში. თუ ქართველი ფეხბურთელები დაიმსახურებენ მოწონებას, მათ მიიწვევენ ბრაზილიურ კლუბებში სათამაშოდ. სტაჟირების ხარჯებს ბრაზილიური მხარე არ აფინანსებს. ავიაბილეთების (თბილისი-პორტო ალეგრე-თბილისი), ვიზების, ადგილზე საცხოვრებლის, კვებისა და მომსახურების ხარჯებს იხდის მსურველი ან მისი სპონსორი. დაწვრილებითი ცნობებისა და საბუთების გასაფორმებლად მიმართეთ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის № 4 (თავისუფლების მოედნიდან ზემოთ, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მიღება 10 თებერვლიდან ყოველდღე (კვირის გარდა) 12-დან 13 საათამდე.

ტელეფონი: 899 23 55 20.

ბრაზილიაში ფეხბურთელები გაემგზავრებიან ა. წ. 1 მარტიდან.

ინტერვიუ

## ალექსანდრე ამისულაშვილი

# მიწვევის იმედი ყველა ასეთ ფეხბურთელს გვქონდა

ალექსანდრე ამისულაშვილი საქართველოს ნაკრებში დააბრუნეს. ამ ფაქტის გამო ფეხბურთელი კმაყოფილებას ვერ მალავს. „ლელოსთან“ ინტერვიუში ის სანაკრებო და საკლუბო კარიერაზე საუბრობს. ამისულაშვილთან საუბარი საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის დროსაა ჩაწერილი და ბუნებრივია, ვერც ამ თემას ავუვლიდით გვერდს...

- სიმართლე რომ ვთქვათ, ნაკრებში თქვენს მოწვევას უკვე ნაკლებად ველოდით...

- მიწვევა ადრე გამიკვირდებოდა, მაგრამ თემურ ქეცბაიამ ბევრი ისეთი ფეხბურთელი გამოიძახა, რომელთაც ადრე არ სწყალობდნენ. ჩვენ თავის გამოჩენისა და ნაკრებში დამკვიდრების ახალ შანსს გვაძლევს.

- სწორედ ამის გამო, ფაქტობრივად, ახალი ნაკრები გვეყოლება...

» მე-7 გვერდზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

ლეგიონის უქმეები

# ტრავმები, ტრავმები და გოლებიც

ნისლიან ალბიონზე პირველად დამარცხდა „რედინგი“ მას შემდეგ, რაც გუნდში იჯარით **ზურაბ ხიზანიშვილი** ჩაირიცხა - „როიალსი“ „ბლექპულს“ ესტუმრა და 0:2 დამარცხდა. ხიზანიშვილმა ცენტრალური მცველის პოზიციაზე ითამაშა. ქართველი **ჩარლი ადამის** მიერ გატანილ გოლში ბრიტანულმა მედიამ დამნაშავედ გამოაცხადა. „რედინგი“ 35 ქულით მე-20 ადგილზეა და გასავარნ ზონას 2 ქულა აშორებს.

როგორი დაცვითი ხაზი არ მოსინჯა „მილანის“ ბრაზილიელმა თავკაცმა **ლეონარდომ**, მაგრამ ვერც ერთ სქემაში **კახა კალაძე** „ვერ“ ჩასვა. „ბარისთან“ მატჩისთვის „მილანს“ **ლუკა ანტონინი** გამოაკლდა, თითქოს კახას შანსი მიეცა, მაგრამ წუხანდელი მატჩის განაცხადში ის ვერ ვიხილეთ. მიზეზი კი „მილანის“ ოფიციალურ საიტზე ამოვიკითხეთ, თურმე ჩვენს კაპიტანს „მცირე პრობლემები“ ჰქონია და „ბარისთან“ ვერ ითამაშებდა. „გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, კახას, რომელსაც მარჯვენა ბარძაყის ძვალი აწუხებს, ტრავმის სირთულეს მალე დაუდგენდნენ.

საფრანგეთში პრინციპული მატჩი მოიგო სტუმრად ქართველთა „ლე მანმა“, რომელმაც 3:1 „ბულონი“ დაამარცხა. სამწუხაროდ, მატჩის განაცხადში **გიორგი მაკარიძე** და **ამირან სანაია** ვერ ვიხილეთ.

ბუნდესლიგაში ქართული დუელი, რა თქმა უნდა, არ შედგა - „ფრაიბურგის“ შემტევი ნახევარმცველი **დავით თარგამაძე** ვერც „ჰერტასთან“ მატჩის განაცხადში ვიხილეთ. მოულოდნელად, ბერლინელებმა სტუმრად დიდი ანგარიშით, 3:0 მოიგეს. ეს **ლევან კობიაშვილის** გუნდის მე-3 გამარჯვებაა სეზონში. ლევანმა 90 წუთი ითამაშა მარცხენა მცველის პოზიციაზე. მასპინძელთა გულშემატკივრები ძალიან თბილად შეხვდნენ ყოფილ ფრაიბურგელ ქართველს. „შპორტალმა“ კი ჩვენებურის გარჯა 3,5 ბალით შეაფასა და მცირე შენიშვნების მიუხედავად ქართველის თამაში „საერთო ჯამში სოლიდურად“ მონათლა. „ჰერტა“ 15 ქულით ისევ ბოლოა, მაგრამ მხსნელ მე-15 ადგილს (რომელსაც „ფრაიბურგი“ იკავებს) 4 ქულალა აშორებს. მე-16 ადგილამდე კი სულ ორი ქულა რჩება, ეს პოზიცია კი გადათამაშებაში მონაწილეობის უფლებას იძლევა. ასე რომ, „ჰერტას“ გადარჩენა უკვე ალარ არის ფანტასტიკის სფეროდან. ლევან კობიაშვილის კიდევ ერთი ყოფილი გუნდი „შალკე“ კი სტუმრად 1:2 დამარცხდა „ვოლფსბურგთან“. „შალკეს“ ტრავმის გამო ვერ ეხმარება **ლევან ყენია**. „შალკე“ 45 ქულით მესამეა.

„მიუნხენის“ ქართველმა მცველმა **მათე ღვინიანიძემ** „ალემანიასთან“ მატჩის წინ აქილევსის ქუსლის ტრავმა მიიღო და ვერ ითამაშა. „აბენდ ცაიტუნგი“ ირწმუნება, რომ ზაფხულში „მიუნხენი“ მათეს დაკარგავს და ის სხვა კლუბის წევრი გახდება. „ლომებმა“ აახენელებთან 3:2 მოიგეს და 32 ქულით მე-9 ადგილზე არიან II ბუნდესლიგაში. **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე“ „ფრანკფურტს“ ესტუმრა და 1:2 დამარცხდა. ქართველმა კაპიტანმა 90 წუთი ითამაშა. „შპორტალმა“ იაშვილს მატჩში ერთ-ერთი უარესი შეფასება, 4,5 ბალი დაუწერა. „კარლსრუე“ 27 ქულით მე-13 ადგილზეა.

ისრაელის ჩემპიონატში იშვიათი ამბის მომსწრენი გავხდით - **ლადო დვალიშვილის** „მაქაბიმ“ წააგო. ჰაიფელები ნეთანიას ესტუმრნენ და ადგილობრივ „მაქაბისთან“ 0:1 დათმეს. ლადო დვალიშვილი 57-ე წუთზე შეცვალა **ელიშა ლევიმ**. ლიგატ ჰაალში ლადოს ზედიზედ სამი შეხვედრაა გოლი არ გაუტანია. ნეთანიაში მას სამი 100-პროცენტიანი საგოლე მომენტი ჰქონია. „მაქაბი“ 61 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. **ლევან ხმალაძის** ჰაიფას „ჰაპოელმა“ „ბეითარს“ უმასპინძლა და 3:2 მოუგო, ლევანი სათადარიგოთა სკამზე იჯდა. „ჰაპოელი“ 25 ქულით მე-11 ადგილზეა. **დავით დილმელაშვილის** გუნდი რაანანას „ჰაპოელი“ ფეთაჰ თიკვაში 1:2 დამარცხდა. ქართველი ნახევარმცველი განაცხადშიც არ ყოფილა, „ჰაპოელი“ 17 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა.

ლეუმითლიგაში ქართველთა „სექცია“ იერუსალიმის „ჰაპოელს“ ეწვია და 1:1 დაუზავდა. **გიორგი ჭელიძემ** და **გაგა ჩხეტიანმა** სასტარტოში ითამაშეს, შესვენებაზე ჭელიძე გაიყვანეს. 61-ე წუთზე მოედანზე **შოთა ბაბუნაშვილი** შემოვიდა და 4 წუთში მისმა გუნდმა ჩხეტიანის გოლით გაათანაბრა. გაგამ სეზონში მე-8 გოლი გაიტანა. **რევაზ გოცირიძის** „აჰვა არაბე“ სტუმრად აშკელონის „ჰაპოელთან“ დამარცხდა - 1:3. გოცირიძე სასტარტოში იყო, პირველ ტაიმში ქართველი ფორვარდი გააფრთხილეს, მეორეში კი შეცვალეს. რამათ ჰაშარონში ადგილობრივი „ჰაპოელი“ **გიორგი გაბიდაურის** „ბნეი ლოდს“ 1:1 დაუზავდა, გაბიდაური 57-ე წუთზე შემოვიდა.

საბერძნეთის სუპერლიგაში **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისი“ კრეტაზე ჩემპიონ „ოლიმპიაკოსს“ დაუზავდა - 1:1. შაშიაშვილმა ცენტრალურ მცველად (90 წუთი) ითამაშა. „ერგოტელისი“ 29 ქულით მე-9 ადგილზეა.

სეზონი განახლდა ავსტრიაში, **ილია კანდელაკის** „შტურმმა“ 4:0 გაანადგურა „მატერსბურგი“, მაგრამ ქართველის გარეშე, ილია ტრავმირებულია. „შტურმი“ ბუნდესლიგაში 36 ქულით მე-4 ადგილზეა.

აზერბაიჯანში დუბლით გამოიჩინა თავი **დავით ბოლქვაძემ**, რომლის „სიმურგმაც“ სტუმრად „თურანს“ 2:1 მოუგო, თუმცა აზერბაიჯანის ქართულ ლეგიონზე ხვალ მოგითხრობთ...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლევან კობიაშვილის (შუაში) ჰერტამ ფრაიბურგში მეტად საჭირო სამი ქულა მოიპოვა

### საფრანგეთი

XXV ტური

| | |
|---|---|
| ბულონი-ლე მანი | 1:3 |
| გრენობლი-ვალანსი | 0:1 |
| ლანსი-მონაკო | 3:0 |
| ნიცა-ლორიანი | 1:0 |
| სტ. ეტიენი-მონპელიე | 1:0 |
| პსჟ-ტულუზა | 1:0 |
| მარსელი-ნანსი | 3:1 |
| სოშო-ლიონი | 0:4 |
| რენი-ლილი | 1:2 |
| ბორდო-ოსერი | გადაიდო |

II დივიზიონი

XXV ტური

სედანი-ანჟერსი 2:2; ნანტი-ბასტია 3:1; აიაჩო-კაენი 2:0; სტრასბური-კლერმონი 1:1; ჰავრი-ისტრი 2:1; დიჟონი-მეცი 0:1; ლავალი-ნიმი 0:0; არლი-ტური 1:2; შატორუ-ვანი 0:0; გინგამი-ბრესტი 0:0.

### ჰოლანდია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| როდა-ჰერაკლესი | 2:1 |
| ბრედა-უტრეხტი | 0:2 |
| ვაალვაიკი-ჰერენვენი | 1:2 |
| ვენლო-ალკმაარი | 3:3 |
| ნაიმეგენი-გრონინგენი | 0:2 |
| ფეიენოორდი-დენ ჰააგი | 2:2 |
| აიაქსი-ვიტესი | 4:0 |
| ტვენტე-ვილემი | 1:0 |
| ეინდჰოვენი-სპარტა | 1:1 |

II დივიზიონი

XXVIII ტური

აპელდოორნი-ექსელსიორი 4:2; ვეენდამი-დორდრეხტი გადაიდო; დენ ბოში-გრააფსხაპი 0:3; ეინდჰოვენი II-ცვოლე 0:1; ვოლენდამი-მაასტრიხტი 2:2; ფორტუნა-ემენი 0:2; იგლზი-ტელსტარი 2:1; ჰელმონდი-როსენდაალი 3:0; კამბური-ტოპ ოსი გადაიდო.

### ბელგია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| გენკი-ლოკერენი | 3:1 |
| გენტი-სტ. ტრუიდენი | 0:1 |
| კორტრეიკი-სერკლი | 3:1 |
| ვესტერლო-შარლერუა | 4:0 |
| ვარეგემი-რუზელარე | 1:1 |
| ბრიუგე-სტანდარდი | 2:1 |
| ანდერლეხტი-მეხელენი | 2:0 |

II დივიზიონი

XXVII ტური

ანტვერპენი-ბევერენი 3:1; დენდერი-ტინენი 3:3; ლიერსი-ლიეჟი 3:1; ბერგენი-ტურნე 2:3; ტუბეკე-ბორინაჟი 1:1; ვაასლანდი-ლომელი 0:0; ოსტენდე-ტურნჰაუტი 1:0; ჰევერლე-ბრიუსელი 1:1; სტანდარდი (ვ)-რონსე 1:5.

### პორტუგალია

XX ტური

| | |
|---|---|
| მარიტიმუ-ნასიონალი | 1:1 |
| გიმარაეში-ლეიქსოეში | 2:0 |
| ოლჰანენსე-სპორტინგი | 0:0 |
| რიუ ავე-ფერეირა | 1:2 |
| სეტუბალი-ნავალი | 0:1 |
| პორტუ-ბრაგა | 5:1 |
| ბელენენსეში-აკადემიკა | დღეს |

II დივიზიონი

XX ტური

ოლივეირენსე-ბეირა მარი 2:1; ფეირენსე-სანტა კლარა 2:1; ავეში-კარეგადო 2:1; ეშტორილი-შავეში 2:2; კოვილია-პენაფიელი 2:1; ფატიმა-ჟილ ვისენტე 0:0; პორტიმონენსე-ტროფენსე 1:3; ვარზიმ-ფრეამუნდე 2:2.

### შოტლანდია

XXVI ტური

| | |
|---|---|
| სელტიკი-დანდი იუნ | 1:0 |
| ფალკირკი-აბერდინი | 3:1 |
| კილმარნოკი-სტ. მირენი | 1:1 |
| მოზერველი-ჰიბერნიანი | 1:0 |
| ჰარტსი-ჰემილტონი | 2:0 |
| სტ. ჯონსტონი-რეინჯერსი | გადაიდო |

I დივიზიონი

XXV ტური

დანფერმლაინი-ეირი 0:1; დანდი-პარტიკი 1:0; დანარჩენი მატჩები გადაიდო.

II დივიზიონი

XXVI ტური

ყველა მატჩი გადაიდო.

III დივიზიონი

XXVI ტური

ბირუიკი-ანენი 0:2; ისტ სტირლინგი-ლივინგსტონი 0:2; მონროუზი-ელჯინი 0:4; ქუინზ პარკი-ფორფარი 1:3; სტრანრარი-ალბიონი გადაიდო.

### კვიპროსი

XXII ტური

| | |
|---|---|
| აპოპ-დოქსა | 2:2 |
| აპოელ-ნეა სალამინა | 0:0 |
| აპოლონი-ეთნიკოსი | 3:1 |
| არისი-აელ | 0:0 |
| ენოსისი-აეპ | 5:1 |
| ერმისი-ომონია | 1:2 |
| ანორთოსისი-აეკ | დღეს |

### ავსტრალია

პლეი ოფი

| | |
|---|---|
| გოლდ კოსტი-ნიუკასლი | 0:0 პენ. 5:6 |
| ველინგტონი-პერტი | 1:1 პენ. 4:2 |

### ავსტრია

XXI ტური

| | |
|---|---|
| ვიენა-რაპიდი | 2:2 |
| ავსტრია (ვ)-ავსტრია (კ) | 4:1 |
| კაპფენბერგი-რიდი | 1:1 |
| შტურმი-მატერსბურგი | 4:0 |
| ზალცბურგი-ლინცი | 3:0 |

### საბერძნეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ირაკლისი-ლევადია | 1:1 |
| კავალა-ქსანთი | 2:1 |
| ერგოტელისი-ოლიმპიაკოსი | 1:1 |
| ატრომიტოსი-ასტერასი | 0:0 |
| ლარისა-პანთრაკიკოსი | 0:2 |
| იანინა-პანიონიოსი | 2:3 |
| აეკ-არისი | 1:0 |
| პაოკ-პანათინაიკოსი | 2:1 |

II დივიზიონი

XXII ტური

პანაიტოლიკოსი-ანაგენისი 1:0; აგროტიკოსი-კალამატა 2:2; ილიუპოლი-ტრასივულოსი 2:2; კერკირა-ილისიაკოსი 0:1; ოფი-როდოსი 3:0; ოლიმპიაკოსი (ვ)-დოხა 4:0; პიერიკოსი-იონიკოსი 3:0; დიაგორასი-პანსერაიკოსი დღეს; ეთნიკოსი (ა)-ეთნიკოსი (პ) დღეს.

### შვეიცარია

XXI ტური

| | |
|---|---|
| ბაზელი-აარაუ | 2:1 |
| ლუცერნი-ბელინცონა | 2:1 |
| სიონი-ქსამაქსი | 1:1 |
| სტ. გალენი-იანგ ბოიზი | 1:2 |
| ციურიხი-გრასჰოპერსი | გადაიდო |

ჩელენჯლიგა

XVII ტური

ივერდონი-სტად ნიონე 1:0; ვოლენი-კრინსი 2:1; სერვეტი-ვინტერტური 2:1; ლოზანა-ლე მონი 1:2; თუნი-ვილი 1:3; ვადუცი-გოსაუ 2:0; შაფჰაუზენი-ლოკარნო დღეს; ბილი-ლუგანო გადაიდო.

### თურქეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| სივასი-მანისა | 1:0 |
| ესკიშეჰირი-გენჩლერი | 0:0 |
| ტრაბზონი-ბუიუქშეჰირი | 0:0 |
| ანკარა-კაისერი | 0:3 |
| ანკარაგუჩუ-ანტალია | 2:2 |
| დიარბაქირი-დენიზლი | 0:2 |
| კასიმპაშა-გაზიანთეპი | 3:0 |
| ბეშიქთაში-გალათასარაი | 1:1 |
| ფენერბახჩე-ბურსა | დღეს |

II დივიზიონი

XXIII ტური

ბუკა-ქართალი 1:1; ადანა-ბოლუ 2:1; ალთაი-რიზე 1:0; ერჩიესი-ქარსიაქა 2:2; ბბ გაზიანთეფი-მერსინი 2:0; გირეშუნი-ქოჯაელი 3:0; ქონია-ორდუ 1:1; სამსუნი-პაჩეთეფე 4:1; დარდანელი-ქარაბუქი დღეს.

### უელსი

XXV ტური

| | |
|---|---|
| ბანგორი-ჰევერფორდვესტი | 3:2 |
| კარმარტენი-ქერსოუსი | 1:0 |
| ქონაჰსი-აბერისტვითი | 0:3 |
| ნიუთაუნი-ტნს | 0:2 |
| პორტ ტელბოტი-უელშპული | 3:0 |
| პორტმედოგი-რილი | 0:2 |
| ბალა თაუნი-ლანელი | გადაიდო |
| ეირბასი-პრესტატინი | გადაიდო |

### ისრაელი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| აშდოდი-ჰაპოელი (ბ-შ) | 5:2 |
| ბნეი იეჰუდა-ჰაპოელი (ა) | 2:1 |
| ჰაპოელი (პ-თ)-ჰაპოელი (რ) | 2:1 |
| მაკაბი (ა-ნ)-მაკაბი (პ-თ) | 1:2 |
| ჰაპოელი (ი)-ბეითარი | 3:2 |
| მაკაბი (ნ)-მაკაბი (ჰ) | 1:0 |
| ბნეი სახნინი-ჰაპოელი (რ-გ) | 3:1 |
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (თ-ა) | დღეს |

### რუმინეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ოცელული-ინტერნაციონალი | 1:0 |
| ბრაშოვი-უნირეა (ა) | 2:1 |
| გლორია-ტიმიშოარა | 0:0 |
| პოლიტეხნიკა-რაპიდი | 2:1 |
| სტიაუა-ჩახლაული | 1:3 |
| გაზ მეთანი-ვასლუი | 0:0 |
| პანდური-ასტრა | 0:2 |
| დინამო-უნივერსიტატეა | 2:1 |
| უნირეა (უ)-კლუჟი | დღეს |

### არგენტინა

კლაუსურა

V ტური

| | |
|---|---|
| ჩაკარიტა-კოლონი | 1:2 |
| ველესი-ინდეპენდიენტე | 3:0 |
| ტიგრე-ხიმნასია (ლ-პ) | 1:1 |
| ნიუელსი-ლანუსი | 1:1 |
| რასინგი-სან ლორენსო | 1:0 |
| ბანფილდი-როსარიო | 0:0 |
| რივერ პლეიტი-არსენალი | 1:1 |

### ბრაზილია

პაულისტა

| | |
|---|---|
| პალმეირასი-სან პაულუ | 2:0 |
| ბარუერი-სანტო ანდრე | 1:3 |
| მირასოლი-სანტოსი | 1:2 |

ინტერვიუ

# მიწევის იმედი ყველა ასეთ ფეხბურთელს გვქონდა

« მე-????? გვერდიდან

- თითქმის ყველა მოგვიწვიეს რუსეთიდან, ამას გარდა, ნაკრებში დაბრუნდნენ კანდელაკი ავსტრიიდან და შაშიაშვილი საბერძნეთიდან. ვფიქრობ, ეს ლოგიკურიც იყო. ძალიან მაინტერესებს, რა ნაკრები ჩამოყალიბდება, მაგრამ აშკარად სხვა გუნდი იქნება და ვფიქრობ, წინაზე ბევრად ძლიერიც.

**- ნაკრებში ორ ნალჩიკელს, თქვენ და გოგიტა გოგუას გიწვევდნენ. რა ხდებოდა თქვენს თავს, რატომ იყავით იგნორირებულნი?**

- ეს იმდენად უსიამოვნო თემაა, მისი გახსენებაც ალარ მსურს. მთავარია, ქეცბაიამ თავისი ნაბიჯით ძალიან გაგვახარა. მე ყოველთვის ვამბობდი - ნაკრები ჩემთვის მნიშვნელოვანია და სიამოვნებით ჩამოვალ-მეთქი. ქეცბაიამ ძალიან ბევრ ფეხბურთელს უდიდესი სტიმული მისცა, მათ შორის, მეც.

**- ტოპმიოლერი და კუპერი, ფაქტობრივად, არ გიწვევდნენ. ნაკრებში თამაშის იმედი ალბათ ალარ გქონდათ...**

- ქეცბაიასგან მიწვევას მაინც ველოდი. ის უანგარო და წესიერი პიროვნებაა. ეს იმედი არა მხოლოდ მე, ყველა იმ ფეხბურთელს გვქონდა, რომელთაც ყურადღებას არ აქცევდნენ. ახლა უკვე ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ გავამართლებთ იმედებს - ესტონეთთან უნდა დავამტკიცოთ, რომ გამოძახებას ვიმსახურებთ.

**- რაც შეეხება თქვენს საკლუბო კარიერას, ბევრი რამ გაურკვეველია. ნალჩიკის „სპარტაკში“ რჩები?**

- კონტრაქტის დასრულებამდე ნახევარი წელია დარჩენილი. იყვნენ დაინტერესებული კლუბები, მაგრამ ნალჩიკელებმა ბევრი მოითხოვეს, მეც არ მიაქტიურია, ასე რომ, დავრჩები კონტრაქტის ბოლომდე, მერე კი ახალ კლუბს მოვძებნი. წინასწარ ლაპარაკს რა აზრი აქვს? ვნახოთ, რალაცა გამოჩნდება. ნალჩიკზე უკეთეს გუნდში გადასვლა მინდა. თუ არ გამოვიდა, აქ გაუმჯობესებულ პირობებს მთავაზობენ.

**- ნალჩიკზე უკეთესი თუნდაც დაშლის პირას მყოფი სამარის „კრილია სოვეტოვია“...**

- მე ვერ ვიტყვი, რომ უკეთესი გუნდია, სახელი კი აქვს, მაგრამ ბოლო დროს ძალიან დასუსტდა. დღეს რუსეთში 6 მაღალი დონის კლუბია და ჩემი სურვილი რომელიმე მათგანში მოხვედრაა. ისე, ბევრ გუნდს გაუჭირდა. მაგალითად, „მოსკვას“, რომელიც მეექვსე ადგილზე გავიდა, დაფინანსება შეუწყვიტეს და საერთოდ დაიშალა, მის ნაცვლად კი ახალი სეზონიდან ვლადიკავკაზის „ალანია“ დაუშვეს. იმავე ვითარებაში იყო „კრილია სოვეტოვიც“, მაგრამ პუტინი ჩაერია და, ალბათ, გადარჩებიან.

**- საინტერესოა, რუსეთის პრემიერლიგაში მოთამაშე მცველის აზრი გია გრიგალავაზე, რომელიც „როსტოვისა“ და რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. რეალურად, მას საქართველოში კარგად არც იცნობენ...**

- მე მიმაჩნია, რომ რუსეთის პრემიერლიგაში გია ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია, ძალიან პერსპექტიული ბიჭია და მგონი, სერიოზული ფეხბურთი უნდა ითამაშოს. მას საამისოდ ყველა მონაცემი აქვს - მაღალი, ძლიერი, საკმაოდ ტექნიკურია და მებრძოლი.

**- რა შთაბეჭდილება დაგრჩათ საქართველოს ჩემპიონატზე?**

- დიდი ხანია, თბილისის „დინამოს“ თამაში არ მენახა და უნდა გითხრათ, ძალიან მომეწონა - გააზრებულ, სწრაფ და მწვავე ფეხბურთს თამაშობს...

**მერაბ მამულაშვილი**




ევერტონმა მანჩესტერს შანსი არ დატოვა

# მილანმა მანჩესტერს ლივერპულში მოუგო

„დღევანდელ დამარცხებაზე, რასაკვირველია, მილანის თამაშმა იმოქმედა. როცა ასეთ დიდ შეხვედრაში მთელ ძალ-ღონესა და ემოციას ხარჯავ, ძნელია, შემდეგი მატჩი კვლავ ძლიერად ჩაატარო", - თქვა „ევერტონთან" დამარცხებული „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა**, თუმცა იქვე დასძინა:

„მაგრამ, რაც არ უნდა ყოფილიყო მიზეზი, ასე ცუდად თამაში მეტისმეტი გახლდათ. შეხვედრის დასაწყისში კი გვქონდა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი და ისინი რომ გამოგვეყენებინა, ორი ან სამი ბურთით დავწინაურდებოდით, მაგრამ ამის ნაცვლად „ევერტონმა" ანგარიში გაგვითანაბრა, რამაც თამაშის სახე ცოტათი შეცვალა. თუმცა ეს კიდევ არ იყო ძალიან ცუდი - ყველაზე ცუდი მეორე ტაიმი გახლდათ. შესვენების შემდეგ საშინლად ვითამაშეთ, არადა, როცა ჩემპიონობისთვის იბრძვი, ნებისმიერი ვითარებისთვის მზად უნდა იყო".

„ევერტონს" კი ქება და დიდება: **უეინ რუნის** ბავშვობის გუნდმა პრემიერლიგის წინა შეხვედრაში „ჩელსის" მოუგო, შაბათს კი ზედ „იუნაიტედიც" მიაყოლა. ისევე როგორც ათი დღის წინ ლონდონელებთან, **დევიდ მოიესის** ბიჭებმა ამ შემთხვევაშიც პირველი გოლი გაუშვეს და შემდეგ, განა მხოლოდ ანგარიშის გათანაბრება იკმარეს, მოიგეს კიდეც. საინტერესოა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" კარში გამარჯვების (მეორე და მესამე) გოლები შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა - **დენ გოსლინგმა** და **ჯეკ როდუელმა** გაიტანეს - ასეთ დროს ამბობენ, მწვრთნელმა შეცვლები გამოიცნოო, თუმცა, შესაძლოა უბრალოდ გაუმართლა კიდეც. და თუ პენალტების სერიაში მოგებას არ ჩავთვლით, ეს გახლდათ ბოლო ხუთ წელიწადში „ევერტონის" პირველი გამარჯვება ფერგიუსონის გუნდთან. შეგვიძლია სხვანაირადაც დავთვალოთ: ეს იყო ამ გუნდების ბოლო 32 დაპირისპირებაში ლივერპულელთა მეორე მოგება. კიდევ, შეხვედრის წინ ბევრს ლაპარაკობდნენ რუნიზე, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფორვარდმა ბოლო დროს ეფექტურად ითამაშა და მსოფლიო ახალი, ძალიან დიდი ვარსკვლავის გამოჩენაზე ალაპარაკა, მეორე კი იმიტომ, რომ იგი თავისი ქალაქისა და ბავშვობისდროინდელი გუნდის წინააღმდეგ გამოდიოდა. უნდა ითქვას, რომ რამდენიმე დღის წინ „სან სიროზე" სასწაულების ჩამდენმა 24 წლის თავდამსხმელმა „გუდისონ პარკზე" შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ამავე შეხვედრაში ნათლად გამოჩნდა, რომ სერ ალექსმა დროა ბულგარელი ფორვარდის **დიმიტარ ბერბატოვის** თავიდან მოშორებაზე იფიქროს. 30,75 მილიონ გირვანქად ნაყიდი ყოფილი თუ ჯერ კიდევ მოქმედი ვარსკვლავი მიმომხილველების აზრით „იუნაიტედის" ზარალად იქცა. ყოველი მომდევნო ტური ადასტურებს, რომ ბერბა ინგლისის ჩემპიონთა შემადგენლობაში პერიფერიული ფიგურაა.

ლიდერმა „ჩელსიმ" კი მდევრის წაფორხილებით ისარგებლა და **დიდიე დროგბას** ორი გოლით ვულვერჰემპტონში გაიმარჯვა. ახლა დასავლეთლონდონელებსა და მანჩესტერელებს შორის სხვაობა ოთხი ქულაა. სხვათა შორის, ეს მოგება **კარლო ანჩელოტის** მოთამაშეებისთვის ბოლო შვიდ სტუმრად ჩატარებულ შეხვედრაში მხოლოდ მეორე გახლდათ. რაც შეეხება დროგბას, მან მიმდინარე სეზონში, ყველა შეჯიბრებაში ერთად, უკვე 25 გოლი შეაგდო - უნდა ითქვას, რომ „ვულვზსა" და „ჩელსის" შორის განსხვავება სწორედ კოტდივუარელმა განაპირობა, თორემ მასპინძლები „ლურჯებს" თამაშით სულაც არ ჩამორჩებოდნენ. მეტიც, მეკარეთა შორის **პეტრ ჩეხი** უფრო დაკავებულიც კი იყო. ჩეხმა მეორე ტაიმის დასაწყისში რამდენჯერმე იხსნა თავისი გუნდის კარი გოლისგან და ჩემპიონატის დამთავრებამდე 11 ტურით ადრე ცხრილის სათავეში პოზიციების გამყარებაში დიდი წვლილი შეიტანა. აი, „ვულვზზე" კი იმის თქმა შეიძლება, რომ ეს გუნდი მიმდინარე სეზონში საგოლე მომენტების გამოყენებაში მოიკოჭლებს, რაც ამ დღესაც დამტკიცდა.

„მოედანზე რომ გავდიოდით, „ევერტონისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" თამაშის შედეგი უკვე ვიცოდით, - განაცხადა მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ, - მიხარია, რომ შექმნილი ვითარებით ვისარგებლეთ. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ კარგად ნამდვილად არ გვითამაშია. მოსაწონი მხოლოდ საბრძოლო სულისკვეთება იყო. მომეწონა, როგორ იბრძოდნენ ბიჭები ყოველი ბურთისთვის. თუმცა, ჩემპიონატის დასრულება ჯერ შორსაა და გადაწყვეტილი არაფერია. წინ ძალიან ბევრი და მძიმე ბრძოლა გველის".

ამასობაში „მანჩესტერ იუნაიტედს" ქვემოდან „არსენალი" მიუახლოვდა - **არსენ ვენგერის** გუნდმა „სანდერლენდს" უმასპინძლა და 2:0 მოუგო. ამ შეხვედრის მიმოხილვისას, ალბათ, პირველი ის უნდა ითქვას, რომ მართალია **თეო უოლკოტს** ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიმავალი ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ადგილი არ დაუბევებია, მაგრამ თუ ასე გააგრძელა, სამხრეთ აფრიკაში ვიხილავთ. ზოგმა მიმომხილველმა ისიც კი დაწერა, რომ ამ დღეს უოლკოტი ძალიან ჰგავდა საკუთარ თავს იმ შეხვედრიდან, როდესაც ზაგრებში ხორვატიის ნაკრებს სამი გოლი გაუტანა. ამჯერად „არსენალის" გარემარბს გოლები არ გაუტანია - ეს **ნიკლას ბენდტნერმა** და **სესკ ფაბრეგასმა** გააკეთეს - მაგრამ მეტოქის დაცვას შავი დღე აყარა.

მატჩის შემდეგ ვენგერს ჰკითხეს, დაუბრუნდა თუ არა „არსენალი" საჩემპიონო რბოლას, რაზეც „მეთოფეთა" მწვრთნელმა მიუგო: „დავუბრუნდით, თუმცა ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, ჩვენი თამაშები მოვიგოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ ვინც ჩვენზე წინ არის, ქულებს დაკარგავს. ჩვენ მათ ველარ დავაბრკოლებთ".

„ვესტ ჰემმა" პრემიერლიგაში ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა, თან 3:0. „ჩაქუჩებმა" ასე „ჰალ სიტის" მოუგეს და თამაშის ბოლოს ცხრა ფეხბურთელით დარჩენილი მეტოქე ცხრილის ფსკერთან ძალიან ახლოს დატოვეს. „ჰალის" მოთამაშეთა რიცხვი ცხრამდე იმიტომ შემცირდა, რომ თავიდან, 53-ე წუთზე, მეორე ყვითლის გამო, **კრეიგ ფეგანი** გააძევეს, ხოლო საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე, როდესაც სტუმრებს სამივე ფეხბურთელი უკვე შეცვლილი ჰყავდათ, **ენტონი გარდნერმა** კოჭი იტკინა და იძულებული გახდა მოედანი დაეტოვებინა.

მოედანზე 10 კაცით დარჩენილმა „სტოკ სიტიმ" „პორტსმუთს" 90-ე წუთზე შეცვლაზე შესული **სალიფ დიაოს** გოლის წყალობით მოუგო. „სტოკს" 73-ე წუთზე ორი ყვითლის ძალით **ენდი უილკინსონი** გაუძევეს.

...და როგორი იყო კვირა დღის მთავარი შეხვედრა, რომელიც მანჩესტერის ისტლენდზე „სიტისა" და მის მთავარ კონკურენტს, „ლივერპულს" შორის გაიმართა? ამ კითხვაზე ძალიან მკაფიოდ მატჩის სტატისტიკა მეტყველებს. დააკვირდით რამდენჯერ დაარტყეს მეტოქეებმა ერთმანეთის კარის მიმართულებით ამ შეხვედრაში და შეადარეთ იგი სხვა შეხვედრების მაჩვენებელს - ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მოსაწყენი მატჩი გამოვიდა, რაც მისმა მნიშვნელოვნებამ განაპირობა. მასპინძელთაგან ყველაზე კარგი საგოლე მომენტი **ემანუელ ადებაიორს** ჰქონდა, მაგრამ ახლოდან მისი დარტყმული მერსისაიდელთა გოლკიპერმა **პეპე რეინამ** მოიგერია. ეს შეხვედრა მნიშვნელოვანი გახლდათ იმით, რომ ექვსკვირიანი არყოფნის შემდეგ მოედანს „ლივერპულის" ესპანელი ფორვარდი **ფერნანდო ტორესი** დაუბრუნდა.

პრემიერლიგის ტოპოთხეულში ადგილის მოპოვებისთვის ბრძოლას აგრძელებს ბირმინგემის „ასტონ ვილაც". „ვილამ" „ბარნლი" გაანადგურა. არადა, შეხვედრაში თავიდან „ბარნლი" დაწინაურდა - რასაც მასპინძელთა ხუთი გოლი მიჰყვა. სტუმრებმა მეორე ბოლოსლა გაიტანეს.

ბირმინგემის მეორე გუნდმა „ბირმინგემმა" „ფულჰემთან" წააგო. ლონდონელთა გამარჯვების გოლი მსაჯის წამატებულ წუთებში **ბობი სამორამ** ჯარიმიდან ჩაახვია. „ბლექბერნმა" კი „ბოლტონს" დიდ თოვაში სამი უპასუხო გოლი გაუტანა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

### გადმოტანებული მატჩი

23 თებერვალი. **მანჩესტერ იუნაიტედი-ვესტ ჰემი.**

### მომდევნო ტური

27 თებერვალი. **ჩელსი-მანჩესტერ სიტი, ბიემინგემი-უიგანი, ბოლტონი-ვულვზი, ბარნლი-პორტსმუთი, სტოკი-არსენალი.** 28 თებერვალი. **ტოტენჰემი-ევერტონი, ლივერპული- ბლექბერნი, სანდერლენდი-ფულჰემი, ჰალი-ასტონ ვილა გადაიდო.**

### ევერტონი-მანჩესტერ იუნ 3:1

**ევერტონი:** ჰოვარდი, ფ. ნევილი, ჰეიტინგა, დისტენი, ბაინესი, ბელიალეტდინოვი (70. გოსლინგი), არტეტა, ოსმანი, დონოვანი, პიენაარი (88. როდუელი), საა.

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ვან დერ სარი, გ. ნევილი, ბრაუნი, ევანსი, ევრა, ვალენსია (81. ოუენი), ფლეტჩერი, ქერიკი, პარკი (66. ობერტანი), ბერბატოვი (66. სქოულზი), რუნი.

**გოლები:** 0:1 ბერბატოვი (16), 1:1 ბელიალეტდინოვი (19), 2:1 გოსლინგი (76), 3:1 როდუელი (90)

**გაფრთხილება:** 5-1; **კუთხური:** 4-12 **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 12-12 (5-2); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 39 448

### არსენალი-სანდერლენდი 2:0

**არსენალი:** ალმუნია, ებუ (90. დენილსონი), ვერმელენი, სილვესტრი, კლიში, ფაბრეგასი, სონგი, რემსი, უოლკოტი (78. სანია), ბენდტნერი, ნასრი (73. როსიცკი).

**სანდერლენდი:** გორდონი, ჰატონი, ტერნერი, მენსა, მაკარტნი (85. ბერდსლი), კემპბელი, კანა, ფერდინანდი, ბენტი, რიჩარდსონი (76. ზენდენი), ჯონსი (79. მვარუვარი).

**გოლები:** 1:0 ბენდტნერი (27), 2:0 ფაბრეგასი (90-პენ)

**გაფრთხილება:** 1-5; **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 9-12; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 24-7 (7-3); **ბურთის ფლობა:** 69%-31%.

**მაყურებელი:** 60 083

### ვესტ ჰემი-ჰალი 3:0

**ვესტ ჰემი:** გრინი, ფაბერი, ტომკინსი, აპსონი, სპექტორი, ბეჰრამი, პარკერი, კოვაჩი, დიამანტი (86. კოლისონი), ფრანკო (63. ილანი), კოული (79. მიდო).

**ჰალი:** მიჰილი, მაკშეინი, მოუიოკოლო, გარდნერი, დოუსონი, ფეგანი, ბოატენგი, კეირნი (65. ალტიდორი), ჰანტი (65. ბარმბი), ვენეგოორი, ზაკი (65. ოლოფინიანა).

**გოლები:** 1:0 ბეჰრამი (3), 2:0 კოული (59), 3:0 ფაბერი (90)

**გაძევება:** ფეგანი (53. ჰალი)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 22-8 (9-2); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 33 971

### ვულვზი-ჩელსი 0:2

**ვულვზი:** ჰანემანი, ზუბარი, კრედოკი, ბერა, უორდი, ფოული (77. ჰელფორდი), ჰენრი, გედიურა, ჯონსი (77. ებანკს-ბლეიკი), ჯერვისი (77. ბია), დოილი.

**ჩელსი:** ჩეხი, პაულო ფერეირა, ივანოვიჩი, ტერი, ჟირკოვი (56. ბრუმა), ობი მიკელი, ბალაკი, მალუდა, ჯ. კოული, ანელკა, დროგბა.

**გოლები:** 0:1 დროგბა (40), 0:2 დროგბა (67)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 1-5; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 13-8 (5-2); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 28 978

### პორტსმუთი-სტოკი 1:2

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ფინანი (86. ვებერი), უილსონი, ჰრეიდარსონი, ბელჰაჯი, დიოპი, იებდა (66. უტაკა), ოჰარა, ქუინსი, პიკიონი (45. კანუ), დინდანე.

**სტოკი:** სორენსენი, უილკინსონი, შოუკროსი, ჰუთი, კოლინზი, დილეპი, უაიტჰედი, უილანი, თუნჯაი (76. დიაო), ფულერი (90. კიტსონი), სიდიბე.

**გოლები:** 1:0 პიკიონი (35), 1:1 ჰუთი (50), 1:2 დიაო (90)

**გაძევება:** უილკინსონი (73. სტოკი)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 16-14 (3-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 17 208

### ბლექბერნი-ბოლტონი 3:0

**ბლექბერნი:** რობინსონი, სალგადო, ნილსენი (39. გრელა), ჟივე, ოლსონი, ენდრიუსი, ნზონზი, პედერსენი, ჰოილეტი (61. რობერტსი), კალინიჩი (87. დანი), დიუფი.

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, სტეინსონი, ნაითი, რიკეტსი, რობინსონი, ლი, მუამბა (59. მ. დევისი), გარდნერი, ტეილორი (59. ვეისი), კ. დევისი, ელმანდერი (69. კლასნიჩი).

**გოლები:** 1:0 კალინიჩი (41), 2:0 რობერტსი (73), 3:0 ჟივე (84)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 8-3 **ჯარიმა:** 16-12; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 13-11 (7-5); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 23 888

### ასტონ ვილა-ბარნლი 5:2

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, კუელიარი, კოლინზი, დანი, უორნოკი, იანგი (82. სიდუელი), მილნერი, პეტროვი, დაუნინგი, აგბონლაჰორი (72. კარეუ), ჰესკი (77. დელფუნესო).

**ბარნლი:** იენსენი, მირსი, კერლისლი, კორტი, ფოქსი, ნაჯენტი (70. ნიმანი), ბიკეი, კორკი, იგლზი, მაკდონალდი (64. ელიოტი), ფლეტჩერი (82. პეტერსონი)

**გოლები:** 0:1 ფლეტჩერი (10), 1:1 იანგი (32), 2:1 დაუნინგი (56), 3:1 დაუნინგი (78), 4:1 ჰესკი (61), 5:1 აგბონლაორი (68), 5:2 პეტერსონი (90)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 9-5 **ჯარიმა:** 7-15; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 19-13 (9-4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 38 709

### ფულჰემი-ბირმინგემი 2:1

**ფულჰემი:** შვარცი, ბეირდი, ჰიუზი, ჰანგელანდი, შორი, დაფი, მერფი (90. სმოლინგი), ეტუჰუ, ს. დევისი (83. რიისე), გერა, სამორა.

**ბირმინგემი:** ჰარტი, კარი, ჯონსონი, დანი, რიჯუელი, ლარსონი (68. გარდნერი), ფერგიუსონი (90. მიჩელი), ბოიერი, ფეჰეი, მაკფადენი, ჯერომი (77. ფილიპსი).

**გოლები:** 0:1 ბეირდი (3-საკ. კარში), 1:1 დაფი (59), 2:1 სამორა (90)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 3-1 **ჯარიმა:** 10-17; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 13-10 (6-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 21 758

### მანჩ. სიტი-ლივერპული 0:0

**მანჩესტერ სიტი:** გივენი, საბალეტა, კომპანი, ლესკოტი, ბრიჯი, დე იონგი, აირლენდი (76. იბრაჰიმი), ბერი, რაიტ-ფილიპსი (68. ბელამი), ჯონსონი, ადებაიორი.

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, შკრტელი, აგერი, ინსუა, ბაბელი (75. ფერნანდო ტორესი), ლუკას ლეივა, მასკერანო, მაქსი როდრიგესი (63. ბენაიუნი), ჯერარდი, კუიტი (87. აკვილანი).

**გაფრთხილება:** 1-6; **კუთხური:** 8-6 **ჯარიმა:** 9-15; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 5-7 (1-1); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 47 203

### უიგანი-ტოტენჰემი 0:3

**უიგანი:** კირკლენდი, მელხიოტი, კოლდუელი, შარნერი, ფიგეროა, ნზოგბია, დიამე, ტომასი (56. მოზესი), მაკარტი, მორენო (76. სინკლერი), როდალეგა.

**ტოტენჰემი:** გომესი, ჩორლუკა, დოუსონი, კინგი (52. ბასონგი), ბეილი, ბენტლი, პალასიოსი, ჰადლსტოუნი, კრანჩარი (69. მოდრიჩი), დეფო (73. პავლიუჩენკო), კრაუჩი.

**გოლები:** 0:1 დეფო (27), 0:2 პავლიუჩენკო (84), 0:3 პავლიუჩენკო (90)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 3-2 **ჯარიმა:** 17-14; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 8-13 (3-10); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 16 165

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 27 | 19 | 4 | 4 | 63-22 | 61 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 27 | 18 | 3 | 6 | 63-24 | 57 |
| 3. არსენალი | 27 | 17 | 4 | 6 | 63-30 | 55 |
| 4. ტოტენჰემი | 27 | 13 | 7 | 7 | 48-26 | 46 |
| 5. მანჩესტ. სიტი | 26 | 12 | 10 | 4 | 48-33 | 46 |
| 6. ასტონ ვილა | 26 | 12 | 9 | 5 | 37-21 | 45 |
| 7. ლივერპული | 27 | 13 | 6 | 8 | 43-27 | 45 |
| 8. ევერტონი | 26 | 10 | 8 | 8 | 38-37 | 38 |
| 9. ფულჰემი | 27 | 10 | 7 | 10 | 32-29 | 37 |
| 10. ბირმინგემი | 26 | 10 | 7 | 9 | 25-28 | 37 |
| 11. სტოკი | 26 | 8 | 10 | 8 | 26-29 | 34 |
| 12. ბლექბერნი | 27 | 9 | 7 | 11 | 29-43 | 34 |
| 13. ვესტ ჰემი | 26 | 6 | 9 | 11 | 35-40 | 27 |
| 14. სანდერლენდი | 26 | 6 | 8 | 12 | 32-44 | 26 |
| 15. უიგანი | 26 | 6 | 7 | 13 | 26-52 | 25 |
| 16. ვულვზი | 26 | 6 | 6 | 14 | 21-44 | 24 |
| 17. ჰალი | 27 | 5 | 9 | 13 | 25-54 | 24 |
| 18. ბოლტონი | 26 | 5 | 8 | 13 | 29-49 | 23 |
| 19. ბარნლი | 26 | 6 | 5 | 15 | 27-55 | 23 |
| 20. პორტსმუთი | 26 | 4 | 4 | 18 | 21-44 | 16 |

**ბომბარდირები:** 21 - რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 19 - დროგბა (ჩელსი); 16 - დეფო (ტოტენჰემი); 15 - ბენტი (სანდერლენდი); 13 - საა (ევერტონი), ტევესი (მანჩესტერ სიტი); 12 - ფაბრეგასი (არსენალი), ტორესი (ლივერპული); 11 - აგბონლაორი (ასტონ ვილა); 10 - ლემპარდი (ჩელსი).

## ჩემპიონშიპი

### XXXII ტური

**ბლექპული-რედინგი 2:0**
გოლები: 1:0 კემპბელი (41), 2:0 ადამი (74)

**კარდიფი-ბარნსლი 0:2**
გოლები: 0:1 ბოგდანოვიჩი (9), 0:2 ბოგდანოვიჩი (12)

**კრ. პალასი-ქოვენთრი 0:1**
გოლი: 0:1 ბელი (85)

**დერბი ქაუნთი-სუონსი 0:1**
გოლი: 0:1 კუგი (66)

**ნიუკასლი-პრესტონი 3:0**
გოლები: 1:0 ლავენკრენდსი (3), 2:0 ნოლანი (55), 3:0 ტეილორი (90)

**ნოტინგემი-მიდლსბრო 1:0**
გოლი: 1:0 კოენი (72)

**პლიმუთი-ლესტერი 1:1**
გოლები: 0:1 არნესონი (32-საკ. კარში), 1:1 ნუნი (39)

**ქუინზ პარკი-დონკასტერი 2:1**
გოლები: 1:0 გერმანი (25), 1:1 ჰეიტერი (51), 2:1 სიმპსონი (76)

**სკანთორპი-უოტფორდი 2:2**
გოლები: 1:0 ჰუპერი (42), 1:1 გრემი (64), 1:2 იუსტეისი (90), 2:2 ჰუპერი (90-პენ)

**შეფილდ უენ-იფსვიჩი 0:1**
გოლი: 0:1 ედუარდსი (15)

**პიტერბორო-შეფილდ იუნ გადაიდო**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუკასლი | 32 | 19 | 9 | 4 | 56-22 | 66 |
| 2. ნოტინგემი | 33 | 17 | 10 | 6 | 48-24 | 61 |
| 3. ვესტ ბრომვ. | 31 | 17 | 9 | 5 | 62-32 | 60 |
| 4. სუონსი | 32 | 13 | 14 | 5 | 29-22 | 53 |
| 5. კარდიფი | 31 | 14 | 7 | 10 | 56-38 | 49 |
| 6. ლესტერი | 31 | 12 | 12 | 7 | 38-31 | 48 |
| 7. ბლექპული | 33 | 12 | 11 | 10 | 50-40 | 47 |
| 8. შეფილდ იუნ. | 32 | 12 | 9 | 11 | 44-43 | 45 |
| 9. მიდლსბრო | 33 | 12 | 8 | 13 | 43-37 | 44 |
| 10. ქოვენთრი | 33 | 11 | 10 | 12 | 37-45 | 43 |
| 11. ბარნსლი | 32 | 12 | 6 | 14 | 42-48 | 42 |
| 12. დონკასტერი | 31 | 10 | 10 | 11 | 38-38 | 40 |
| 13. უოტფორდი | 30 | 10 | 9 | 11 | 43-45 | 39 |
| 14. დერბი | 32 | 11 | 6 | 15 | 38-45 | 39 |
| 15. პრესტონი | 32 | 10 | 9 | 13 | 37-48 | 39 |
| 16. ბრისტოლი | 31 | 8 | 14 | 9 | 35-43 | 38 |
| 17. ქუინზ პარკი | 31 | 9 | 10 | 12 | 43-49 | 37 |
| 18. სკანთორპი | 32 | 10 | 7 | 15 | 39-58 | 37 |
| 19. იფსვიჩი | 31 | 7 | 15 | 9 | 36-44 | 36 |
| 20. რედინგი | 31 | 9 | 8 | 14 | 35-49 | 35 |
| 21. შეფილდ უენ. | 32 | 9 | 7 | 16 | 36-50 | 34 |
| 22. კრ. პალასი | 31 | 11 | 10 | 10 | 34-35 | 33 |
| 23. პლიმუთი | 31 | 8 | 5 | 18 | 29-43 | 29 |
| 24. პიტერბორო | 32 | 5 | 9 | 18 | 36-55 | 24 |

**ბომბარდირები:** 16 - უიტინგემი (კარდიფი); 14 - ჩოპრა (კარდიფ სიტი); 12 - ემბროუზი (კრისტალ პალასი), ჰენდერსონი (შეფილდ იუნ), ადამი (ბლექპული), ჰუპერი (სკანთორპი), შარპი (დონკასტერი).

## პირველი ლიგა

### XXXII ტური

ჩარლტონი-იეოვილი 2:0, კოლჩესტერი-ოლდჰემი 1:0, ექსეტერი-სტოკპორტი 0:1, ჯილინგემი-ბრისტოლი 1:0, ჰარტლპული-ჰადერსფილდი 0:2, ლიდსი-ბრაიტონი 1:1, მილტონი-საუთენდი 3:1, ნორვიჩი-საუთჰემპტონი 0:2, სვინდონი-კერლისლი 2:0, ტრანმერი-ლეიტონი 2:1, უოლსოლი-ბრენტფორდი 2:1, უაიკომბი-მილუოლი 1:0.

## მეორე ლიგა

### XXXII ტური

ეკრინგტონი-ბრედფორდი 2:0, ბურნმუთი-მაკლსფილდი 1:1, ოლდერშოტი-ნოთს ქაუნთი 1:1, ჩელტენჰემი-მორკეიმბი 2:0, ქრუ-ნორსემპტონი 3:2, დარლინგტონი-ჩესტერფილდი 2:3, გრიმსბი-ლინკოლნი 2:2, ჰერეფორდი-ბარტონი 3:4, პორტ ვეილი-ბარნეტი 0:2, როჩდეილი-დაგენჰემი 3:1.

## კონფერენსი. გადადებული მატჩები

ისტბერნი-ელტრინჩემი 2:2, ფორესტ გრინი-კემბრიჯი 1:1, გეიტსჰედი-ებსფლიტი 1:3, ლუტონი-უიმბლდონი 1:2, ვრექსჰემი-ქროული 2:0.

*დანარჩენი მატჩები გადაიდო*

# გახსოვდეს მოლოუნი და მადეირა

## ორი გრანდის დოლი: რეალი 6, ბარსა 4

კარგია, როცა მწვრთნელი რეალობის შეგრძნებას მაშინაც კი არ კარგავს, როცა ყველაფერი მშვენივრადაა - შაბათს **ხოსეპ გვარდიოლამ** „ბარსელონას" თავკაცის პოსტზე საიუბილეო, მე-100 მატჩში 4:0 იმარჯვა სანტანდერის „რასინგზე", მაგრამ გამოვიდა მატჩის შემდეგ და თქვა ის, რა გრძნობაც ჩვენ ამ თამაშმა დაგვიტოვა: *„ჩვენ მოვიგეთ დამაჯერებლად, მაგრამ გაბრწყინების გარეშე. ბევრი რამ ძალიან კარგად გავაკეთეთ, თუმცა უმაღლეს დონეზე წარმატებისთვის გაცილებით მეტია საჭირო, საკუთარ თავებს მეტი თავდადება უნდა მოვთხოვოთ. კარგად არ გვითამაშია, მაგრამ კარგ შედეგს მივაღწიეთ - თავს, რა თქმა უნდა, კარგად ვიცავდით, მაგრამ რიტმს ვკარგავდით, როცა ბურთს ვაკონტროლებდით"*, - განაცხადა „იუბილარმა".

თამაშიდან კი ბევრი ნიუანსის გამოყოფა შეიძლება - **ტიერი ანრიმ** გოლის გატანის გემო ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმო დარტყმით გაიხსენა, ჩემპიონატში პირველად „ბარსამ" **ჩავი ერნანდესის** გარეშე (აქედან ის დაკარგული რიტმიც, რაზეც პეპმა დაიჩივლა) ითამაშა, სეზონში პირველად მოირგო „ბლაუგრანას" მაისურა 18 წლის ნახევარმცველმა **ტიაგო ალკანტარამ** და პირველი გოლიც გაიტანა კარიერაში, „კამპ ნოუმ" საოცარი აგრესია გამოხატა 18 წლის **სერხიო კანალესისადმი**, თითქოს ახალგაზრდას უკვე „რეალის" თეთრი მაისურა სცმოდა...



კრიშტიანომ გოლი
მშობლიურ კუნძულს მიუძღვნა

მოდით, **ტიაგოთი** დავიწყოთ. ახალგაზრდამ „ბარსას" მე-4 გოლი გაიტანა, რომელიც თავიდან ბოლომდე **ლეო მესის** ბრწყინვალე თამაშის დამსახურება იყო, არგენტინელმა მეკარის ბაქანზე, ძალიან პატარა მონაკვეთზე პატარა საოცრება მოახდინა და ტიაგოს მხოლოდ კარგად დარტყმა სჭირდებოდა. ტიაგო ალკანტარა ესპანელ-ბრაზილიელი ფეხბურთელია, რომელიც ძალზე ცნობილი მამის შვილია - 1994 წელს ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, გუნდის ერთ-ერთი წევრი **მაზინიო** სწორედ ტიაგოს მამაა, ყოფილ ესპანელ ფრენბურთელ **ვალერია ალკანტარასთან** ერთად. ტიაგო უმცროს ძმა **რაფაელთან** ერთად 2004 წლიდან „ბარსელონაში" იზრდება.

ახლა ანრიზე ვთქვათ, ტიერიმ მატჩის 28-ე წუთზე ცოცხალ კედელს შემოატარა ბურთი და **კოლტორტის** გაუტანა. ეს ფრანგის მხოლოდ მესამე გოლია სეზონში. *„მოდით, ვიმედოვნოთ, რომ ეს გოლი მას ფრთებს შეასხამს და უკეთ აათამაშებს. გუნდს ის ახლა უფრო მეტად სჭირდება და მეც მისგან მეტს ვითხოვ"*, - განაცხადა გვარდიოლამ, როდესაც ტიერი ანრის შესახებ შეეკითხნენ.

მოკლედ, მატჩის ქრონოლოგია თავდაყირა დავაყენეთ, არადა ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მოედანზე გამოსულ „ბარსას" შემადგენლობაში **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ვერ ვიხილეთ, ამის წყალობით შემადგენლობაში თავიდანვე მოხვდა **ბოიან კრკიჩი**. ცუდ დროს ჩავიდა „ვერდიბლანკოსი" კატალონიაში, სეზონის პირველი მარცხის შემდეგ მთელ ბარსელონას გამარჯვება სწყუროდა, თანაც, რაც შეიძლება დამაჯერებელი სხვაობით. ანგარიში მე-7 წუთზე გაიხსნა - **რაფა მარკესმა** თავისი საჯარიმოდან ჩაკიდა მეტოქისაში, ბურთმა იმხელა მანძილი იფრინა, რომ **ხოსე კრესპო** სულ დააბნია, „რასინგის" მცველს უნებურად საგოლე გადაცემა გამოუვიდა **ანდრეს ინიესტას** მისამართით, რომელმაც „ბარსას" რიგებში მე-300 მატჩი ითამაშა. ინიესტამ სეზონში პირველი გოლი გაიტანა. ინიესტას გოლს ანრის საჯარიმო მოჰყვა, რომელიც უკვე აღვწერეთ, შემდეგ კიდევ რაფა მარკესმა დაახლოებით ისეთივე საჯარიმო დარტყმით გაასამა - 3:0.

მეორე ტაიმში ბევრი არაფერი მომხდარა, ტიაგო ალკანტარას სადებიუტო გოლზე კი უკვე ვთქვით. მოკლედ, „ბარსელონამ" ჩემპიონთა ლიგის მნიშვნელოვანი მატჩის წინ კარგად წაივარჯიშა. **მიგელ ანხელ პორტუგალი** ლაკონური იყო: *„ბარსამ" ჩვენ არაფრის შანსი არ მოგვცა"* - „რასინგს" ერთხელაც არ დაურტყამს კარში ზუსტად.

უცნაური ხალხი ცხოვრობს პალმა დე მალიორკაში - შაბათამდე ადგილობრივ გუნდ „რეალ მალიორკას" 10-დან 10 შეხვედრა ჰქონდა მოგებული, ეთამაშებოდა უშუალო კონკურენტს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში და „ონოესტადიზე" 10 ათასი მაყურებელი („ონოესტადი" 23 ათას გულშემატკივარს იტევს) ძლივს შეიკრიბა! არადა ვინც მივიდა, არც მოიწყინა, თუმცა კი შინ განაწყენებული წავიდოდა - სეზონში პირველად, „მალიორკამ" შინ ქულები დაკარგა, თანაც დამარცხდა 9 კაცით მოთამაშე „სევილიასთან" - 1:3.

მე-5 წუთზე მასპინძლები დაწინაურდნენ, **ბორხა ვალერომ** მარჯვენა ფლანგზე გაიბრწყინა, ბოლო მომენტში ჩაწოდებაც მოასწრო და ბურთს პირველი **მარიო სუარესი** გამოეხმაურა. „სევილიას" ფეხბურთელები გოლის გაუქმებას ითხოვდნენ, თუმცა გამეორებაზე გამოჩნდა, რომ ვალერომ მანამდე ჩააწოდა, სანამ ბურთი მთლიანად დატოვებდა მოედანს. მალე „მალიორკა" 2:0 უნდა დაწინაურებულიყო, არადა, ზუსტად მაშინ გაათანაბრა ანდალუსიურმა კლუბმა - **ადურისის** თავური სასწაულებრივ მოიგერია **ანდრეს პალოპმა**, საპასუხო კონტრშეტევამ კი მიზანს უწია - **დუდუ ავატე** მისთვის უჩვეულოდ, უხეშად შეცდა და გოლი **ნეგრედოს** პასით **ხესუს ნავასმა** გაიტანა - 1:1. ამის შემდეგ კი „ონოესტადიზე" მონასტერი აირია - ნეგრედო სრულიად უმიზეზოდ ეუხეშა მეტოქეს, რომელიც უკვე გასცდა მას და დამსახურებულად მიიღო წითელი ბარათი. ტაიმი გუნდებმა თანაბარი შემადგენლობებით დაასრულეს, „მალიორკას" მცველმა **რამისმა** ეპიზოდში დააგვიანა და **დიდიე ზოკორას** ეუხეშა.

10-10-ზე „სევილიას" უპირატესობა გამოიკვეთა, გოლი მომწიფდა და ის... „სევილიას" ვეტერანმა მცველმა **ივიცა დრაგუტინოვიჩმა** საჯარიმო დარტყმით გაიტანა. არავინ ელოდა, რომ „დრაგო" დაარტყამდა, მათ შორის არც დუდუ ავატე, ვფიქრობთ, თავად სერბსაც ჩაწოდება სურდა, მაგრამ საშინელი სიძლიერის დარტყმა გამოუვიდა - 1:2. ხუთ წუთში ცხადი გახდა, რომ „ონოესტადის" ციხე-სიმაგრე დასაცემად იყო განწირული - **ლუიშ ფაბიანომ** და ხესუს ნავასმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელმა (ნავასს ვგულისხმობთ) ზუსტად ისე ჩააწოდა, რომ **პეროტის** გატანა არ გასჭირვებოდა, ავატესა და მის მცველებს შორის დარჩენილ მცირე მონაკვეთზე - 1:3. თამაშის მიწურულს ზოკორამ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, მაგრამ „სევილიას" სანერვიულო არაფერი ჰქონდა, კლუბმა მე-4 ადგილი განიმტკიცა.

შაბათს „დეპორტივომ" „ხერესთან" მატჩის ბედი პირველ ათ წუთში გადაწყვიტა, როცა **ანდრეს გუარდადოს** პენალტით და **რიკის** გოლებით 2:0 დაწინაურდა. მართალია, „ხერესმა" ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ ამან ვერ იხსნა ანდალუსიელი დებიუტანტი სეზონში მე-16 მარცხისაგან. გუარდადომ თვეზე მეტი ხნის შემდეგ პირველად ითამაშა სასტარტოში, ხოლო რიკიმ ამ შეხვედრაში ტრავმა მიიღო.

„ტენერიფე" სუსტად ასპარეზობს პრიმერაში, განსაკუთრებით კი სტუმრად, ამიტომ მე-16 წუთზე „სან მამესზე" 10 კაცის ამარა დარჩენილ კანარელებს შანსი აღარ ჰქონდათ - **ხოსე კულებრასმა** უხეშად მოცელა **გაისკა ტოკერო**, მსაჯმა ორმაგად დასაჯა სტუმართა გუნდი, მცველიც გააგდო და პენალტიც დანიშნა „ტენერიფეს" კარში, რომელიც **ფერნანდო ლორენტემ** გოლად აქცია. ხუთ წუთში ტოკერომ თავად გაიტანა. მეორე ტაიმში, **ირაოლასა** და **გაბილონდოს** გოლებს შორის, **ალფარომ** პრესტიჟის გოლის გატანა შეძლო - 4:1.

როგორც ჩანს, „მალაგასთვის" ცუდი დროება დასრულებულია, გუშინ **ხუან რამონ ლოპეს მუნისის** გუნდმა 2:1 დაამარცხა „ესპანიოლი" და კიდევ უფრო დაშორდა გასავარდნ სამეულს. მე-13 წუთზე **ფერნანდომ დუდას** ჩაწოდების შემდეგ ახლო მანძილიდან თავურით გაიტანა. ბარსელონელებმა **ვიქტორ რუისის** გოლით გაათანაბრეს. გამარჯვების გოლი კი **ვიქტორ ობინას** ანგარიშზეა - 2:1.

პამპლონაში „ოსასუნა" ვერ გაუმკლავდა „ვალიადოლიდს", ის კი არა მასპინძლები შეხვედრის მიწურულს გადაურჩნენ მარცხს, **ხავიერ კამუნიასმა** მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე გაქვითა **მედუნჯანინის** გოლი - 1:1.

„ალმერიამ" **პიატის** გოლის წყალობით წინა ტურში „ბარსას" მჯობნი „ატლეტიკო" 1:0 დაამარცხა. ეს გოლი მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე გავიდა, მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაწოდებულს პიატიმ მიუსწრო და სიტუაციაშიც მცველებზე უკეთ გაერკვა.

„სანტიაგო ბერნაბეუზე" მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყო - პატივი მიაგეს „რეალის" ყოფილ ფორვარდსა და მწვრთნელ **ლუის მოლოუნის**, რომელიც 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. **კრიშტიანო რონალდოს** კი სულ სხვა სადარდებელი ჰქონდა და როცა მან არანორმალური სიძლიერის დარტყმით საჯარიმოდან ანგარიში გახსნა, შიდა მაისურზე დაწერილი „მადეირა" გამოაჩინა - შაბათს წყალდიდობამ კრიშტიანოს მშობლიურ კუნძულზე 30-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. „რეალის" შემდეგი შეტევაც გოლით დასრულდა, **იგუაინი** საჯარიმოში მოცელეს და **კაკამ** პენალტით ორამდე გაზარდა ანგარიში. „რეალს" **მარკოს სენამ** ულამაზესი საჯარიმო დარტყმით უპასუხა. მატჩის ბედი 54-ე წუთზე გადაწყდა, როცა კრიშტიანო რონალდოს პასით გონსალო იგუაინმა გაიტანა. **ნილმარის** გოლმა კიდევ უფრო გაალიზიანა „სამეფო კლუბი", რომელმაც საბოლოოდ დიდი ანგარიშით, 6:2 მოიგო.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

27 თებერვალი. **ტენერიფე-რეალი, ხეტაფე-სარაგოსა, ბარსელონა-მალაგა.** 28 თებერვალი. **ხერესი-ესპანიოლი, ვილიარეალი-დეპორტივო, სევილია-ბილბაო, ვალიადოლიდი-მალიორკა, სპორტინგი-ოსასუნა, ატლეტიკო-ვალენსია, რასინგი-ალმერია.**

### დეპორტივო-ხერესი 2:1

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - მ. პაბლო, კოლოტო, ლოპო, ლაურე - როდრიგესი, ჟუკა - პ. ალვარესი, რიკი (48. პერესი), გუარდადო (59. ადრიანი) - ბოდიპო (74. ვალერონი).

**ხერესი (4-2-3-1):** რენანი - ფრანსისი, ხიოდა, პრიეტო, კასადო - მორენო (62. ალუსტისა), კეიტა - კალვო (82. ანტონიტო), სანჩესი, მომო (70. ვიკერა) - ბერმეხო.

**გოლები:** 1:0 გუარდადო (3-პენ), 2:0 რიკი (7), 2:1 ბერმეხო (38)

**გაფრთხილება:** 3-5; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 24-19; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 11-11 (5-2); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 22 000

### ბარსელონა-რასინგი 4:0

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - პუიოლი (67. ჟეფრენი), მარკესი, პიკე, მაქსველი - ბუსკეტსი, ტურე (75. ტიაგო), ინიესტა - მესი, კრკიჩი, ანრი (75. პედრო).

**რასინგი (4-2-3-1):** კოლტორტი - კრესპო, ენრიკე, ტორეხონი, ორიოლი - დიოპი, ლასენი - მორალი (59. არანა), კანალესი (76. ლ. გარსია), სერანო - სისკო (70. ლუისმა).

**გოლები:** 1:0 ინიესტა (7), 2:0 ანრი (28), 3:0 მარკესი (34), 4:0 ტიაგო (84)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 6-0; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 3-7; **კარში დარტყმა:** 16-5 (9-0); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 75 000

### მალიორკა-სევილია 1:3

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - ხოსემი, რამისი, ნუნიესი, აიოსე - მ. სუარესი (78. ვარელა), მარტი - ხ. ალვარესი (45. რუბენი), ბ. ვალერო, კასტრო - ადურისი (68. ვებო).

**სევილია (4-2-3-1):** პალოპი - სტანკევიჩიუსი, ფასიო, დრაგუტინოვიჩი, ნავარო - დუშერი (72. რომარიკი), ზოკორა - ხ. ნავასი, რენატო (32. ლ. ფაბიანო), კაპელი (55. პეროტი) - ნეგრედო.

**გოლები:** 1:0 მ. სუარესი (5), 1:1 ხ. ნავასი (23), 1:2 დრაგუტინოვიჩი (56), 1:3 პეროტი (62)

**გაძევება:** ნეგრედო (25), რამისი (45), ზოკორა (89)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 23-13; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 11-12 (5-6); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 10 000

### სარაგოსა-სპორტინგი 1:3

**სარაგოსა (4-4-2):** კარისო - პონსიო, იაროშიკი, კონტინი, ბაბიჩი (46. ხ. ლოპესი) - ელიზეუ (68. პენანტი), გაბი, ედმილსონი (68. არისმენდი), ლაფიტა - კოლუნგა, სუასო.

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხ. პაბლო - ლორა, ბოტია, გრეგორი, კანელია - რივერა, ლოლა (74. მატაბუენა) - კარმელო (59. ლ. მორანი), დე ლას კუევასი (80. ბარალი), კასტრო - ბილიჩი.

**გოლები:** 0:1 ბილიჩი (38), 0:2 ლ. მორანი (63), 1:2 არისმენდი (92), 1:3 ბარალი (93)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 0-5; **ჯარიმა:** 10-6; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 17-10 (7-3); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 20 000

### ოსასუნა-ვალიადოლიდი 1:1

**ოსასუნა (4-4-2):** რიკარდო - ასპილიკუეტა, სერხიო, ფლანიო, მონრეალი - მასუდი (58. ხუანფრანი), პუნიალი (85. რუპერი), ნეკუნამი, კამუნიასი - პანდიანი, არანდა (74. გალანი).

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ვილიარი - პ. ლოპესი (61. მარკოსი), ბარახა, არსო, დელ ორნო - ბორხა, ლაზარო - კეკო, ბუენო (69. მედუნჯანინი), სესმა (87. ფონტი) - მანუჩო.

**გოლები:** 0:1 მედუნჯანინი (80), 1:1 კამუნიასი (86)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 10-10; **ჯარიმა:** 18-12; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 16-14 (1-6); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 24 000

### მალაგა-ესპანიოლი 2:1

**მალაგა (4-2-3-1):** მუნუა - გამესი, სტეპანოვი, ველიგტონი, მ. ტორესი - ფერნანდო, ტორიბიო - ხ. ლოპესი (59. ხუანიტო), ბენაშური (51. ბა), დუდა - კაიშედო (40. ობინა).

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - ჩიკა, პარეხა, რუისი, დ. გარსია - ბაენა, მარკესი (78. საპარი) - ლ. გარსია, ვერდიუ (86. ნაკამურა), კალეხონი - ალონსო (58. ოსვალდო).

**გოლები:** 1:0 ფერნანდო (13), 1:1 რუისი (45), 2:1 ობინა (75)

**გაძევება:** გამესი (84)

**გაფრთხილება:** 5-2; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 20-10; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 11-12 (2-4); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 21 000

### ბილბაო-ტენერიფე 4:1

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ამორებიეტა, კოიკილი - დ. ლოპესი, გურპეგი (65. ეჩებერია), იტურასპე, გაბილონდო - ტოკერო (77. მუნიაინი), ლორენტე (59. დე კეროლ).

**ტენერიფე (4-2-3-1):** არაგონესესი - ბერტრანი, კულებრასი, ლუნა, სისილია - მ. ალონსო (56. კომე), რიკარდო - აიოსე (71. მანოლო), ალფარო, ხუანლუ (74. რიჩი) - ნინო.

**გოლები:** 1:0 ლორენტე (17-პენ), 2:0 ტოკერო (22), 3:0 ირაოლა (51), 3:1 ალფარო (59), 4:1 გაბილონდო (63)

**გაძევება:** კულებრასი (16)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 11-5; **ჯარიმა:** 10-12; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 21-14 (9-3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 32 000

### ალმერია-ატლეტიკო 1:0

**ალმერია (4-2-3-1):** დ. ალვესი - მასედო (71. ხუანმა ორტისი), პელერანო, ჩიკო, სისმა - მბამი, ბორზანი - პიატი, სორიანო, კრუსატი (65. უჩე) - გოიტომი (78. ხოსე ორტისი).

**ატლეტიკო (4-2-3-1):** ასენხო - უიფალუში, პერეა, დომინგესი, ა. ლოპესი (89. იბრა) - ტიაგო, ასუნსაო - რეიესი, ხურადო, სიმაო - ფორლანი (81. აგუერო).

**გოლი:** 1:0 პიატი (86)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 19-13; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 13-18 (5-9); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 10 000

### რეალი-ვილიარეალი 6:2

**რეალი (4-4-2):** კასილიასი - არბელოა, ს. რამოსი, ალბიოლი, მარსელო - ლ. დიარა (84. მ. დიარა), ჩაბი ალონსო, კაკა (80. რაული), გრანერო (75. ვან დერ ვაარტი) - რონალდო, იგუაინი.

**ვილიარეალი (4-4-1-1):** დ. ლოპესი - ვენტა, მუსაჩიო, მარკანო (55. პირესი), კაპდევილია - მატილია, სენა, ბრუნო, ფუსტერი (81. ა. ლოპესი) - რუბენი - ნილმარი (81. ხ. ლორენტე).

**გოლები:** 1:0 რონალდო (18), 2:0 კაკა (20-პენ), 2:1 სენა (30), 3:1 იგუაინი (54), 3:2 ნილმარი (66), 4:2 იგუაინი (71), 5:2 კაკა (79), 6:2 ჩაბი ალონსო (87-პენ)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 19-12; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 17-9 (9-3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 57 000

**ვალენსია-ხეტაფე** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 23 | 18 | 4 | 1 | 57-13 | 58 |
| 2. რეალი | 23 | 18 | 2 | 3 | 59-17 | 56 |
| 3. ვალენსია | 22 | 12 | 7 | 3 | 39-21 | 43 |
| 4. სევილია | 23 | 13 | 3 | 7 | 36-25 | 42 |
| 5. დეპორტივო | 23 | 11 | 5 | 7 | 26-25 | 38 |
| 6. მალიორკა | 23 | 11 | 4 | 8 | 36-27 | 37 |
| 7. ბილბაო | 23 | 11 | 3 | 9 | 32-30 | 36 |
| 8. ხეტაფე | 22 | 10 | 2 | 10 | 30-28 | 32 |
| 9. ოსასუნა | 23 | 8 | 6 | 9 | 22-23 | 30 |
| 10. ვილიარეალი | 23 | 8 | 5 | 10 | 35-37 | 29 |
| 11. სპორტინგი | 23 | 7 | 7 | 9 | 25-27 | 28 |
| 12. მალაგა | 23 | 6 | 9 | 8 | 28-27 | 27 |
| 13. ატლეტიკო | 23 | 7 | 6 | 10 | 33-36 | 27 |
| 14. ესპანიოლი | 23 | 7 | 5 | 11 | 17-31 | 26 |
| 15. ალმერია | 23 | 6 | 8 | 9 | 25-33 | 26 |
| 16. რასინგი | 23 | 6 | 7 | 10 | 24-35 | 25 |
| 17. სარაგოსა | 23 | 5 | 6 | 12 | 27-47 | 21 |
| 18. ვალიადოლიდი | 23 | 3 | 11 | 9 | 26-40 | 20 |
| 19. ტენერიფე | 23 | 5 | 5 | 13 | 19-44 | 20 |
| 20. ხერესი | 23 | 2 | 5 | 16 | 13-43 | 11 |

**ბომბარდირები:** 16 - მესი (ბარსელონა); 15 - ვილია (ვალენსია); 14 - იგუაინი (რეალი); 12 - იბრაჰიმოვიჩი (ბარსელონა), სოლდადო (ხეტაფე), რონალდო (რეალი); 10 - ფორლანი (ატლეტიკო); 9 - ლ. ფაბიანო (სევილია), ფ. ლორენტე (ბილბაო); 8 - აგუერო (ატლეტიკო); ადურისი (მალიორკა), კასტრო (სპორტინგი).

### სეგუნდა დივიზიონი

### XXV ტური

**ელჩე-ლევანტე** 0:0

**ვილიარეალი-უელვა** 1:1

**გოლები:** 0:1 ბარბერი (44), 1:1 ტომასი (90-პენ)

**კასტელონი-კარტახენა** 2:2

**გოლები:** 1:0 ულოა (22), 2:0 მანტეკონი (24), 2:1 ჩიკი (39), 2:2 დე ლუკასი (77)

**ბეტისი-ალბასეტე** 0:0

**გაძევება:** კიკე (61. ალბასეტე), არსუ (85. ბეტისი)

**კადისი-ერკულესი** 2:2

**გოლები:** 1:0 კრისტიანი (2), 1:1 გომესი (9), 2:1 სილვა (22), 2:2 დელიბაშიჩი (71)

**გაძევება:** გომესი (87. ერკულესი), სილვა (89. კადისი)

**უნიონი-რაიო ვალეკანო** 2:1

**გოლები:** 1:0 დესკარგა (40), 1:1 ალბაკარი (77), 2:1 რომო (89)

**მურსია-ნუმანსია** 1:0

**გოლი:** 1:0 ჩანდო (13)

**გაძევება:** - (90. მურსია)

**ხირონა-სოსიედადი** 1:0

**გოლი:** 1:0 კალე (23-პენ)

**ხიმნასტიკი-უესკა** 0:1

**გოლი:** 0:1 ვეგარი (55)

**გაძევება:** ანხელი (70. ხიმნასტიკი)

**სელტა-კორდობა** 1:0

**გოლი:** 1:0 ხოსელუ (41)

**ლას პალმასი-სალამანკა** 2:2

**გოლები:** 0:1 ტოტი (19), 0:2 სევილია (76), 1:2 გერერო (86), 2:2 სუარესი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ერკულესი | 25 | 13 | 9 | 3 | 40-21 | 48 |
| 2. სოსიედადი | 25 | 13 | 8 | 4 | 36-22 | 47 |
| 3. კარტახენა | 25 | 12 | 8 | 5 | 37-24 | 44 |
| 4. ლევანტე | 25 | 10 | 10 | 5 | 30-23 | 40 |
| 5. ნუმანსია | 25 | 11 | 6 | 8 | 33-29 | 39 |
| 6. ვილიარეალი B | 25 | 10 | 7 | 8 | 36-34 | 37 |
| 7. ბეტისი | 25 | 9 | 9 | 7 | 32-25 | 36 |
| 8. ელჩე | 25 | 9 | 8 | 8 | 35-35 | 35 |
| 9. ხიმნასტიკი | 25 | 10 | 5 | 10 | 25-27 | 35 |
| 10. კორდობა | 25 | 7 | 11 | 7 | 20-26 | 32 |
| 11. უესკა | 25 | 7 | 11 | 7 | 20-20 | 32 |
| 12. ვალეკანო | 25 | 7 | 10 | 8 | 37-34 | 31 |
| 13. სალამანკა | 25 | 7 | 10 | 8 | 29-32 | 31 |
| 14. უელვა | 25 | 7 | 9 | 9 | 21-23 | 30 |
| 15. ლას პალმასი | 25 | 6 | 11 | 8 | 27-29 | 29 |
| 16. სელტა | 25 | 6 | 11 | 8 | 21-25 | 29 |
| 17. ხირონა | 25 | 7 | 8 | 10 | 33-38 | 29 |
| 18. ალბასეტე | 25 | 6 | 10 | 9 | 33-39 | 28 |
| 19. მურსია | 25 | 5 | 11 | 9 | 29-32 | 26 |
| 20. კადისი | 25 | 5 | 10 | 10 | 26-39 | 25 |
| 21. უნიონი | 25 | 6 | 6 | 13 | 21-30 | 24 |
| 22. კასტელონი | 25 | 4 | 8 | 13 | 24-38 | 20 |

**ბომბარდირები:** 11 - სტუანი (ალბასეტე), რუბენი (ვილიარეალი), მოლინა (ელჩე); 10 - ს. გარსია (ბეტისი), ვერდიუ (კარტახენა), დიასი (კორდობა); 9 - დე ლუკასი (კარტახენა); 8 - აგანსო (ვალეკანო), კასტრო (ვალეკანო), ნატალიო (მურსია), დელიბაშიჩი (ერკულესი).

# სკანდალური მატჩი მილანში

## მოურინიომ იყვირა, იცინა და დადუმდა

„ინტერის" ბოლო თამაშები ერთიმეორეზე დრამატული და დაძაბული გამოდგა. ყველას კარგად ̇გახსოვთ „სიენასთან" მოპოვებული ურთულესი გამარჯვება (4:3) და შემდეგ დერბი, რომელიც **ჟოზე მოურინიოს** სამწყსომ თავისდა სასარგებლოდ დაასრულა. „ნერაძურიმ" „როსონერი" აშკარად დაჯაბნა, მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანს კაცნაკლულს მოუწია ასპარეზობამ. არანაკლებ დაძაბული და შეიძლება ითქვას, სკანდალური მატჩი ვიხილეთ ამ უქმეებზე, „ინტერმა" „სამპდორია" მიიღო და მეტოქეს ქულა გაატანა. თუმცა, მატჩის მიმდინარეობიდან გამომდინარე, მიღწეული ფრით უფრო მასპინძლები უნდა იყვნენ კმაყოფილნი. ასეც არის, ნამატჩევს ამაყმა მოურინიომ განაცხადა: ჩვენ მხოლოდ ექვსი ფეხბურთელით თუ წავაგებთო და შემდეგ ჟურნალისტებს ბოიკოტი გამოუცხადა. მეტიც, პორტუგალიელმა შეგირდებსაც აუკრძალა მასმედიასთან ურთიერთობა და საერთოდაც, ყველას და ყველაფრის წინაალმდეგ გაილაშქრა. მაინც რა მოხდა ასეთიო, - იკითხავთ და თუ ეს კითხვა მართლაც გაგიჩნდათ, ე,ი. „ინტერი" - „სამპდორიას" თამაშისთვის თვალი არ მიგიდევნებიათ.

შეხვედრის უდავო გმირი არბიტრი **პაოლო ტალიავენტო** გახლავთ, რომელმაც მოედნიდან სამი ფეხბურთელი გააძევა. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ პირველ ტაიმში „ინტერს" ორი მოთამაშე გაუგდო, ჯერ **ვალტერ სამუელი**, შემდეგ კი **ივან კორდობა**. ანუ, „ინტერი" პირველივე ტაიმში ცხრა ფეხბურთელით დარჩა მოედანზე და ალბათ იოლი მისახვედრია, რა ატმოსფერო დაისადგურებდა „ჯუზეპე მეაცას" ტრიბუნებზე. ცალკე სალაპარაკო თემაა მოურინიო, რომელმაც მინი-სპექტაკლები დადგა – ჯერ ბევრი იყვირა, შემდეგ გარკვეულ ჟესტიკულირებაზე გადავიდა, რომელიც სრულიად კაცობრიობის წინაალმდეგ გახლდათ მიმართული და შემდეგ უკვე სიმწრის სიცილი აუვარდა. განსაკუთრებით ემოციური იმ ეპიზოდში იყო, როდესაც ტალიავენტომ „სამპდორიას" კარში თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა. ეს ამბავი მაშინ მოხდა, როდესაც „ინტერი" ცხრა კაცით ასპარეზობდა და ალბათ თავადაც ხვდებით, რა ამბებს დაატრიალებდა პორტუგალიელი.

არადა, „ლეგა კალჩომ" პაოლო ტალიავენტოს მსაჯობას მაღალი შეფასება მისცა და სრულიად სამართლიანადაც. მილანელთა ქმედებები ემოციური მუხტით გახლდათ განპირობებული, მაგრამ თუ ცივი გონებით გააანალიზებენ ყველაფერს და ნახავენ მატჩის ვიდეოჩანაწერს, თავადაც დარწმუნდებიან, რომ პაოლომ კარგად გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. განვიხილოთ თითოეული ეპიზოდი, რომლებმაც მილანელთა აღშფოთება გამოიწვია – ყველაფერი სამუელის გაძევებით დაიწყო, რომელმაც 31-ე წუთზე მიიღო წითელი ბარათი. არგენტინელს იმხელა გამოცდილება უმაგრებს ზურგს, რომ წესით, ასეთ შეცდომებს არ უნდა უშვებდეს, თუმცა... ფაქტია, რომ დააშავა და სამართლიანადაც დაისაჯა. ვალტერი **ნიკოლა პოცის** ეუხეშა, ახალგაზრდა ფორვარდს სათამაშო ეპიზოდში ხელი გაარტყა სახეში და ტუჩი გაუხეთქა. სამუელმა ისე გემრიელად მოიქნია ხელი, იდაყვი რომ მოერტყა ნიკოლასთვის, შესაძლოა „ჯუზეპე მეაცაზე" ტრაგედია დატრიალებულიყო. გასაკვირია, მაგრამ „ინტერი" კიდევ ერთმა ძალიან გამოცდილმა ფეხბურთელმა, ივან კორდობამ დაალალატა: სამხრეთამერიკელმა პირველი ყვითელი ბარათი სრულიად უწყინარ სიტუაციაში მიიღო, სტანდარტული სიტუაციისას ცოცხალი კედლიდან ნაადრევად გამოვარდა და როდესაც **ანჯელო პალომბომ** დასარტყმელად მოიქნია ფეხი, ცხვირწინ აეტუზა. ტალიავენტომ ჯარიმა გადაათამაშა, კორდობას კი ყვითელი აუფრიალა. გავიდა რამდენიმე წუთი და ივანმა უკვე მოედნის ცენტრში იუხეშა, ამ შემთხვევაშიც სრულიად უწყინარ სიტუაციაში ეცა მეტოქეს და მინდორზე დაანარცხა. არბიტრს შეეძლო ბოლო გაფრთხილება მიეცა მცველისთვის, მაგრამ ვერც იმაში გავამტყუნებთ, რომ მოედნიდან მიაბრძანა. რაც შეეხება სამუელ ეტოოს ეპიზოდს და არდანიშნულ თერთმეტმეტრიანს – მოკლედ ვიტყვით, რომ კამერუნელმა ისიმულიანტა.

ერთი სიტყვით, ტალიავენტომ ძალიან კარგად იმსაჯა და ის ისტერიკა, რომელიც მას „ინტერისტებმა" მოუწყვეს, ემოციური მუხტის გამოძახილი გახლდათ. მით უმეტეს, როდესაც სამისო საბაბი ჰქონდა, არბიტრმა „სამპას" ფეხბურთელიც გააძევა, **ჯამპაოლო პაცინიმ** თანაგუნდელები 73-ე წუთზე დაალალატა და ამით „ინტერს" მცირე შვება მოჰგვარა.

რაც უნდა გასაკვირი იყოს, საგოლე მომენტების უმეტესობა სტუმართა კართან შეიქმნა. განსაკუთრებით აქტიური ეტოო იყო, რომელსაც მინიმუმ ორჯერ შეეძლო ანგარიშის გახსნა. ერთხელ მცირედით უმტყუნა მიზანმა, მეორედ კი **მარკო სტორარიმ** ივარგა და გადაარჩინა თანაგუნდელები გაშვებული გოლისგან. „სამპამ" აშკარად შეირცხვინა თავი - გენუელებმა ცხრაკაციან მეტოქეს ვერაფერი დააკლეს და ერთი რეალური საგოლე მომენტი რაა, ისიც კი ვერ შექმნეს. მხოლოდ ნახევარმომენტები ვიხილეთ, რომლებსაც **ჟულიო სეზარი** იოლად გაუმკლავდა.

ტურის პირველმა შეხვედრამ **ჯანი დე ბიაზის** სამწვრთნელო სკამი შეიწირა. დიახ, „უდინეზემ" მორიგი მარცხი განიცადა, „ჯენოასთან" 3:0-ზე განადგურდა და სატურნირო ცხრილში მე-17 პოზიციაზე ჩამოქვეითდა. გუშინვე გაცხადდა, რომ დე ბიაზი **პასკუალე მარინომ** ჩაანაცვლა, მწვრთნელი, რომელიც „უდინეზედან" პირველი წრის მიმდინარეობისას, დეკემბრის მეორე ნახევარში მოხსნეს. როგორც ჩანს, „უდინეზეს" მესვეურები მიხვდნენ, რომ მისი გაშვებით შეცდომა დაუშვეს და ამადაც დააბრუნეს მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

„ინტერის" უშუალო კონკურენტმა, „რომამ" მორიგი გამარჯვება იზეიმა და ლიდერთან სხვაობა კიდევ უფრო შეამცირა. ბოლო ორ შეხვედრაში „ნერაძურიმ" ოთხი ქულა დაკარგა, რამაც საჩემპიონო ბრძოლა აშკარად დაძაბა. დედაქალაქელებმა საკუთარ კედლებში „კატანია" მიიღეს და მინიმალური ანგარიშით, 1:0 დაამარცხეს. ერთადერთი გოლი **მირკო ვუჩინიჩის** ანგარიშზეა, რომელმაც მცირე ჩავარდნა დაძლია და ძველებურად კარგად ათამაშდა. მიჯრით მესამე შეხვედრა მოიგო ტურინის „იუვენტუსმა", გააკრა რა ბეჭებზე „ბოლონია". **ალბერტო ძაკერონის** შეგირდებმა შეტევაზე ორიენტირებული ფეხბურთი ითამაშეს და სასურველ შედეგს მიაღწიეს. ტურინელთაგან ორივე გოლი ნახევარმცველებმა გაიტანეს, პირველი **დიეგო რიბასმა**, მეორე კი **ანტონიო კანდრევამ**. მასპინძელთაგან **ანტონიო ბუშე** გამოირჩა, შეხვედრის უკანასკნელ წუთზე კი **ანდრეა რაჯიმ** წითელი ბარათი მიიღო. „ბიანკონერიმ" პოზიციები გაიუმჯობესა და ჩემპიონთა ლიგის ზონას მხოლოდ ორი ქულა აშორებს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

### გადატანილი მატჩები

24 თებერვალი. **ფიორენტინა-მილანი, უდინეზე-კალიარი.**

### მომდევნო ტური

27 თებერვალი. **კატანია-ბარი, ლაციო-ფიორენტინა.** 28 თებერვალი. **მილანი-ატალანტა, ჯენოა-ბოლონია, კიევო-კალიარი, უდინეზე-ინტერი, ნაპოლი-რომა, პარმა-სამპდორია, ლივორნო-სიენა, იუვენტუსი-პალერმო.**



მატჩის გმირი ალბერტო ტალიავენტო, რომელმაც ჩემპიონი პირველ ტაიმში 9 კაცით დატოვა

### ჯენოა-უდინეზე 3:0

**ჯენოა:** ამელია 6 - პაპასტატოპულოსი 7.5, დაინელი 7, მორეტი 6.5 (62. ბოკეტი 6) - კრიშიტო 6.5, მესტო 7, საპატერი 6.5, მ. როსი 7 - პალასიო 7 (71. იანკოვიჩი), აკვაფრესკა 7.5 (74. სუასო), სკული 7.

**უდინეზე:** ჰანდანოვიჩი 5 - კუადრადო 6.5, საპატა 4, კოდა 5, ლუკოვიჩი 6 - სანჩესი 6 (65. ფერონეტი), ინლერი 6 (69. ლოდი), ასამოა 6.5, პასკუალე 6 (36. პეპე 6) - ფლორო ფლორესი 6, დი ნატალე 6.5.

**გოლები:** 1:0 აკვაფრესკა (30), 2:0 აკვაფრესკა (53-პენ), 3:0 პალასიო (64)

**გაძევება:** საპატა (58. უდინეზე)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 18-15; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 13-14 (5-1); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 24 831

### ინტერი-სამპდორია 0:0

**ინტერი:** ჟულიო სეზარი 6 - მაიკონი 6.5, კორდობა 4.5, სამუელი 5, ხ. ძანეტი 6 - მუნტარი 6 (35. ლუსიო 7), სტანკოვიჩი 6.5, სნეიდერი 6 (81. ტიაგო მოტა) - ეტო'ო 6.5, მილიტო 7 (71. პანდევი 6.5).

**სამპდორია:** სტორარი 7 - ძაური 5.5, ლუკინი 6, გასტალდელო 6, ციგლერი 5 - პოლი 6 (79. ტისონე), პალომბო 6.5, გუბერტი 5 (56. მანინი 5), სემიოლი 5.5 (84. პადალინო) - პაცინი 4.5, პოცი 6.5.

**გაძევება:** სამუელი (32. ინტერი), კორდობა (38. ინტერი), პაცინი (74. სამპდორია)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 18-13; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 11-17 (1-4); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 41 660

### რომა-კატანია 1:0

**რომა:** ა. დონი 6 - კასეტი 6, ბურდისო 6.5, ჟუანი 6.5, რიისე 6 - ბრიგი 6, დე როსი 6.5, ჩერჩი 6 (67. პეროტა 6) - მენეზი 6 (75. ფატი), ტადეი 6, ვუჩინიჩი 7 (81. ჟულიო ბაპტიშტა 6).

**კატანია:** ანდუხარი 6.5 - პ. ალვარესი 6, სილვესტრი 6, სპოლი 5.5 (81. მორიმოტო), კაპუანო 5 - აუგუსტინი 5, იცკო 5.5, ლამა 6 (62. მარტინესი 5.5) - მასკარა 6 - რიკიუტი 5.5 (72. დელვეკიო 5.5), ლოპესი 5.

**გოლი:** 1:0 ვუჩინიჩი (18)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 11-28; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 12-5 (4-1); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 30 449

### სიენა-ნაპოლი 0:0

**სიენა:** კურჩი 6 - როზი 6, კრიბარი 7, პრატალი 6.5, დელ გროსო 6 - ეკდალი 6 (82. იაროლიმი), რეჟინალდო 5.5 (55. ტერცი 6), ვერგასოლა 5.5, ციოლისი 6.5 - გეზალი 5 (60. კალაიო 5)- მაკარონე 6.

**ნაპოლი:** დე სანქტისი 6 - კამპანიარო 7, პ. კანავარო 6, გრავა 6 (65. ბოლიაჩინო 5.5) - მაჯო 6.5, პაციენცა 6, ჩიგარინი 5.5 (82. ჰოფერი 6.5), არონიკა 6 - კვალიარელა 5, ჰამშიკი 5.5 - დენისი 6.5 (64. ლავეცი 5).

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 4-12; **ჯარიმა:** 19-15; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 12-20 (2-3); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:**

### ბოლონია-იუვენტუსი 1:2

**ბოლონია:** ვივიანო 6.5 - კ. ძენონი 5.5 (72. სავიო), პორტანოვა 5.5, მორასი 5.5, რაჯი 5 - ბუშე 6.5, მუდინგაი 6.5 (82. მინგაცინი), გუანა 6, კაზარინი 6 - ადაილტონი 5.5 (60. ხიმენესი 5), სალაიეტა 6.

**იუვენტუსი:** ბუფონი 5.5 - გრიგერა 6, ლეგროტალიე 6, კიელინი 7, სალიჰამიჯიჩი 6 - ფელიპე მელო 5.5, მარკიზიო 5.5 (53. სისოკო 6), დე ჩელიე 5.5 - დიეგო 6.5 (60. კანდრევა 6.5) - ამაური 5.5, დელ პიერო 6.

**გოლები:** 0:1 დიეგო (4), 1:1 ბუშე (50), 1:2 კანდრევა (66)

**გაძევება:** რაჯი (90. ბოლონია)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 13-4; **ჯარიმა:** 16-16; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 15-11 (3-7); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 26 000

### პალერმო-ლაციო 3:1

**პალერმო:** სირიგუ 6 - კასანი 6.5, კიაერი 6.5, ბოვო 5.5 - ბალცარეტი 6.5, ლივერანი 6.5, მილიაჩო 6.5, ნოჩერინო 7, პასტორე 7.5 (72. სიმპლისიუ 6) - ერნანდესი 6.5 (83. ბერტოლო), მიკოლი 6 (61. ბუდანი 6).

**ლაციო:** მუსლერა 6.5 - დიასი 5, სტენდარდო 6, ბიავა 5.5, ლიხტშტაინერი 4.5 (46. კრუსი) - ბროკი 6.5, მაური 4.5 (60. მათუსალემი 6), კ. ლედესმა 5, კოლაროვი 7 - ფლოკარი 5.5 (80. როკი), სარატე 6.5.

**გოლები:** 1:0 ერნანდესი (1), 2:0 მიკოლი (28-პენ), 3:0 ნოჩერინო (75), 3:1 კოლაროვი (79)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 15-21; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 8-23 (4-4); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 25 000

### კალიარი-პარმა 2:0

**კალიარი:** აგაცი 6.5 - კანინი 6.5, არიაუდო 6.5, ასტორი 6.5, აგოსტინი 6.5 - კონტი 6.5, ბარონე 6, ლაძარი 7 (70. პაროლა 6.5), კოსუ 7.5 - ნენე 6.5 (80. ლარივეი 6), მატრი 7 (60. ჟედა 6.5).

**პარმა:** მირანტე 6.5 - დ. ძენონი 5.5, პაჩი 5, ძაკარდო 6, კასტელინი 5 (46. ლ. ანტონელი 6.5) - მორონე 6.5, ა. ლუკარელი 5.5 - ბიაბიანი 5.5 (60. ბოჟინოვი 5.5), ვალიანი 6, ლუნარდინი 5.5 (46. გალოპა 6) - კრესპო 5.5.

**გოლები:** 1:0 ლაძარი (6), 2:0 მატრი (39)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 5-13; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 12-14 (5-4); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 15 000

### ფიორენტინა-ლივორნო 2:1

**ფიორენტინა:** ს. ფრეი 5.5 - კომოტო 6, ფელიპე 5.5, ნატალი 6.5, პასკუალი 5.5 (46. ლიაჯიჩი 6.5) - ბოლატი 5 (54. კ. ძანეტი 6.5), დონადელი 6 - მარკიონი 6 (72. კეირისონი 6), იოვეტიჩი 6.5, ვარგასი 7 - ჯილარდინო 6.

**ლივორნო:** რუბინიო 6.5 - პერტიკონე 6, ნ. რივასი 5, კნეჟევიჩი 5.5, მარკინი 5.5 - მორო 5.5 (63. დინიზი 6), მოცარტი 6 (75. დი ჯენარო), პულცეტი 6, ა. ფილიპინი 6.5 - ტავანო 5.5 (49. პიერი 5.5), კ. ლუკარელი 5.

**გოლები:** 0:1 ნ. რივასი (36), 1:1 ვარგასი (62), 2:1 ჯილარდინო (78)

**გაძევება:** ნ. რივასი (67. ლივორნო)

**გაფრთხილება:** 2-6; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 17-21; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 19-7 (8-5); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 24 997

### ატალანტა-კიევო 0:1

**ატალანტა:** კონსილი 7 - დარიჩი 6.5, ტალამონტი 5, ბიანკო 5, პელუზო 6 - პინტუ 5 (46. ტირიბოკი 6.5), პადოინი 5 (74. ვოლპი 6), გუარენტე 5, ვალდესი 6 - კ. დონი 6, ამორუზო 5 (65. ჩევანტონი 5.5).

**კიევო:** სორენტინო 7 - ნ. ფრეი 6.5, მორერო 6 (78. მანდელი), იეპესი 6, მანტოვანი 6 - რიგონი 5.5, ლუსიანო 5 (66. ბენტივოლიო 6), მარკოლინი 6.5, პინცი 5.5 - დე პაულა 5 (78. არიატი), პელისიერი 6.5.

**გოლი:** 0:1 პელისიერი (44)

**გაძევება:** რიგონი (77. კიევო)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 15-22; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 17-7 (2-4); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 10 000

### ბარი-მილანი 0:2

**ბარი:** ჟილე 5.5 - ა. მაზიელო 5.5, ბონუჩი 5.5, ს. მაზიელო 5.5, ბელმონტე 5.5 - გაცი 5.5, დონატი 5.5, ე. რივასი 5.5 (62. ალმირონი 5.5), ე. ალვარესი 5.5 - პ. ბარეტო 5, მეჯორინი 5.5 (34. სფორცინი 5).

**მილანი:** აბიატი 7 - აბატე 6.5, ნესტა 6.5, ტიაგო სილვა 6.5, ბონერა 6 (68. იანკულოვსკი 6) - პირლო 6.5, ამბროზინი 6.5, გატუზო 6 (81. ბექჰემი) - რონალდინიო 7 - ბორიელო 7 (72. ფ. ინძაგი 5.5), პატო 6.

**გოლები:** 0:1 ბორიელო (43), 0:2 პატო (69)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 22-11; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 7-8 (2-4); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 53 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 25 | 16 | 6 | 2 | 49-20 | 55 |
| 2. რომა | 25 | 15 | 5 | 5 | 43-27 | 50 |
| 3. მილანი | 24 | 14 | 6 | 4 | 41-24 | 48 |
| 4. იუვენტუსი | 25 | 12 | 5 | 8 | 40-33 | 41 |
| 5. ნაპოლი | 25 | 10 | 10 | 5 | 32-27 | 40 |
| 6. პალერმო | 25 | 11 | 7 | 7 | 35-31 | 40 |
| 7. სამპდორია | 25 | 11 | 7 | 7 | 32-31 | 40 |
| 8. კალიარი | 24 | 11 | 5 | 8 | 39-30 | 38 |
| 9. ჯენოა | 25 | 11 | 5 | 9 | 41-39 | 38 |
| 10. ფიორენტინა | 24 | 10 | 4 | 10 | 30-28 | 34 |
| 11. ბარი | 25 | 8 | 8 | 9 | 31-30 | 32 |
| 12. კიევო | 25 | 9 | 5 | 11 | 24-25 | 32 |
| 13. პარმა | 25 | 8 | 6 | 11 | 26-36 | 30 |
| 14. ბოლონია | 25 | 7 | 7 | 11 | 26-33 | 28 |
| 15. ლაციო | 25 | 5 | 10 | 10 | 20-27 | 25 |
| 16. უდინეზე | 24 | 6 | 6 | 12 | 28-35 | 24 |
| 17. კატანია | 25 | 5 | 9 | 11 | 23-31 | 24 |
| 18. ლივორნო | 25 | 6 | 5 | 14 | 16-34 | 23 |
| 19. ატალანტა | 25 | 5 | 6 | 14 | 21-35 | 21 |
| 20. სიენა | 25 | 4 | 5 | 16 | 25-46 | 17 |

**ბომბარდირები:** 17 - დი ნატალე (უდინეზე); 14 - მილიტო (ინტერი); 12 - პაცინი (სამპდორია); 11 - პ. ბარეტო (ბარი), ჯილარდინო (ფიორენტინა), მატრი (კალიარი); 10 - ტოტი (რომა); 9 - დი ვაიო (ბოლონია), მაკარონე (სიენა), პატო (მილანი), რონალდინიო (მილანი); 8 - ბორიელო (მილანი), კავანი (პალერმო), ეტო'ო (ინტერი), ჰამშიკი (ნაპოლი), მიკოლი (პალერმო).

## სერია B

### XXVI ტური

**ბრეშა-ასკოლი 2:1**

**გოლები:** 1:0 პოსანცინი (63), 2:0 კარაჩოლო (68), 2:1 ბერნაჩი (82)

**ჩიტადელა-რეჯინა 1:0**

**გოლი:** 1:0 ბელაცინი (79)

**გალიპოლი-ვიჩენცა 0:5**

**გოლები:** 0:1 მადონა (3), 0:2 ბელანოვიჩი (12), 0:3 მადონა (32), 0:4 პაონესა (45), 0:5 ბელანოვიჩი (57)

**ტრიესტინა-ჩეზენა 0:0**

**გაძევება:** კოლომბო (20. ტრიესტინა)

**ტორინო-სალერნიტანა 2:3**

**გოლები:** 1:0 ბარუსო (8), 1:1 დიონიზი (9), 1:2 კირიაცისი (40), 1:3 დიონიზი (59), 2:3 რ. ბიანკი (80-პენ)

**გაძევება:** ბასტრინი (65. სალერნიტანა), მონტერვინო (90. სალერნიტანა), ძობოლი (90. ტორინო)

**მოდენა-გროსეტო 1:2**

**გოლები:** 0:1 ესპოზიტო (5), 0:2 პინილია (17), 1:2 ჯირარდი (85)

**გაძევება:** ტროიანო (90. მოდენა)

**ფროზინონე-ემპოლი 3:1**

**გოლები:** 1:0 ბასო (18), 1:1 კორალი (34), 2:1 ტროიანიელო (63), 3:1 მაცეო (69)

**ანკონა-პადოვა 2:2**

**გოლები:** 0:1 დარმიანი (24), 0:2 ბოვო (38), 1:2 მასტრონუნციო (57), 2:2 მასტრონუნციო (75)

**მანტოვა-სასუოლო 2:1**

**გოლები:** 1:0 მანიანელი (42-საკ. კარში), 2:0 პელიკორი (57), 2:1 მარტინეტი (63)

**პიაჩენცა-ალბინოლეფე 1:0**

**გოლი:** 1:0 სივაკოვი (48)

**გაძევება:** ტონუჩი (57. პიაჩენცა)

**კროტონე-ლეჩე** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეჩე | 25 | 13 | 7 | 5 | 39-25 | 46 |
| 2. სასუოლო | 26 | 12 | 9 | 5 | 40-26 | 45 |
| 3. გროსეტო | 26 | 11 | 10 | 5 | 41-35 | 43 |
| 4. ბრეშა | 26 | 12 | 6 | 8 | 36-30 | 42 |
| 5. ჩეზენა | 26 | 10 | 11 | 5 | 32-16 | 41 |
| 6. ანკონა | 26 | 12 | 5 | 9 | 36-31 | 41 |
| 7. ფროზინონე | 26 | 11 | 5 | 10 | 35-41 | 38 |
| 8. ემპოლი | 26 | 10 | 7 | 9 | 33-30 | 37 |
| 9. მოდენა | 26 | 10 | 6 | 10 | 22-24 | 36 |
| 10. ტორინო | 26 | 9 | 8 | 9 | 32-25 | 35 |
| 11. ვიჩენცა | 26 | 8 | 11 | 7 | 30-23 | 35 |
| 12. ასკოლი | 26 | 8 | 9 | 9 | 37-37 | 33 |
| 13. ჩიტადელა | 26 | 8 | 9 | 9 | 30-31 | 33 |
| 14. გალიპოლი | 26 | 8 | 9 | 9 | 25-37 | 33 |
| 15. ალბინოლეფე | 26 | 8 | 8 | 10 | 32-35 | 32 |
| 16. კროტონე (-2) | 25 | 8 | 9 | 8 | 27-31 | 31 |
| 17. ტრიესტინა | 26 | 8 | 7 | 11 | 26-35 | 31 |
| 18. პიაჩენცა | 26 | 8 | 6 | 12 | 21-29 | 30 |
| 19. მანტოვა | 26 | 6 | 11 | 9 | 29-32 | 29 |
| 20. რეჯინა | 26 | 8 | 5 | 13 | 31-39 | 29 |
| 21. პადოვა | 26 | 6 | 10 | 10 | 26-29 | 28 |
| 22. სალერნიტანა | 26 | 4 | 6 | 15 | 25-43 | 18 |

**ბომბარდირები:** 18 - კარაჩოლო (ბრეშა), პინილია (გროსეტო); 16 - ანტენუჩი (ასკოლი), მასტრონუნციო (ანკონა); 15 - რ. ბიანკი (ტორინო); 12 - ბერნაჩი (ასკოლი), ნოსელი (სასუოლო).

## ლეგა პრო 1/A

### XXIV ტური

კომო-ალესანდრია 1:0, ფოლინიო-მონცა 1:1, ფილინე-პერგოკრემა 1:0, ბენევენტო-სორენტო 3:0, ლეკო-არეცო 0:1, ნოვარა-პრო პატრია 1:1, პაგანეზე-ვარეზე 0:0, კრემონეზე-ლუმეცანე 1:1, ვიარეჯო-პერუჯა დღეს.

## ლეგა პრო 1/B

### XXIV ტური

**სპალ-ანდრია 2:0, ტარანტო-პეშინა 2:0, ტერნანა-პესკარა 2:0, ვერონა-პოტენცა 2:2, კოზენცა-რეჯანა 1:1, ლანჩანო-ჯულიანოვა 2:0, რეალ მარჩანიზე-ფოჯა 0:0, პორტოგრუარო-რიმინი 2:1, რავენა-კავეზე 2:2.**



კაკაუს თვითონაც არ სჯეროდა, რომ პოკერი შეასრულა

# ვაუ, კაკაუ!

„ბაიერნს" ბავარიულ დერბიში არ ჰყავდა **ფრანკ რიბერი** (ფრანგმა ნახევარმცველმა დასკვნით ვარჯიშზე მცირე ტრავმა მიიღო) და პირველი ტაიმის შემდეგ **არიენ რობენის** გარეშეც დარჩა (ჰოლანდიელს კუნთი დაეჭიმა და სასწრაფოდ შეცვალეს). შესაბამისად, „ბაიერნმა" ბოლოსწინა ადგილზე მყოფი „ნიურნბერგი" ვერ დაამარცხა და 13-მატჩიანი (!) მოგებების სერია შეწყვიტა. ესეც ასე! მაგრამ მთავარი ამბები მატჩის შემდეგ მოხდა, როცა რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** ტელეკომპანია „სქაი სპორტის" კორესპონდენტს ეჩხუბა. ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ისეთი სიტყვები დააყარა რეპორტიორს, რომ ყველას **ჯოვანი ტრაპატონის** ლეგენდარული გამოსვლა გაახსენა. „ბაიერნის" ფეხბურთელებს ისეთივე მონდომებით რომ ეთამაშათ, როგორი მონდომებითაც ვან გაალი ჟურნალისტს უტევდა, „ნიურნბერგთან" აუცილებლად მოიგებდნენ.

ზემოთ ვთქვით, რომ მიუნხენელებმა 13-მატჩიანი მოგებების სერია შეწყვიტეს. აქედან, 10 გამარჯვება ბუნდესლიგურ თამაშებზე მოდიოდა, სამი კი ჩემპიონთა ლიგის მატჩებზე. ჰოდა, „ბაიერნს" ბუნდესლიგაში ზედიზედ მე-11 თამაშიც რომ მოეგო, „ვოლფსბურგისა" (2008/2009 წლების სეზონში) და მიონხენგლადბახის „ბორუსიას" (1986/87) რეკორდებს გაიმეორებდა. ჟურნალისტის კითხვაზე, თქვენს შეგირდებს დღეს წარმატების მიღწევა ძალების მინიმალური დახარჯვით ხომ არ სურდათო, ვან გაალი ჯერ გამწვანდა, მერე გაწითლდა და ისე აენთო, რომ კორესპონდენტმა აღარ იცოდა, სად დამალულიყო.

*„აბსოლუტურად არ გეთანხმებით და მეტსაც გეტყვით, თქვენ ფეხბურთის აზრზე არ ხართ. ჩემი აზრით, „ბაიერნმა" დღეს ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა, მაგრამ გოლს რომ ვერ გაიტან, ვერც მოიგებ. „ნიურნბერგი" თავს 11 ფეხბურთელით იცავდა და მიუხედავად ამისა, ძალიან მაგარი მომენტები შევქმენით. ერთი ეგაა, რომ მეორე გოლი ვერ გავიტანეთ. ნიურნბერგელებმა კი ერთადერთი მომენტი შეგვიქმნეს და ისიც გოლით დამთავრდა. ჩემი აზრით, პუბლიკამ ბრწყინვალე მატჩი იხილა, „ნიურნბერგმა" მაგრად იბრძოლა, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ჩვენ ცუდად ვითამაშეთ. დღეს ჩემმა ბიჭებმა გაცილებით უკეთესად ითამაშეს, ვიდრე „ფიორენტინასთან". მაგრამ ფლორენციელებთან მოვიგეთ და იმ თამაშის მერე ჩვენი გაკრიტიკება აზრადაც არავის მოსვლია,"* - მიახალა ვან გაალმა „სქაი სპორტის" რეპორტიორს და მოგვიანებით კიდევ ერთხელ გაიმეორა ის, რასაც ხშირად ამბობს ხოლმე, ჟურნალისტების აბსოლუტური უმრავლესობა ფეხბურთის გაგებაში არ არისო.

ფაქტია, რომ „ბაიერნს" ჩემპიონური თამაში არ ჩაუტარებია. რიბერისა და მეორე ტაიმში რობენის გარეშე კი, ფაქტობრივად ნახევარი ძალა მოაკლდა. თუმცა მიუნხენელები სჯობდნენ მეტოქეს, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი და მომენტებიც შექმნეს, მაგრამ...

„კიოლნისა" და „შტუტგარტის" მატჩი სტუმართა გამანადგურებელი გამარჯვებით, 5:1 დასრულდა და მატჩის შემდეგ შვაბთა თავკაცი **კრისტიან გროსი** ნაღდად იფიქრებდა, კიდევ კარგი, რომ **ჩიპრიან მარიკა** არ მყავდაო. მარიკას არაფერს ერჩის, რუმინელი თავდამსხმელი საკმაოდ კარგად თამაშობს - საქმე ისაა, რომ გროსმა მარიკას ნაცვლად **კაკაუ** ათამაშა და ამ უკანასკნელმა „კიოლნს" პოკერი (!) შეუსრულა. შეგახსენებთ, რომ „კიოლნის" კარში გოლის გატანა საკმაოდ რთული საქმეა. ბრაზილიური წარმოშობის გერმანელმა, რომელიც გერმანიის ნაკრებშიც თამაშობს ხოლმე, ჯერ სუფთა ჰეთ-თრიკი შეასრულა, მერე კი მეოთხეც გაიტანა და საფინალო სასტვენის შემდეგ უბედნიერესი იყო. მისმა კიოლნელმა კოლეგამ და ბუნდესგუნდის კიდევ ერთმა თავდამსხმელმა, **ლუკას პოდოლსკიმ** კი კვლავ ვერ გაიტანა გოლი და პოლდის უკვე 1300 წუთია, არ უხეირია. პოდოლსკის ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში ერთადერთი გოლი აქვს გატანილი - 13 სექტემბერს „შალკესთან". შესაბამისად, არ ვიცით, რისი იმედი აქვს გერმანიის ნაკრების თავკაც **იოახიმ ლიოვს**, როცა ამბობს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, პოდოლსკის მსოფლიოს ჩემპიონატზე მაინც წაიყვანს. მოკლედ, „შტუტგარტმა" „ბარსელონასთან" მატჩის წინ ძალიან კარგი განწყობა შეიქმნა. კაკაუ: „ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ „ბარსასთან" სენსაცია გამოვაცხოთ!" „შტუტგარტს" ამის შანსი სამშაბათს მიეცემა.

**მირკო სლომკას** „ჰანოვერს" ვერც ფსიქოლოგის დახმარებამ უშველა. „წითლებმა" კატასტროფული მდგომარეობის გამო დოქტორი **ანდრეას მარლოფიტსი** აიყვანეს, რომელმაც ფეხბურთელები მატჩის წინაც დამოძლვრა და მთელი შეხვედრის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მაგრამ „ჰანოვერმა" დორტმუნდში მაინც წააგო, თანაც, 1:4. სლომკა ამბობს, არა უშავს, ფსიქოლოგიური თერაპია მოგვიანებით გამოილებს შედეგსო. როგორც ჩანს, თერაპიამ სლომკაზე უკვე იმოქმედა. ერთი ეგაა, რომ, როცა დოქტორის საქმეში ჩართვა შედეგს გამოიღებს, შეიძლება „ჰანოვერი" უკვე მეორე ბუნდესლიგაში იყოს. უკვე ხუთი ტურია, რაც „ჰანოვერს" მირკო სლომკა წვრთნის და „წითლებმა" ხუთივე (!) თამაში წააგეს. „დორტმუნდმა" კი ზედიზედ სამი წაგების შემდეგ ისევ ამოისუნთქა. მომავალ პარასკევს „ბორუსიას" „რურის დიდი დერბი" ელის „შალკესთან". დერბის მოლოდინშია დორტმუნდელთა შემტევი ნახევარმცველი **კევინ გროსკროიტცი**, რომელიც ბავშვობიდან ვერ იტანს „შალკეს". ამ უკანასკნელმა პარასკევს კიდევ ერთი სკანდალური განცხადება გააკეთა, ჩემმა შვილმა „შალკეს" რომ დაუწყოს ქომაგობა, მასზე უარს ვიტყვი და ინტერნატში გავგზავნიო. „ჰანოვერთან" გროსკროიტცმა, გარდა იმისა, რომ გრძელი ენა აქვს, ისიც დაამტკიცა, რომ კარგი ფეხბურთელია და შაბათს გოლი გაიტანა. ეს იყო კევინის პირველი გოლი, რომელიც მან „ვესტფალენშტადიონის" სამხრეთ ტრიბუნის სიახლოვეს გაიტანა. ამ ლეგენდარული ტრიბუნიდან ბავშვობაში თვითონ ქომაგობდა „დორტმუნდს" და ოცნებობდა იმაზე, რომ ერთხელაც გოლი გაეტანა. გროსკროიტცის მომდევნო ოცნება „შალკეს" კარში გამარჯვების გოლის გატანაა.

„ეინდჰოვენთან" ბრძოლით გადაღლილმა „ჰამბურგმა" „აინტრახტის" დამარცხება ვერ შეძლო - 0:0. თანაც, ჰამბურგელებს **რუუდ ვან ნისტელროი** არ ჰყავდათ, რომელსაც მცირე ტრავმა აქვს და თამაში კი შეეძლო, მაგრამ ექიმებმა მისთვის მწვანე შუქის ანთება არ გარისკეს. შეხვედრას ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი **ბერტ ვან მარვიიკი** სწორედ იმიტომ დაესწრო, რომ ვან ნისტელროის თამაში ენახა, მაგრამ არ გაუმართლა. რუუდი ამბობს, ვან მარვიიკს ველაპარაკე და მითხრა, როცა ითამაშებ, წინასწარ შემატყობინე და ისევ ჩამოვალო. როგორც ჩანს, ვან მარვიიკი ვან ნისტელროის მუნდიალზე წაყვანას აპირებს.

„ვოლფსბურგი" მიმდინარე სეზონში ძალიან ცუდად გამოიყურება - ყოველ შემთხვევაში, შარშანდელთან შედარებით, როცა ყველასათვის მოულოდნელად გერმანიის ჩემპიონი გახდა, მაგრამ „მგლებმა" ის კი მაინც მოახერხეს, რომ ამ სეზონში ორივე თამაში მოუგეს „შალკეს", რომელმაც ზაფხულში „ვოლფსბურგს" მთავარი მწვრთნელი წაართვა. გუშინ **ფელიქს მაგათი** მისმა ყოფილმა უსაყვარლესმა შეგირდმა **გრაფიტემ** გააბრაზა. გელზენკირხენელები **კევინ კურანის** გოლით იგებდნენ, მაგრამ გრაფიტემ მეორე ტაიმში დუბლი შეასრულა და „შალკემაც" ამ სეზონში რიგით მეოთხე მარცხი იწვნია.

„ლევერკუზენმა" ვერ მოიგო, მაგრამ არც წააგო. „ფარმაცევტებმა" ბრემენში უმძიმესი ბრძოლა გადაიტანეს, ორჯერ იგებდნენ, მაგრამ ბრემენულმა კლუბმა ორჯერვე შეძლო ანგარიშის გათანაბრება. შესაბამისად, „ლევერკუზენი" კვლავ პირველ ადგილზე დარჩა და საინტერესო ის არის, რომ ამ ტურში საუკეთესო ოთხეულიდან ვერც ერთმა კლუბმა ვერ მოიგო.

სამაგიეროდ, როგორც იქნა, მოიგო „ჰერტამ"! **ლევან კობიაშვილის** გუნდმა „ფრაიბურგი" დაიბრიყვა (3:0) და მართალია, მაინც ბოლო ადგილზე დარჩა, თუმცა იმედის ნაპერწკალი გაალვივა და ბერლინელთა გადარჩენა ახლა უფრო რეალურია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## მომდევნო ტური

**26 თებერვალი.** შალკე-ბორუსია (დ). **27 თებერვალი.** ჰერტა-ჰოფენჰაიმი, მაინცი-ვერდერი, შტუტგარტი-აინტრახტი, ბორუსია (მ)-ფრაიბურგი, ბოხუმი-ნიურნბერგი. **28 თებერვალი.** ლევერკუზენი-კიოლნი, ჰანოვერი-ვოლფსბურგი, ბაიერნი-ჰამბურგი.

## ჰოფენჰაიმი-ბორუსია (მ) 2:2

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** ჰილდებრანდი 3.5 - გულდე 4.5 (70. ტაგო 3.5), შიმუნიჩი 3.5, ნილსონი 4.5 (46. ვუკჩევიჩი 3.5), აიხნერი 5 - ფორსა 4, კომპერი 4 - მაიკოსუელი 3.5, კარლოს ედუარდო 2, ბა 3 - იბიშევიჩი 3.

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ბეილი 2.5 - ლეველსი 2.5, ბრაუერსი 4, დანტე 4, დემსი 4.5 - ბრედლი 4, მეეუვისი 3.5 - როისი 3.5, არანგო 3 (87. კლაინე) - კოლაუტი 3.5 (84. ფრენდი), ბობადილია 3.5 (72. მატმური).

**გოლები:** 0:1 დემსი (31-პენ), 0:2 კოლაუტი (51), 1:2 იბიშევიჩი (69), 2:2 კარლოს ედუარდო (89-პენ)

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 20(6)-17(7); **ჯარიმა:** 14-14; **კუთხური:** 8-2; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 30 150

## ჰამბურგი-აინტრახტი 0:0

**ჰამბურგი (4-2-2-2):** ფ. როსტი 4 - ჟ. ბოატენგი 3 (64. დემელი 4.5), როზენალი 3, მატიისენი 3.5, იანსენი 4 - რინკონი 3, ზე რობერტო 4 - ტროხოვსკი 3.5, თორუნი 4.5 (64. პიტროიპა 4) - ბერგი 5, პეტრიჩი 4.

**აინტრახტი (4-1-3-1-1):** ნიკოლოვი 3.5 - ფრანცი 3, კრისი 3, რუსი 3.5, შპიხერი 4 - შვეგლერი 3.5 - პ. ოხსი 4, ტებერი 3.5, კიოლერი 4 (75. ქორქმაზი) - ა. მაიერი 3.5 - ჰალილ ალთინთოფი 4.5 (92. კაიო).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 11(3)-8(2); **ჯარიმა:** 21-23; **კუთხური:** 7-2; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 56 196

## კიოლნი-შტუტგარტი 1:5

**კიოლნი (4-2-2-2):** მონდრაგონი 3.5 - შორხი 5, ჟერომელი 5, მოჰამადი 5, ბრეჩკო 5 - პეტიტი 4.5, პეცონი 5.5 - ტოშიჩი 4.5, ჩიჰი 3.5 (55. ფრაისი 4.5) - პოდოლსკი 4, ნოვაკოვიჩი 4.

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ლემანი 2 - ჩელოცი 3, ტასკი 2.5, დელპიერი 3.5, მოლინარო 2 - ტრეში 3.5, კუჟმანოვიჩი 2.5 - გებჰარდტი 3 (74. რუდი), გლები 3.5 (65. ჰილბერტი 3) - კაკაუ 1, პოგრებნიაკი 3 (83. შიბერი).

**გოლები:** 0:1 კაკაუ (13), 0:2 კაკაუ (31), 0:3 კაკაუ (38), 1:3 შორხი (44), 1:4 პოგრებნიაკი (69), 1:5 კაკაუ (74)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 9(6)-21(11); **ჯარიმა:** 7-14; **კუთხური:** 7-9; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 45 500

## ბორუსია (დ)-ჰანოვერი 4:1

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი 3.5 - ოვომოიელა 3.5, სუბოტიჩი 2.5, ჰუმელსი 3, შმელცერი 3 (83. ფელიპე სანტანა) - ს. ბენდერი 3, ნ. შაჰინი 2 - ბლაშჩიკოვსკი 3, ზიდანი 3 (63. ჰაინალი 3), გროსკროიტცი 2.5 - ბარიოსი 4 (63. ვალდესი 3).

**ჰანოვერი (4-3-1-2):** ფრომლოვიტცი 2.5 - ჩაჰედი 5, ეგიმანი 5.5, დურიცა 5.5, რაუში 5.5 (79. ჰანკე) - ბალიტში 5.5, ლალა 5.5 (68. პინტუ 4.5), კ. შულცი 5 - ელსონი 5.5 - ა. კონე 4, შლაუდრაფი 5.5 (61. შტაინერი 4.5).

**გოლები:** 1:0 სუბოტიჩი (43), 2:0 ეგიმანი (60-საკ. კარში), 3:0 ვალდესი (77), 3:1 ა. კონე (81), 4:1 გროსკროიტცი (88)

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 27(14)-5(2); **ჯარიმა:** 16-17; **კუთხური:** 7-3; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 73 700

## მაინცი-ბოხუმი 0:0

**მაინცი (4-3-2-1):** ჰ. მიულერი 3 - ფ. ჰელერი 3, სვენსონი 3.5, ნოვესკი 3, ფათი 3.5 - პოლანსკი 4, კარჰანი 3.5 (67. ივანშიტცი 4), სოტო 4 - ტროიანი 4 (67. შალაი 4), შიურლე 3.5 (83. შიმაკი) - ბონსე 4.

**ბოხუმი (4-4-1-1):** ჰეერვაგენი 2.5 - კონჩა 3.5, მალტრიტცი 3.5, მავრაი 3, ფუხსი 4 - ფრაიერი 4, დაბროვსკი 3, დედიჩი 4 (69. პროკოფი 3.5), ჰოლტბი 5 - ეპალე 4 (32. იოჰანსონი 3.5) - შესტაკი 4 (79. ჰაშემიანი).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 8(3)-10(2); **ჯარიმა:** 17-12; **კუთხური:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 19 000

## ნიურნბერგი-ბაიერნი 1:1

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი 3 - დიკმაიერი 3, ვოლფი 4, ბრენო 3, პინოლა 3.5 - ოტლი 3.5, ტავარესი 4 - ფრანტცი 3.5 (71. რისე), გიუნდოგანი 3, ბუნიაკუ 4 (85. აიგლერი) - ხარისტეასი 4.5 (46. ჩუპო-მოტინგი 4).

**ბაიერნი (4-2-2-2):** ბუტი 4 - ლამი 3, დემიკელისი 4, ბადშტუბერი 3, კონტენტო 4 - ვან ბომელი 3.5, შვაინშტაიგერი 3.5 - რობენი 4 (46. ჰამით ალთინთოფი 4), თ. მიულერი 3 - გომესი 3, ოლიჩი 4 (70. კლოზე 4).

**გოლები:** 0:1 თ. მიულერი (38), 1:1 გიუნდოგანი (54)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 5(2)-12(4); **ჯარიმა:** 16-15; **კუთხური:** 3-7; **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 48 548

## ფრაიბურგი-ჰერტა 0:3

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** პუპლინი - ვილიამსი (46. კალიგიური), ბართი, ტოპრაკი, ბასტიანსი - ფლუმი (46. იეგერი), ბანოვიჩი - ნამუში, მაკიადი (73. ი. შუსტერი) - რაიზინგერი, სისე.

**ჰერტა (4-1-2-1-2):** დრობნი - პიეჩეკი, ა. ფრიდრიხი, ჰუბნიკი, კობიაშვილი - ლუსტენბერგერი (79. იანკერი) - კრინგე, სისერო - რაფაელი (84. დარდაი) - რამოსი (73. ვიხნიარეკი), გეკასი.

**გოლები:** 0:1 რამოსი (28), 0:2 სისერო (35), 0:3 სისერო (56)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 12(4)-21(9); **ჯარიმა:** 16-9; **კუთხური:** 8-8; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 21 600

## ვოლფსბურგი-შალკე 2:1

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ჰიტცი - პეკარიკი, მადლუნგი, შიმუნეკი, მ. შეფერი - ჟოსუე - რიტერი, გენტნერი (46. გენტნერი) - მიშიმოვიჩი - გრაფიტე, ჯეკო.

**შალკე (4-1-2-2-1):** ნოიერი - ჰაო (74. ბაუმიოჰანი), ჰიოვედესი, ბორდონი, შმიტცი - მატიპი - კლუგე (63. მორიტცი), რაკიტიჩი - ფარფანი, სანჩესი (54. მორავეკი) - კურანი.

**გოლები:** 0:1 კურანი (30), 1:1 გრაფიტე (71), 2:1 გრაფიტე (77)

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 15(6)-12(3); **ჯარიმა:** 11-20; **კუთხური:** 5-7; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 30 000

## ვერდერი-ლევერკუზენი 2:2

**ვერდერი (4-2-3-1):** ვიზე - ფრიტცი (46. აბდენური), მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი - ნიმაიერი (66. აიიკი), ფრინგსი - ბოროვსკი (66. უგო ალმეიდა), იოზილი, მარინი - პისარო.

**ლევერკუზენი (4-2-2-2):** რ. ადლერი - შვააბი (67. შარპეი), მ. ფრიდრიხი, რაინარტცი, კასტრო (66. კადლეცი) - ვიდალი, ლ. ბენდერი - ბარნეტა (82. რენატო), კროოსი - კისლინგი, დერდიოკი.

**გოლები:** 0:1 დერდიოკი (29), 1:1 პისარო (34), 1:2 კროოსი (57), 2:2 მერტეზაკერი (92)

**გაფრთხილება:** 4-5; **დარტყმა:** 10(3)-13(4); **ჯარიმა:** 22-26; **კუთხური:** 7-0; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 37 500

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 23 | 13 | 10 | 0 | 50-20 | 49 |
| 2. ბაიერნი | 23 | 14 | 7 | 2 | 49-20 | 49 |
| 3. შალკე | 23 | 13 | 6 | 4 | 34-17 | 45 |
| 4. ჰამბურგი | 23 | 10 | 10 | 3 | 43-25 | 40 |
| 5. ბორუსია (დ) | 23 | 11 | 6 | 6 | 35-30 | 39 |
| 6. ვერდერი | 23 | 9 | 8 | 6 | 46-28 | 35 |
| 7. აინტრახტი | 23 | 9 | 8 | 6 | 30-30 | 35 |
| 8. მაინცი | 23 | 8 | 8 | 7 | 26-30 | 32 |
| 9. შტუტგარტი | 23 | 8 | 7 | 8 | 32-30 | 31 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 23 | 8 | 5 | 10 | 32-29 | 29 |
| 11. ბორუსია (მ) | 23 | 8 | 5 | 10 | 33-38 | 29 |
| 12. ვოლფსბურგი | 23 | 7 | 7 | 9 | 40-45 | 28 |
| 13. ბოხუმი | 23 | 6 | 8 | 9 | 25-38 | 26 |
| 14. კიოლნი | 23 | 6 | 7 | 10 | 21-31 | 25 |
| 15. ფრაიბურგი | 23 | 5 | 4 | 14 | 21-44 | 19 |
| 16. ჰანოვერი | 23 | 4 | 5 | 14 | 25-45 | 17 |
| 17. ნიურნბერგი | 23 | 4 | 5 | 14 | 19-40 | 17 |
| 18. ჰერტა | 23 | 3 | 6 | 14 | 21-42 | 15 |

**ბომბარდირები:** 13 - კისლინგი (ლევერკუზენი); 12 - კურანი (შალკე); 11 - ბარიოსი (ბორუსია მ), ბუნიაკუ (ნიურნბერგი), დერდიოკი (ლევერკუზენი); 10 - ჯეკო (ვოლფსბურგი), გომესი (ბაიერნი), პისარო (ვერდერი); 9 - კროოსი (ლევერკუზენი); 8 - გრაფიტე (ვოლფსბურგი), იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი), რობენი (ბაიერნი).

## II ბუნდესლიგა

### XXIII ტური

**არმინია-დუისბურგი** 1:2

გოლები: 0:1 ბალიაკი (9), 1:1 ა. მიატოვიჩი (57), 1:2 ფაიკი (79-საკ. კარში)

**ფორტუნა-ალენი** 4:0

გოლები: 1:0 ანდერსონი (31), 2:0 იორლი (38), 3:0 ჰარნიკი (44), 4:0 ჰაიდინგერი (65)

**უნიონი-კობლენცი** 3:2

გოლები: 1:0 დოგანი (10), 1:1 კაპლანი (14), 2:1 დოგანი (28), 2:2 ჰარტმანი (48), 3:2 შტუფი (59)

**ჰანზა-აუგსბურგი** 0:1

გოლი: 0:1 რაფაელი (45)

**მიუნხენ 1860-ალემანია** 3:2

გოლები: 0:1 კრატცი (11), 1:1 პაპასი (29), 2:1 რიოსლერი (49), 2:2 ფილი (59), 3:2 ჰოლებასი (79)

**კოტბუსი-პადერბორნი** 1:2

გოლები: 1:0 იულა (34), 1:1 ზალიკი (53), 1:2 ბრიუკნერი (72)

**ფრანკფურტი-კარლსრუე** 2:1

გოლები: 0:1 შტინდლი (13-პენ), 1:1 კლიტცპერა (16), 2:1 გიაზულა (68)

**ობერჰაუზენი-ფიურტი** 0:1

გოლი: 0:1 ალაგუი (64)

**კაიზერსლაუტ.-ზტ. პაული** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაიზერსლაუტ. | 22 | 14 | 5 | 3 | 34-17 | 47 |
| 2. ზტ. პაული | 22 | 14 | 4 | 4 | 48-21 | 46 |
| 3. აუგსბურგი | 23 | 12 | 8 | 3 | 47-28 | 44 |
| 4. ფორტუნა | 23 | 12 | 4 | 7 | 36-22 | 40 |
| 5. არმინია | 23 | 12 | 4 | 7 | 35-23 | 40 |
| 6. დუისბურგი | 23 | 11 | 5 | 7 | 38-31 | 38 |
| 7. პადერბორნი | 23 | 9 | 7 | 7 | 32-21 | 34 |
| 8. უნიონი | 22 | 9 | 6 | 7 | 30-30 | 33 |
| 9. მიუნხენ 1860 | 23 | 9 | 5 | 9 | 29-28 | 32 |
| 10. ფიურტი | 23 | 10 | 1 | 12 | 40-37 | 31 |
| 11. ალემანია | 23 | 8 | 6 | 9 | 24-28 | 30 |
| 12. კოტბუსი | 23 | 7 | 6 | 10 | 32-32 | 27 |
| 13. კარლსრუე | 23 | 8 | 3 | 12 | 31-35 | 27 |
| 14. ჰანზა | 22 | 7 | 3 | 12 | 22-31 | 24 |
| 15. ობერჰაუზენი | 23 | 7 | 3 | 13 | 19-36 | 24 |
| 16. ფრანკფურტი | 23 | 5 | 6 | 12 | 17-41 | 21 |
| 17. კობლენცი | 23 | 4 | 6 | 13 | 21-40 | 18 |
| 18. ალენი | 23 | 3 | 6 | 14 | 12-36 | 15 |

**ბომბარდირები:** 20 - თურკი (აუგსბურგი); 12 - ებერსი (ზტ. პაული); 11 - ფედერიკო (არმინია), ჰარნიკი (ფორტუნა), ზალიკი (პადერბორნი); 10 - ალაგუი (ფიურტი), აუერი (ალემანია), ნიოთე (ფიურტი); 9 - იენდრიშეკი (კაზერსლაუტერნი).

## III ბუნდესლიგა

**დრეზდენი-ერფურტი 1:0, ჰაიდენჰაიმი-აუე 0:0, ინგოლშტადტი-კილი 1:0, ოფენბახი-ბურგჰაუზენი 3:0, კარლ ცაისი-ოსნაბრიუკი 1:1, უნტერჰახინგი-ბორუსია (დ) II 1:1.**

*დანარჩენი მატჩები გადაიდო*

ძიუდო

დიუსელდორფის დიდი პრიზი

# ერთი მესამე და ორი მეხუთე

საქართველოს ნაკრებმა ერთი ბრინჯაოთი დაამთავრა ასპარეზობა დიუსელდორფის „დიდ პრიზზე". მისი ავტორი მძიმეწონოსანი **ზვიად ხანჯალიაშვილი** გახდა, დანარჩენთაგან კი საუკეთესო შედეგი **დავით ლორიაშვილისა** (100) და **ლაშა გუჯეჯიანის** (+100) მეხუთე ადგილებია.

როგორი შედეგია ეს ჩვენი გუნდისთვის, რომელიც არცთუ ურიგო შემადგენლობით გამოდიოდა? ვფიქრობთ, არც ისე კარგი და საამაყო. ცხადია, მედალი კარგია, მაგრამ ის არც იმ ხარისხისაა, თავის დამშვიდების უფლება მოგვცეს, მაგრამ უმთავრესი მაინც სხვა რამეა - გუნდი მოსალოდნელზე სუსტად გამოვიდა. მართალია, „ზამთრის სესიიდან" ჯერ კიდევ ერთი ტურნირია დარჩენილი - მომავალ უქმეებზე პრაღაში გასამართი, სადაც ოპტიმალური შემადგენლობა უნდა შეიკრიბოს. სავარაუდოდ, იქ შედეგებიც უკეთესი იქნება, მაგრამ ნაკრების თავკაცმა **ამირან ტოტიკაშვილმა** ადრევე განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი ხალხი იმ შემადგენლობაში უნდა ვეძებოთ, რომლებიც პარიზსა და დიუსელდორფში იჭიდავებენო. პარიზში გუნდი ბევრად უკეთ გამოვიდა, გერმანიაში კი ვინ გვანახა ის დონე, კონტინენტის პირველობაზე ვენდოთ? დიუსელდორფულ ტილოზე ერთადერთი ნათელი წერტილი ხანჯალიაშვილის მედალია, მაგრამ არა გვგონია, მისმა ჭიდაობამ ნაკრების ხელმძღვანელობა დააკმაყოფილოს და საევროპოდ ენდონ იმის მიუხედავად, რომ ხანჯალიაშვილმა ორი იპონი მიითვალა.

მოლოდინისამებრ, დიუსელდორფში საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა - მთლიანობაში 45 ქვეყნის 354 ფალავანი გამოდიოდა, აქედან მხოლოდ ვაჟთა ტურნირში 42 გუნდი ჭიდაობდა. მონაწილეთა შორის ბევრი ისეთიც იყო, რომლებიც წინა ტურნირებში თითქმის არ ჩანდნენ, მათმა გამოსვლამ კი შეჯიბრებას ეშხი შემატა. ერთადერთი, ბოლო მომენტში აზერბაიჯანელებმა შეცვალეს გეგმები და ოლიმპიურ ჩემპიონ **ელნურ მამედლისა** (73) და ოლიმპიადისა და მსოფლიოს პრიზიორ **მოვლუდ მირალიევის** (100) სპორტში დაბრუნება ისევ გადადეს.

ტოტიკაშვილმა გერმანიაში ძირითადად ახალგაზრდები წაიყვანა, მაგრამ ისეთებიც საკმაოდ იყვნენ, ნაკრების პირველ ნომრობაზე რომ აცხადებენ პრეტენზიას. აი, სწორედ მათი სუსტი გამოსვლა გვაძლევს განსაკუთრებული შეშფოთების საფუძველს. სხვა იყო ვენის ტურნირი, სადაც ორი-სამი გამონაკლისის გარდა სულ ახალგაზრდები იყვნენ და მაშინდელი უმედლობა არ გაგვკვირვებია, მაგრამ ახლა ზოგიერთი დასაყრდენი ფალავნისგან მეტს ველოდებოდით. თან ამ ტურნირმა რამდენიმე ისეთი ტენდენციაც გამოავლინა, რასაც, უპირველესად, პირადმა მწვრთნელებმა უნდა მიხედონ, თორემ ამას ტოტიკაშვილი ვერ მოუვლის. მთავარ მწვრთნელთან სპორტსმენები გარკვეულ დონეზე მომზადებულები უნდა მივიდნენ, თორემ სანაკრებო შეკრებაზე ყველაფრის ერთად სწავლა არ მოესწრება და ეს არცაა შეკრების დანიშნულება. ასეთი სიმპტომური ხარვეზებია, მაგალითად, ის რომ **ვალერი ლიპარტელიანს** (90) აშკარად აკლია ფიზიკური მომზადება და არ ჰყოფნის სუნთქვა; ფიზიკურად ასევე მოიკოჭლებს **ზურაბ ზვიადაური** (100); ზვიად ხანჯალიაშვილი უკვე მერამდენედ ისე ეცემა, თითქოს მეტოქეს შესაბოჭად იწვევდეს...

მძიმე წონაში ქართველთა ბედისწერად საშუალო დონის ეგვიპტელი **ისლამ ელ შეჰაბი** გახდა - ორივე ჩვენებურს მან მოუგო, თუმცა აფრიკელმა მთავარი სენსაცია ფინალში შემოგვთავაზა, სადაც ორგზის მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **კეიჯი სუძუკი** დაამარცხა და ჩემპიონი გახდა. არადა, შარშან აგვისტოში, როტერდამში, მსოფლიოს პირველობაზე ხანჯალიაშვილმა წმინდად მოუგო, რისთვისაც ეგვიპტელმა ახლა იძია შური ასევე სუფთად. ხანჯალიაშვილი პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი ზედიზედ დაიპონა გერმანელი **მატიას შმუნკი** და თბილისის წლევანდელი ტურნირის რუსი ბრინჯაოს პრიზიორი **რენატ საიდოვი**, რასაც ეგვიპტელთან წაგება მოჰყვა. გუჯეჯიანისთვის ეს პირველი ტურნირი ტრავმებით გამოწვეული ლამის ორთვიანი უქმობის შემდეგ და აფრიკელთან წაგებამდე ყაზახ **იერზან შინკეევის** დამარცხება მოასწრო.

გერმანიის ტურნირს კონკურენციის თვალსაზრისით ბევრი რამ უნდა გაერკვია 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში, სადაც ლიპარტელიანმა და **საბა გავაშელიშვილმა** იჭიდავეს. ვერ გეტყვით, მათ გამოსვლაში რა დადებითი ან უარყოფითი დაინახა ტოტიკაშვილმა, მაგრამ სპორტსმენთა გამოსვლა კი არადამაკმაყოფილებელია. გავაშელიშვილი პირველივე წრეში დამარცხდა ბელგიელ **კრისტოფ ვან დიკთან** - ჩვენებურმა მეტოქეს ვაზარი კი აართვა, მაგრამ თვითონ ჯერ იუკო დათმო, ბოლოს კი წმინდად წააგო. ლიპარტელიანმა გერმანიაში სულ ორი შეხვედრა გამართა და პირველ შეხვედრაში ლატვიელი **აიგარს მილენბერგსი** ამოსმულით ისეთ იპონზე დაანარცხა, ძველი ლიპარტელიანი გაგვახსენა. რაც მართალია, მას ილეთის მშვენიერი გრძნობა აქვს, მაგრამ იაპონელ **დაიკი მიჩიამასთან** გამძლეობით დაიჩაგრა. ამ შეხვედრაში ჩვენებური თითქოს უფრო დაკვირვებით ჭიდაობდა, ადრინდელივით უკანმოუხედავად აღარ უტევდა, თითქოს დადინჯებული, დაკვირვებული და წარსულის შეცდომებისგან ჭკუანასწავლი ჩანდა, მაგრამ ერთი იუკოთი ორის წინააღმდეგ მაინც წააგო. ვფიქრობთ, მას ტექნიკური მხარის გამრავალფეროვნება მართებს, თორემ რალაც ისე ჩანს, თითქოს მის მთავარ კოზირად ამოსმული იქცა. ამას თუ ყოველთვის ისე გააკეთებს, როგორც მილენბერგსს გაუკეთა, არაფერი გვექნება საწინააღმდეგო, მაგრამ კოკას რომ წყალი ყოველთვის არ მოაქვს, უძველესი სიბრძნეა. ვფიქრობთ, მან ახლა საერთოდ უნდა დაანებოს თავი ევროპის პირველობაზე გამოსვლაზე ფიქრს და მთელი აქცენტი მსოფლიოსთის მზადებაზე გადაიტანოს, პარალელურად კი ფიზმომზადებას მიხედოს, თორემ ამ ჭიდაობით, მისი ნიჭისა და ტალანტისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, არა გვგონია, ევროპაზე წარმატებას მიაღწიოს. მხოლოდ ნიჭით რომ ფონს ვერ გადის, ფაქტია. თუმცა, შესაძლოა, ამ წაგების შემდეგ მაინც გამოეთხოვოს საევროპო ნაკრებზე ფიქრს, როგორც - გავაშელიშვილი. სამწუხაროა, მათ საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ დადებითი სურათი რომ ვერ გვანახეს. ამ ეტაპზე წონის ლიდერი თბილისის ტურნირის ჩემპიონი **მინდია ბოდაველი** ჩანს, რომელმაც იქით უქმეებზე პრაღაში უნდა იჭიდაოს. იმედია, იქაც ისეთივე ჭიდაობას გვაჩვენებს, როგორიც - თბილისური ტურნირის ფინალში ვიხილეთ.

ნაკრებში მოხვედრის ორი რეალური კანდიდატი გამოდიოდა 100-შიც - ლორიაშვილი და ზვიადაური. ამ წონაში კიდევ ორი რეალური კანდიდატია - მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** და **ლომერ ჟორჟოლიანი**, რომელმაც ამ ციკლში სამი ბრინჯაო მოიპოვა - საქართველოს ჩემპიონატზე, კანოს ტურნირსა და მასტერსზე. კაცმა რომ თქვას, უპირველეს ფავორიტებადაც ესენი მიიჩნევიან, მაგრამ მათ მწვრთნელი პრაღაში გამოცდის, ახლა კი იმ ორს აკვირდებოდა... ზვიადაურმა რუმინელი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **დანიელ ჰადფი** დააიპონა (მანამდე იუკოც აართვა), მაგრამ მომდევნო შეხვედრა 26 წამში დათმო ჰოლანდიიდან ბელგიაში გადაბარგებულ ევროპის ჩემპიონ **ელკო ფან დერ ხესტთან**. მასზეც დაახლოებით იმავეს ვიტყვით, რაც ლიპარტელიანზე ვთქვით - ფიზმომზადებას თუ არ მოუმატა, მხოლოდ ნიჭით ფონს ვერ გავა. ნიჭით მან ერთი დიდი წარმატება უკვე მოიპოვა, თუმცა მაშინ ბევრად უკეთესი მომზადებაც უმაგრებდა ზურგს (მაგრამ ფიზმომზადება მაშინაც აკლდა - დასკვნით ციკლში ვერც პირველი შეკრება გაიარა სრულად და ვერც - ბოლო). „ზამთრის სესიებზე" ნაჩვენები დონით წარმატების შანსი არც მომავალში ექნება.

ამ სეზონში დადებითი სურათი თუ სადმე ვიხილეთ, ეს 60 და 81 კილოგრამი წონითი კატეგორიებია. უფრო კი 60, სადაც მძაფრი კონკურენცია გამოიკვეთა. ამ ეტაპზე კონკურენტთაგან თბილისის და პარიზის ტურნირების მომგები **დავით ასუმბანი** დაწინაურდა, მაგრამ სხვების გამოსვლები მაინც დიდ ინტერესს იწვევს. სამწუხაროდ, **ბეთქილ შუკვანმა** და **ნესტორ ხერგიანმა** ამჯერად იმედები ვერ გაგვიმართლეს - მათი მონაგარი თითო მოგება-წაგებაა. შუკვანმა ყაზახ **იერკებულან კოსაევთან** იპონით იმარჯვა, კანადელ **ვილ ფრეზერთან** კი დამატებითში იპონით დამარცხდა. ვფიქრობთ, მის გამოსვლაში მაინც იყო რალაც დადებითი ძვრები წინა ტურნირებთან შედარებით, მაგრამ მთავარი მაინც შედეგია, რომელიც ამჯერად ვერ გვაჩვენა. ხერგიანმა ახალგაზრდა ებრაელი **იდო ელკაიამი** ყოველმხრივ დაჩაგრა და აბსოლუტურად ყველანაირი ქულა აართვა, ვიდრე ბოლოს იპონზე არ დააგდო, ხოლო მონგოლ **ბოლბაატარ განბატთან** დაძაბულ ბრძოლაში წააგო.

სამწუხაროდ, კვლავაც ვერაფრით დაგვამახსოვრეს თავი **მინდია ხომიზურმა** და **შალვა ქარდავამ** (66), რომლებმაც თითო მოგება-წაგებით დაასრულეს შეჯიბრება. ზუსტად ასეთი შედეგით დაასრულა გამოსვლა **თენგიზ პაპოშვილმაც** (73), რომელმაც შეხვედრა მომავალ ჩემპიონთან, მონგოლ **საინჯარგალ ნიამ-ოჩირთან** დაახლოებით თანაბარ ბრძოლაში წააგო. ამავე წონაში პირველივე წრიდან გავარდა **ამბაკო ავალიანი**, ხოლო **იოსებ წელაური** (81) პირველ შეხვედრაში გამარჯვების შემდეგ მომავალ ფინალისტთან, ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორ **ეუან ბურტონთან** დამარცხდა.

**ირაკლი თავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა

კიევის ტურნირი

# გორელთა წარმატება

ქართველმა „თავისუფლებმა" თითო ვერცხლითა და ბრინჯაოთი დაამთავრეს გამოსვლა კიევის საერთაშორისო ტურნირში. ჩვენებმა ორივე მედალი უმჩატეს – 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოიპოვეს. ვერცხლის მედალს **ბესარიონ გოჩაშვილი** დაეუფლა, ბრინჯაოს - **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი**. აღსანიშნავია, რომ ორივე ფალავანი გორელია და **ნუგზარ სხირელთან** ვარჯიშობს.

აღსანიშნავია, რომ ორი მონაწილე მხოლოდ ამ წონაში გვყავდა. ნაკრების თავკაცმა **ზაზა თურმანიძემ** იქ საქართველოს ჩემპიონები წაიყვანა, რადგან მათ ევროპის ჩემპიონატისთვის ამზადებს, გოჩაშვილი კი ამ სიაში იმიტომ მოხვდა, რომ ხელის ტრავმის გამო ქვეყნის პირველობა გამოტოვა და მწვრთნელმა შანსი მისცა. აღლომ არც უმტყუნა – გოჩაშვილი ფინალში გავიდა, სადაც ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ნიკოლა აივაზიანთან** დამატებით დროში წააგო. ეს ბიჭი კარგად გვახსოვს თბილისში შარშან ჩატარებული ახალგაზრდების ევროპის პირველობიდან, სადაც მეორეზე გავიდა. ეს ბიჭი გოჩაშვილისთვის უხერხული მეტოქეა, თუმცა ჩვენებურსაც მოუგია მისთვის. ახლაც პირველი პერიოდი ჩვენებურმა მოიგო – 2:2 კი დამთავრდა, მაგრამ ბოლო ქულა ამისი იყო, თუმცა მომდევნოები დათმო. აქვე ისიც ვთქვათ, რომ გოჩაშვილი კიევში წასვლის წინაც ვერ იყო სრულ ფორმაში. თან გუნდი იქ პირდაპირ ბაკურიანიდან გაემგზავრა, სადაც ფიზმომზადებას გადიოდა, ასეთი შეკრებიდან პირდაპირ ლეიბზე გადასვლა კი მთლად იოლი არაა.

აივაზიანმა დაამარცხა ხინჩეგაშვილიც, რომელმაც მანამდე ორი შეხვედრა მოიგო. როგორც უკრაინელ ნაცნობებზე დაყრდნობით სხირელმა გვითხრა, ამ შეხვედრაში მასპინძელს მსაჯებიც ნახმარებიან, ხინჩეგაშვილს კი მანამდეც ორი შეხვედრა მოუგია და - იმის მერეც, ოღონდ ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ვის აჯობა, ეს კი არ ვიცით.

სამწუხაროდ, სხვა ქართველები მედალოსნებში ვერ მოხვდნენ. თუმცა პრიზიორებში ქართული გვარ-სახელები არის, მაგრამ - უკრაინის სახელით. ესეც ერთი და იგივე წონაში – 74 კილოგრამში ჩემპიონი **გია ჩიხლაძე** გახდა (ფინალში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **ირბეკ ფარნიევი** დაამარცხა), ბრინჯაო კი **ჯამბულ ცოტაძემ** მოიპოვა.

აქვე გეტყვით, რომ სხვა წონებში რუსმა **ატმირ ხრომოვმა** (60), აზერბაიჯანელმა ევროპის ვიცე-ჩემპიონმა **ჯაბრაილ ჰასანოვმა** (66), უკრაინელმა ევროპის ჩემპიონმა **ტარას დანკომ** (84), რუსმა ოლიმპიურმა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა **ჰაჯიმურატ გაცალოვმა** (96) და უზბეკმა ორ-ორგზის ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა **არტურ ტაიმაზოვმა** (120) გაიმარჯვეს.

**ირაკლი თავაძე**

# ნოდარ ქუმარიტაშვილი მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს

*ინტერპრესნიუსი. ბაკურიანი, 20 თებერვალი* - ქართველი ოლიმპიელი ნოდარ ქუმარიტაშვილი ბაკურიანში, მაცხოვრის შობის სახელობის მშენებარე ეკლესიის ეზოში დაკრძალეს. დაკრძალვის ცერემონიას დაესწრნენ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, სპორტისა და კულტურის მინისტრი ნიკა რურუა, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, ოპოზიციიდან კი - „ქრისტიან-დემოკრატების" წევრი გიორგი ახვლედიანი. როგორც დავით ბაქრაძემ განაცხადა, საქართველოსთვის ვანკუვერში მომხდარი ტრაგედია ძალიან მძიმეა.



„დღეს ყველა დავემშვიდობეთ სპორტსმენს, რომელსაც შეიძლება, ათი დღის წინ არავინ იცნობდა, ახლა კი გაიცნო ყველამ, რადგან საქართველოსთვის დაილუპა. მარტო ბრძოლის ველზე არ ილუპებიან ქვეყნისთვის", - აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

ნიკა რურუას განცხადებით კი, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საქართველოს მისცა ნებართვა, რომ ბაკურიანში ნოდარ ქუმარიტაშვილის სახელობის სპორტული კომპლექსი აშენდეს, სადაც აღიზრდებიან პატარები და ნოდარ ქუმარიტაშვილის საქმეს გააგრძელებენ.

„ტრასა გამართული იქნება და აქ არა მხოლოდ ადგილობრივი გუნდები, არამედ საერთაშორისო ნაკრებების წარმომადგენლებიც მოემზადებიან", - აღნიშნა მინისტრმა.

მისი თქმით, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა რაც შეიძლება მალე დასრულდეს ამ კომპლექსის მშენებლობა. „ვერ დავასახელებ ადამიანს, რომელიც ამ ტრაგედიამ არ შეძრა. ნოდარის სახელი უკვდავყოფას იმსახურებს, მას უნდოდა სამშობლოსთვის სახელი გაეთქვა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ნოდარ ქუმარიტაშვილის სახელის უკვდავსაყოფად", - განაცხადა ნიკა რურუამ.

კულტურის მინისტრის ინფორმაციით, კანადაში უბედური შემთხვევის გამო გამოძიება მიმდინარეობს და ახალ დეტალებს საზოგადოება მოგვიანებით გაიგებს. დეპუტატ გიორგი ახვლედიანის განცხადებით, ეს არა მხოლოდ ოჯახის, არამედ მთელი ქვეყნის ტრაგედიაა.

„უნდა გაირკვეს ტრაგედიის მიზეზები - ვინ გააკეთა ეკონომია სპორტსმენების სიცოცხლის ხარჯზე. ამის გარკვევა ჩვენი ქვეყნის პრესტიჟს სჭირდება", - განაცხადა გიორგი ახვლედიანმა. ქართველი ოლიმპიელის დაკრძალვამდე ბორჯომ-ბაკურიანის მთავარეპისკოპოსმა სერაფიმემ ნოდარ ქუმარიტაშვილს წესი აუგო. როგორც მეუფე სერაფიმემ ბრძანა, მისი სული ეკუთვნის არა მხოლოდ ბაკურიანის ხეობას, ზოგადად საქართველოს, მთელ მსოფლიოს.

„მომავალ წელს, შობას საზეიმოდ გავხსნით ამ ეკლესიას. კარგი იქნება, კანადის მხარემ ნოდარის სახელზე ააშენოს სპორტული ნაგებობა და ნოდარის სახელზე საერთაშორისო ტურნირიც მომავალ წელს გაიხსნას", - აღნიშნა მეუფე სერაფიმემ.

დაკრძალვამდე წაიკითხეს სხვადასხვა ქვეყნიდან მოსული სამძიმრის წერილები, მათ შორის - ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის და საქართველოში ჩეხეთის ელჩის. ქართველი ოლიმპიელის ოჯახს დღეს საქართველოს პრეზიდენტმა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა, აგრეთვე, ზურაბ ნოლაიდელმა მიუსამძიმრეს.

ლეგიონერები

# ქართველთა გუნდები ლიდერობას ინარჩუნებენ

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, პირველი დივიზიონის მე-20 ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი ისევ **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი" გახდა.

კასტრელებმა სტუმრად ფრედ - 24:24 ითამაშეს „მეტრო რასინგთან". სამწუხაროდ, გიორგაძემ, რომელიც ძირითად შემადგენლობაში იყო, 37-ე წუთზე ფეხი დაიშავა და შესაცვლელი შეიქნა. მას მეტოქე ფიჯელმა, მეორეხაზელმა **საიმონ რაივალუიმ** ტრავმა განზრახ მიაყენა, რაც არბიტრმა ვერ შეამჩნია. თუმცა, ფრანგული სპორტული მედია იმედოვნებს, რომ ეს ინციდენტი სადისციპლინო კომიტეტს შეუმჩნეველი არ დარჩება. გიორგაძემ ტვინის შერყევა მიიღო და ფეხიც მოიტეხა.

პარიზელებმა მეტოქეს პირველ ნახევარში აჯობეს და ტაიმი ცხრა ქულით -18:9 მოიგეს. მეორე ტაიმში სტუმრები გაცილებით უკეთ ათამაშდნენ. ბრწყინვალედ გაისარჯა „კასტრის" ფულბეკი **რომენ ტულე**, რომელმაც მეტოქეს ექვსი საჯარიმო და ერთი არეკნი გაუტანა (21 ქულა). 73-ე წუთისთვის ანგარიშში წინ „გლობუსას" გუნდი იყო - 24:21. პარიზელები მარცხისგან მგეზავმა **ჯონათან ვიშნევსკიმ** მატჩის ბოლო წუთზე საჯარიმოთი იხსნა - 24:24.

**დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა" შინ დაგეგმილი ხუთი ქულა აიღო გათამაშების აუტსაიდერ „ალბისთან" - 45:18. „ვულკანებმა" მეტოქეს შვიდი ლელო გაუტანეს. აქედან ორი ცხრა ნომრის, **კევინ სენიოს** ანგარიშზეა. ზირაქაშვილი თამაშში 59-ე წუთიდან ჩაერთო.

„კლერმონმა" ამ გამარჯვების შემდეგ 61 ქულა დააგროვა და ქვეყნის ჩემპიონ „პერპინიანთან" მეორე-მესამე ადგილებს იყოფს.

კლერმონელებს კარგი სამსახური გაუწია **გოდერძი შველიძისა** და **ბექა შეყლაშვილის** „მონტობანმა". ჩვენებურთა გუნდმა შინ დაამარცხა „პერპინიანი" - 16:13. ეს ანგარიში 59-ე წუთზე დაფიქსირდა და თამაშის ბოლომდე აღარ შეცვლილა. მონტობანელებმა ბოლომდე თავდადებით იბრძოლეს და ჩემპიონს თითქმის „ოქროს ქულები" აართვეს. შველიძე თამაშში 63-ე წუთიდან ჩაერთო. შეყლაშვილი განაცხადში არ იყო.

ფრანგული რაგბის გრანდთან, „ტულუზთან" სტუმრად მატჩში უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას მიაღწია **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა". თამაში რაგბისთვის უჩვეულოდ - 6:3 დასრულდა. ანგარიში მასპინძლებმა 45-ე წუთზე გახსნეს. საჯარიმოდან ტულუზელთა მგეზავმა **დავიდ სკრელამ** გაიტანა.

ამ მატჩში **ჯონი ვილკინსონის** ნაცვლად „ტულონის" მგეზავად მოთამაშე არგენტინელმა **ფელიპე კონტეპომმა** 57- ე წუთზე საჯარიმოთივე გაათანაბრა, ცხრა წუთში კი კიდევ ერთხელ გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 77-ე წუთზე შეცვალეს.

ტულუზში გამარჯვებით ტულონელებმა 55 ქულა დააგროვეს და სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზე არიან. „ტულუზი", რომელიც მეოთხეა, ჩვენებურის გუნდს ერთი ქულითღა უსწრებს.

**მამუკა გორგოძისა** და **გიორგი ჩხაიძის** „მონპელიე" შინ მოულოდნელად დამარცხდა ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბაიონთან" - 16:22. ბასკები საქმეს თავიდანვე მონდომებით მოეკიდნენ და 54-ე წუთისთვის უკვე 22:6-ს იგებდნენ.

მონპელიელები შეხვედრის მიწურულსღა გამოცოცხლდნენ, მაგრამ მატჩის გადასარჩენად დრო აღარ ეყოთ. ჩხაიძე თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო. გორგოძე დისკვალიფიცირებულია.

სტუმრად ბასკურ „ბიარიცთან" დამარცხდა **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივი" - 6:12. ბრიველებმა პირველ ნახევარში მედგარი წინააღმდეგობა გასწიეს. ტაიმი ფრედ - 3:3 დასრულდა. მეორეში ბასკებმა ოდნავი უპირატესობა მოიპოვეს, რაც მეტ გატანილ საჯარიმოშიც აისახა. **დიმიტრი იაშვილის** არყოფნაში დამრტყმელის ფუნქცია **ვალენტინ კურანმა** იტვირთა - 12:6. ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 65-ე წუთზე შეცვალეს.

**საფრანგეთი. I დივიზიონი. XX ტური: ბიარიცი - ბრივი 12:6, მეტრო რასინგი - კასტრი 24:24, კლერმონი - ალბი 45:18, მონტობანი - პერპინიანი 16:13, მონპელიე - ბაიონი 16:22, ბურგუენი - სტად ფრანსე 16:22, ტულუზი - ტულონი 3:6**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. კასტრი - 62 ქულა, 2. კლერმონი - 61, 3. პერპინიანი - 61, 4. ტულუზი - 56, 5. ტულონი - 55, 6. მეტრო რასინგი - 54, 7. სტად ფრანსე - 49, 8. ბრივი - 47, 9. ბიარიცი - 46, 10. მონპელიე - 38, 11. მონტობანი - 37, 12. ბაიონი - 33, 13. ბურგუენი - 32, 14. ალბი - 20.**

მეორე დივიზიონში ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდიდან ხუთმა გამარჯვება მოიპოვა. სატურნირო ცხრილის სათავეში ისევ ორი „ქართული გუნდია" - „აჟენი" და „ოიონაქსი". კიდევ ორმა, „ლიონმა" და „ორიაკმა" კი სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა და პლეი ოფში მოხვედრის ძალიან კარგი შანსი აქვთ.

**ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენმა" შინ დაამარცხა პლეი ოფში გასვლისთვის მებრძოლი „ბორდო" - 21:16. აჟენელებმა პირველი ტაიმი 3:9 წააგეს. თუმცა მეორეში გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება მაინც შეძლეს, მეტოქის ერთ ლელოს ორით უპასუხეს და ლიდერობა შეინარჩუნეს. ფეიქრიშვილმა სრულად ითამაშა.

საკუთარ მოედანზე მშრალი ანგარიშით მოუგო აუტსაიდერ „ლანამეზანს" **გიორგი ჟღენტის** „ოიონაქსმა" - 29:0. ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში იყო და 67-ე წუთზე შეცვალეს. „ოიონაქსი" ლიდერს ორი ქულით ჩამორჩება.

ძნელი გამარჯვება მოიპოვა შინ „გრენობლთან" **ლევან დათუნაშვილის** „ორიაკმა" - 24:21. პირველი ტაიმი სტუმრებმა 15:6 მოიგეს. ორიაკელებმა „ალპელთა" წინააღმდეგობის დაძლევა დამრტყმელის, **ჯერემი ბურლონის** ზუსტი საჯარიმოებით შეძლეს. მან მეტოქეს რვა საჯარიმო გაუტანა. „ორიაკს" ახლა 54 ქულა აქვს და მეხუთეადგილოსან „ნარბონს" ორი ქულით ჩამორჩება.

**გურამ კავთიძის** „ლიონმა" შინ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა **გიორგი კუთარაშვილის** „დაქსთან" - 26:6. კავთიძე განაცხადში არ იყო. კუთარაშვილი დისკვალიფიცირებულია.

ასევე შინ მოიგო **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბმაც". ჩვენებურის გუნდმა „ოში" დაამარცხა - 19:13. მაგრაქველიძე თამაშში 53-ე წუთიდან ჩაერთო.

### II დივიზიონი

**XXI ტური: მონ დე მარსანი - ნარბონი 17:6, ტარბი - ოში 19:13, ორიაკი - გრენობლი 24:21, ლიონი - დაქსი 26:6, აჟენი - ბორდო 21:16, ოიონაქსი - ლანამეზანი 29:0, ექსი - კოლომიე 12:25, ლა როშელი - კოლომიე 20:7.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. აჟენი - 72 ქულა, 2. ოიონაქსი - 70, 3. ლა როშელი 58, 4. ლიონი - 57, 5. ნარბონი - 56, 6. გრენობლი - 55, 7. ორიაკი - 54, 8. პო - 53, 9. ბორდო - 50, 10. დაქსი - 45, 11. ტარბი - 45, 12. ოში - 42, 13. მონ დე მარსანი - 42, 14. კოლომიე - 35, 15. ექსი - 25, 16. ლანამეზანი - 10.**



გიორგი ჩხაიძე

საქართველო-ესპანეთი. 27 თებერვალი



აქვსენტი გიორგაძე

# ახლა აქვსენტიც დაგვაკლდა

საქართველოს ნაკრები 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მორიგ შეხვედრას 27 თებერვალს თბილისში ესპანეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ გამართავს.

„ბორჯღალოსნები" მატჩისთვის მზადებას დღეს დაიწყებენ. შეგახსენებთ, რომ ესპანელი „ლომების" დამარცხების შემთხვევაში ჩვენი გუნდი ახალი ზელანდიის საგზურს ოფიციალურად გაიფორმებს.

საქართველოს ნაკრებში ორი ცვლილებაა. სამწუხაროდ, საფრანგეთის ჩემპიონატის მე-20 ტურის მატჩში ფეხი მოიტეხა და ნაკრებს ვერაფრით დაეხმარება შერკინების კვაჭი **აქვსენტი გიორგაძე** (კასტრი). ესპანელებთან ამ პოზიციაზე, სავარაუდოდ, ითამაშებს **გოდერძი შველიძე** (მონტობანი), რომელსაც ოჯახური პრობლემების გამო განვლილ ორ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

მეორე ცვლილება კიდევ ერთ პირველხაზელს, შერკინების ბურჯ **ანტონ ფეიქრიშვილს** შეეხო. მის ნაცვლად **ტიმ ლეინმა** „ვისოლი ყოჩების" შერკინების კვაჭი **ჯაბა ბრეგვაძე** იხმო.

ესპანელებისთვის ამ შეხვედრის შედეგს სატურნირო თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მათი მიზანი მიმდინარე შესარჩევ ტურნირში დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაა. „ლომებმა" საამისოდ გერმანიის ნაკრები კიდევ ერთხელ უნდა დაამარცხოს, რაც, წესით, არ უნდა გაუჭირდეთ.

ეს ფაქტი საქართველოს ნაკრებს დამშვიდების საშუალებას სულაც არ აძლევს. ესპანელთა ინგლისელი მწვრთნელი **გედ გლინი** ქართველი ქომაგების წინაშე ესპანური წარმოშობის ფრანგი მორაგბეებით გაძლიერებულ გუნდს წარადგენს. „ლომების" შემადგენლობაში იქნება ასევე შერკინების ბურჯი **დავით გურგენაძეც**, რომელიც თბილისის არმიის სპორტული კლუბის აღზრდილია.

შეგახსენებთ, თამაში ეროვნულ სტადიონზე შაბათს, 27 თებერვალს 14 საათზე დაიწყება.

### საქართველოს ნაკრები:

პირველი ხაზი: დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), გოდერძი შველიძე (მონტობანი), ჯაბა ბრეგვაძე (ვისოლი ყოჩები).

მეორე ხაზი: ილია ზედგინიძე (კარკერენი), გიორგი ნემსაძე (მასი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი).

მესამე ხაზი: გია ლაბაძე (მარსელი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე), ბესო უდესიანი (სენტ ეტიენი), ლაშა თავართქილაძე (ფარული), დიმიტრი ბასილაია (ლე ბუგე).

№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (ფარული).

№10: ლაშა მალაღურაძე (ბეზიე)

№12-13: ირაკლი გიორგაძე (შამბერი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), დავით კაჭარავა (ნიცა).

№11-14: ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ალექსანდრე თოდუა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია), მალხაზ ურჯუკაშვილი (ფიჟაკი).

№15: მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი).

### ესპანეთის ნაკრები

შერკინება: ხოსე-მარია ბორხესი (სევილია), დავით გურგენაძე, ალეხანდრო ონეგა (ორივე-მადრიდი), ხესუს მორენო (ბორდო), მარკო პინტო (კლერმონი), მატიე სიდრი (კარკასონი), ლეანდრო არამბურუ, ხესუს რეკუერდა (ორივე-სევილია), სერხიო სოუტო (ელ სალვადორი), რაფაელ კამაჩო (სევილია), მარტინ აკენა (ლა ვილა), მეთ კუკი (ლა ვილა), ჟულიენ ტურტულუ (კოლომიე), დამიენ ელგოიენი (სენ ჟან დე ლუზი).

უკანა ხაზი: პედრო ფეიხოო (მადრიდი), მატიე ლოპესი (მონ დე მარსანი), სეზარ სემპერე (მონპელიე), მატიო გრატონი (გროლე), მარტინ ერედია (კოსტა დელ სოლ), ბენიამინ პარდო (ვალიადოლიდი), ხაიმე ნავა (ალკობენდასი), ხავიერ კანოსა (მადრიდი), პედრო მარტინი (ბაიონი), იგნასიო მარტინი (პარმა).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 7 | 6 | 1 | 0 | +170 | 13 |
| 2.რუსეთი | 7 | 6 | 0 | 1 | +107 | 12 |
| 3.პორტუგალია | 7 | 3 | 1 | 3 | +30 | 7 |
| 4.რუმინეთი | 6 | 3 | 0 | 3 | +78 | 6 |
| 5.ესპანეთი | 6 | 1 | 0 | 5 | -92 | 2 |
| 6.გერმანია | 7 | 0 | 0 | 7 | -293 | 0 |

მეტოქეები

# გერმანელებმა დიდებაშვილი დააბრუნეს

გერმანიის ნაკრები დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. გუნდის მთავარი მწვრთნელი **ბრუნო შტოლცი** ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაშია და საამისოდ ექსპერიმენტებს მიმართავს. გერმანელთა ეროვნულმა გუნდმა წინა ორი მატჩი საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებებთან თითქმის რადიკალურად განსხვავებული შემადგენლობით ითამაშა. ამჯერადაც პორტუგალიასთან სათამაშოდ შტოლცმა რამდენიმე ცვლილება განახორციელა. მან ნაკრებში ისევ უხმო მესამეხაზელ **შალვა დიდებაშვილს**.

### გერმანიის ნაკრები:

კირონ დევისი (ემპტპილი), რაფაელ პაკლი, ლუკაშ როზენტალი, ლუკაშ ჯონსონი(სამივე - ბერლინი), ბენიამინ კრაუზე, რაფაელ პირაში, ბენიამინ სიმი (სამივე - ჰანოვერი), შტეფან ლებიგი, პატრიკ შლივა (ორივე - რკ ჰაიდელბერგი), მატიე ფრანკი, ალექსანდრ ვიდეკერი (ორივე - ორლეანი), კლემან ფონ გრუმკოვი (პრატო), ტიმ კოლი, მუსტაფა გუნგური, ედმორ ტაკაენდესა, მანუელ ვილჰელმი (ოთხივე - რკ ჰაიდელბერგი), ალექსანდრ პოკი, ჯიმი ბენ პოუსტონი, დანიელ პროსნერი, მარკ ცინდერა, როლფ ვაჩა (ყველა -ფრანკფურტი), შალვა დიდებაშვილი (ნოიენჰაიმი).

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. XIII ტური

# სამქულიანი



19 თებერვალი, რუსთავი

**ენერჯი-თსუ 91:63**

19:14, 21:17, 27:13, 24:19

ენერჯი: ბაბიაშვილი (21ქ, 8მ), ცეკვავა (7ქ, 3პ), ტულუში (15ქ, 6მ, 6პ), არწივიძე (4ქ, 5პ), ტუჯანი (8ქ, 6მ), ჭოჭუა (7ქ), ბოისა (4ქ, 11მ, 4პ), პირველაშვილი (9ქ), ჩაჩანიძე (6ქ), დევალიშვილი (9ქ, 9მ, 2დ), ხმელიძე (1ქ)

თსუ: ფანჩულიძე (10ქ, 8მ), გაფრინდაშვილი (2ქ, 3პ), მინაშვილი (4ქ), კეიდია (6ქ, 5მ), ლოსაბერიძე (9ქ), შანიძე (7ქ), ხეცურიანი (9ქ, 3პ), ივანეიშვილი (3ქ, 5მ), დ. ბარბაქაძე (9ქ), დეკანოიძე, ვ. ბოლქვაძე (4ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი; კომისარი: თ. ქიქოძე

20 თებერვალი
თბილისი, სპორტის სასახლე

**სოხუმი-სამედ/აკადემია 65:62**

19:12, 11:14, 17:18, 18:18

სოხუმი: ტეტელაშვილი (3ქ), სორდია (12ქ, 7მ), კვეტენაძე (12ქ, 10მ, 2დ), ბ. ბერიშვილი (15ქ, 5მ, 5პ, 4ჩ), კანკია (16ქ, 4პ), კობიძე (7ქ, 8მ, 2დ), სულაბერიძე, გაბელია, კობერიძე, როგავა, ტიკიშვილი

სამედ/აკადემია: ს. ლეჟავა (8ქ, 6მ, 3პ), ლომოური (5ქ), ბოქოლიშვილი (19ქ), ბექაური (7ქ, 8მ), მუმლაძე (5ქ, 11მ), თენიეშვილი (1ქ, 7მ, 5პ, 3ჩ), ჯავახიშვილი (2ქ), ელიაძე (9ქ), მაისურაძე (6ქ, 5მ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე; კომისარი: რ. ხომერიკი

**შსს-ჭიათურა 98:68**

25:17, 22:21, 27:10, 24:20

შსს: ლაფანაშვილი (17ქ, 9მ, 5პ, 4ჩ), კორკოტაძე (7ქ, 3პ), შერმადინი (6ქ, 7მ, 2დ), ყველაშვილი (3ქ), სუხიშვილი (13ქ, 11მ), ათუაშვილი (23ქ, 9მ), ნიკოლაძე (21ქ, 5პ), ფაიქრიძე (8ქ), მიქაბერიძე, ქადაგიძე

ჭიათურა: ფ. გურული (13ქ, 5პ), არონია (5ქ, 6მ, 3ჩ), ენუქიძე (5ქ, 6მ), მეზვრიშვილი (6ქ, 7მ, 3პ), ჯ. გურული (3ქ), სვანიძე (12ქ, 8მ), გაბუნია (9ქ), მჭედლიშვილი, თავამაიშვილი (15ქ)

მსაჯები: გ. მიქელაძე, მ. ანდღულაძე; კომისარი: რ. გელოვანი

**აგრარული-დინამო 114:95**

28:18, 29:28, 26:25, 31:24

აგრარული: გულისაბედაშვილი (14ქ, 3ჩ), ჩაჩიბაია (20ქ, 6მ), ნივნივაძე (24ქ, 5მ, 8პ), ნინიაშვილი (2ქ, 5მ), ათანელიშვილი (8ქ, 9მ, 3პ), გ. ბარბაქაძე (11ქ, 5მ), დიდია (6ქ), მათიაშვილი (26ქ, 8მ), გასიტაშვილი, ტყეშელაშვილი (5ქ), კანდელაკი

დინამო: ხანიაშვილი (31ქ, 6მ), ნანიტაშვილი (10ქ), სანაძე (11ქ), ეძგვერაძე (6ქ), სიგუა (11ქ, 9პ), ცაგარეიშვილი (3ქ), გემაზაშვილი (5ქ), დეკანოიძე, ლონდარიძე (18ქ, 7მ, 3პ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე; კომისარი: მ. რატიშვილი

| გუნდი | თ | მ | წ | სხ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 13 | 13 | 0 | 1216/803 | 26 |
| 2. აგრარული | 13 | 11 | 2 | 1107/938 | 24 |
| 3. თსუ | 13 | 10 | 3 | 1198/1015 | 23 |
| 4. ბათუმი | 13 | 8 | 5 | 1058/924 | 21 |
| 5. შსს | 13 | 7 | 6 | 1049/955 | 20 |
| 6. სოხუმი | 13 | 5 | 8 | 872/945 | 18 |
| 7. ავიამშენი | 13 | 4 | 9 | 770/809 | 17* |
| 8. დინამო | 13 | 4 | 9 | 925/1105 | 17 |
| 9. სამედ/აკადემია | 13 | 2 | 11 | 844/1014 | 15 |
| 10. ჭიათურა | 13 | 1 | 12 | 759/1292 | 14 |

** - მეორე წრეში ავიამშენს ყველა მატჩში ეთვლება ტექნიკური წაგება - 0:20.*

მე-13 ტურში ოთხიდან ორ მატჩში თანაბარი ძალის გუნდები თამაშობდნენ. რუსთავში ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა „ენერჯიმ" მეორეადგილოსან თსუ-ს უმასპინძლა. ამ მატჩს დამატებითი ინტრიგაც ახლდა: იანვრის ბოლოს საქართველოს თასის ნახევარფინალიდან რუსთაველები სწორედ თსუ-მ გამოთიშა. ქვემოქართლელთა კაპიტნის **კოტე ტულუშის** თქმით, „ენერჯის" კალათბურთელები ჯერაც მტკივნეულად განიცდიან თასის მატჩში საშინაო წაგებას.

აქედან გამომდინარე, ლოგიკური იყო, რომ რუსთაველები თსუ-სთან რევანშისთვის განსაკუთრებულად მოემზადნენ და წარმატებასაც მიაღწიეს. 2:7 ჩამორჩენის შემდეგ ქვემოქართლელებმა თამაში გამოასწორეს და პირველ მეოთხედში რომ დაწინაურდნენ, მას შემდეგ სტუდენტებისთვის დაწევის უფლება აღარ მიუციათ.

„ენერჯიმ" უპირატესობას დაცვაში და ფარქვეშ დამაჯერებელი თამაშის წყალობით მიაღწია: მასპინძლებმა მოხსნებში 55:39 იმარჯვეს. მათ სტუმრებმა 13-ით მეტი ორქულიანი ჩააგდეს: 54-დან 29, სტუდენტებმა - 39-დან 16.

■ ■ ■

თბილისში გამართული შეხვედრებიდან ყველაზე საინტერესო „სოხუმისა" და „სამედიცინო-აკადემიას" დაპირისპირება გამოდგა. მატჩის პირველ წუთებში მეტოქის კალათის დალაშქვრა ახალგაზრდა „აკადემიკოსებს" გაუჭირდათ. სოხუმელები კი შეტევასა და დაცვაში დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ. პირველი პერიოდის ბოლოს „სამედიცინო-აკადემიამ" თამაში გამოასწორა და მეორე მეოთხედში მეტოქეს დაეწია კიდეც.

მეორე ტაიმში თანაბარი თამაში გაჩაღდა და წინასწარ შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდებოდა. ასეც მოხდა. „სოხუმი" ბოლო წუთს სამქულიანი უპირატესობით შეხვდა, მაგრამ შორეული ტყორცნით **გელა წულაძის** შეგირდებმა მინიმალური უპირატესობა მოიპოვეს. თუმცა მატჩის დასრულებამდე 20 წამით ადრე სოხუმელთა ლიდერმა **ბუბა ბერიშვილმა** სამქულიანი აუღელვებლად ისროლა და თანაგუნდელებს სეზონის მეხუთე გამარჯვება მოუტანა.

გარდა იმისა, რომ ბუბამ ოქროს სამიანი ჩააგდო, ბევრი იშრომა და ეფექტური სტატისტიკაც გაიფორმა: 15 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი, 4 ჩაჭრა, 1 დაფარება. ტურის საუკეთესო კალათბურთელი სწორედ ბერიშვილი გახდა. მასთან ერთად „სოხუმის" წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ორმაგდუბლოსანმა **გიგა კვეტენაძემ** (12 ქულა, 10 მოხსნა), **თემურ კანკიამ** (16 ქულა) და **ირაკლი სორდიამ** (12 ქულა).

■ ■ ■

მოსალოდნელი შედეგით დასრულდა შსს-სა და „ჭიათურის" დაპირისპირება. ძალოვანებმა იძალეს და იმერლებს 30 ქულის სხვაობით მოუგეს.

მატჩის სნაიპერი გახდა შსს-ს ახალწვეული **სერგო ათუაშვილი**, რომელმაც 23 ქულა ჩააგდო. მას და **ლექსო ლაფანაშვილს** (17 ქულა, 9 მოხსნა) ორმაგ დუბლამდე თითო მოხსნა დააკლდათ, ხოლო **ლადო სუხიშვილმა** „დაბლ-დაბლი" გაიფორმა: 13 ქულა, 11 მოხსნა.

■ ■ ■

მე-13 ტურში ყველაზე მეტი ქულა ჩააგდო აგრარული უნივერსიტეტის გუნდმა - 114. ასევე, ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი იყო მისი მეტოქე, რომელმაც 95-ქულას მოუყარა თავი.

20-ქულიანი ბარიერი გადალახა სამმა სტუდენტმა: **რიჩარდ მათიაშვილმა** (26), **ბექა წივწივაძემ** (24) და **ტატო ჩაჩიბაიამ** (20).

აგრარებიდან „დინამოში" დაბრუნებულმა **გიორგი ხანიაშვილმა** კი 31 ქულა მიითვალა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართველი NBA-ში

# ფაჩულია კოკოშკოვის წინააღმდეგ



**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტამ" **იგორ კოკოშკოვის** „ფინიქსთან" სტუმრად ითამაშა. ზაზამ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელის მსგავსად, მატჩს თვალ-ყური ძირითადად სათადარიგოთა სკამიდან ადევნა - მხოლოდ 5 წუთი ითამაშა. ცხადია, ამ მოკლე დროში მან რაიმე ღირებულის გაკეთება ვერ მოასწრო.

ვერც „ატლანტა" იყო მოწოდების სიმაღლეზე - დასავლეთის კონფერენციის ერთ-ერთ ლიდერთან მატჩში 70-ზე „გაიყინა" და მეოთხე პერიოდის დასაწყისში გაქცევის (13:0) შემდეგ „ფინიქსმა" გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა - 83:70. საბოლოოდ, 88:80 კოკოშკოვის გუნდის სასარგებლოდ.

**ფინიქსი-ატლანტა 88:80**

ზაზა ფაჩულია: 5 წუთი, 1 მოხსნა, 1 პასი, 2 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 04:23 | ზაზამ პორფორდი შეცვალა |
| 02:48 | პასი: 1 (სმიტი 2ქ, 20:19) |
| 02:33 | ფოლი: 1 |
| 01:28 | ფოლი: 2 |
| 01:28 | ზაზა კოლინზმა შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 01:38 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 00:21 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 00:02 | ზაზა სმიტმა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**

იტალიის თასი

# სანიკიძე თასს ვერ შესწვდა

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **ვიქტორ სანიკიძემ** ბოლონიის „ვირტუსთან" ერთად იტალიის თასის ფინალში გაატანა, სადაც გუშინ ღამით სიენის „მონტეპასკისთან" დამარცხდა - 75:83.

პირველ ტაიმში სანიკიძის თანაგუნდელები ევროგრანდ „მონტეპასკის" თანაბრად ეთამაშებოდნენ, თუმცა მესამე ათწუთეულის ბოლოს სიენელებმა შორეული ტყორცნების წყალობით 13-ქულიანი ფორა მოიპოვეს. მეოთხე რაუნდში „ვირტუსის" კალათბურთელებმა თამაშის შემოტრიალება სცადეს, სხვაობა 6 ქულამდეც შეამცირეს, მაგრამ „მონტეპასკის" უძლეველობის მითი მაინც ვერ დაამსხვრიეს.

ბოლონიელთათვის გადამწყვეტ მომენტებში სანიკიძე მოედანზე იყო, არა ერთი ბურთიც მოხსნა, მაგრამ „მონტეპასკი" ვერც მან შეაჩერა. ვიქტორმა 30 წუთში 4 ქულა (4-დან 2 ორქულიანი), 6 მოხსნა და 1 პასი მიითვალა.

ერთი დღით ადრე ნახევარფინალში „ვირტუსმა" „აველინოს" 73:61 სძლია. მარგი ქმედების კოეფიციენტის (19) მიხედვით, ქართველი ფორვარდი საუკეთესო ბოლონიელი იყო. მან 25 წუთში 9 ქულა (4-დან 4 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო, 8 მოხსნა, 2 დაფარება და 2 შედეგიანი გადაცემა) მიითვალა. ერთადერთი ვირტუსელი, რომელმაც 10-ქულიანი ზღვარი გადალახა **ანდრე კოლინზი** იყო - 17 ქულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი



ნიკოლოზ ბასილაშვილი

# ნახევარფინალიც კარგია

ხვალ **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (550) 18 წლის გახდება. ქართველმა ჩოგბურთელმა იუბილე ტეხასის შტატის ქალაქ ბრაუნსვილის ტურნირში (15 ათასი $) კარგი თამაშით აღნიშნა. ნიკას კარიერაში ერთი ტურნირი აქვს მოგებული, შარშან, აგვისტოში მან სოჭის ტურნირში იმარჯვა. ჩვენებური მერვედფინალში მექსიკელ **დანიელ გარსას** (461) გადაეყარა და მასაც ისეთივე დაძაბულ ორთაბრძოლაში მოუგო, როგორშიც პირველ წრეში ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი ესპანელი **არნაუ ბრუგეს-დავი** (366) დაამარცხა, ქართველმა სამ სეტში იყოჩაღა - 1:6, 6:4, 6:4. მეოთხედფინალში ბასილაშვილის მეტოქე ავსტრალიელი **დეინ კელი** (440) იყო, ნიკამ ამ მატჩშიც იმარჯვა - 6:3, 7:5.

ნიკას მეტოქე ნახევარფინალში მე-3 ნომრად განთესილი კანადელი **ვაშეკ პოსპიშილი** (340) იყო. ჩვენ კვლავ სამსეტიანი ორთაბრძოლის მომსწრენი გავხდით, მაგრამ ამჯერად ქართველი დამარცხდა - 7:5, 1:6, 4:6. ნიკამ წყვილთა თანრიგშიც იასპარეზა, სადაც მეოთხედფინალურ სტადიაზე დაასრულა ასპარეზობა. ბასილაშვილისა და რუსი **რომან კისლიანსკის** (1187) წყვილი მე-2 ნომრად განთესილმა ბრუგეს-დავიმ და დომინიკელმა **ვიქტორ ესტრელამ** (330) დაამარცხეს - 6:3, 6:3.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# შავების თეთრი დღე

თვრამეტწლამდელ მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზე გუშინ მე-5 ტურის პარტიები გაიმართა. შეიძლება ითქვას, რომ იგი შავი ფიგურებით მოთამაშეებისთვის იღბლიანი აღმოჩნდა. ლიდერთა ათი შეხვედრიდან მათ 6 ორთაბრძოლა მოიგეს, ორი ყაიმით დაამთავრეს და ამდენივეში დამარცხდნენ.

გოგონებში ოთხი ტურის შემდეგ ოთხ მოჭადრაკეს 3-3 ქულა ჰქონდა. მათგან **ნათია ჯალაბაძემ** შეძლო ერთპიროვნულად დაწინაურება, რადგან შავებით **დოდო ჭაკვეტაძეს** აჯობა, **მარიამ დანელია** და **ანა კუჭავა** კი დაზავდნენ. **ნინო ანაკიძემ** წააგო **ლელა უგულავასთან**, ხოლო **ანა მარდალეიშვილი** ადა **კაკუთიას** დანებდა. ჯალაბაძეს, როგორც აღვნიშნეთ, 4 ქულა აქვს. მას ნახევარ-ნახევარი ქულით დანელია, კუჭავა და კაკუთია ჩამორჩებიან.

ვაჟებში **გიორგი ნიკოლაშვილი** მეწინავეობს. გუშინ მან **ირაკლი ბერაძე** დაამარცხა. დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ლიზი ტრაპაიძე-ზურაბ ჯავახაძე** 0:1, **ნოდარ ლორთქიფანიძე-მერი არაბიძე** 0,5:0,5, **ლევან ბრეგაძე-კახაბერ წერეთელი** 1:0, **თორნიკე ხურციძე-რევაზ ჭკუასელი** 0:1, **ნიკოლოზ შენგელია-ბექა ფიფია** 0:1.

ოთხი ქულით მეორე ადგილზეა ჯავახაძე. 3,5-3,5 ქულა მოაგროვეს ლორთქიფანიძემ, არაბიძემ, ბერაძემ, ბრეგაძემ და ჭკუასელმა.

დღეს მე-6 ტურში ლიდერთაგან ითამაშებენ: გოგონები. კუჭავა-ჯალაბაძე, კაკუთია-დანელია, უგულავა-თევზაძე, ჭაკვეტაძე-კობეშავიძემ. ვაჟები. **ჭკუასელი-ნიკოლაშვილი, ჯავახაძე-ბრეგაძე, არაბიძე-ბერაძე, ფიფია-ლორთქიფანიძე, წერეთელი-ტრაპაიძე, დარასელია-ხურციძე.**

# კვარცხლბეკს მიღმა

ფრანგულ კაპელე-ლა-გრანში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი. საპრიზო ადგილებისთვის საქართველოს სამი წარმომადგენელი იბრძოდა. **დავით ჯოჯუა**, რომელმაც ჩინებული სტარტი აიღო, ბოლო ტურებში ყაიმებს დასჯერდა და საბოლოოდ მხოლოდ 5,5 ქულას მოუყარა თავი.

ნახევარი ქულით მეტი მოაგროვა საქართველოს ექსჩემპიონმა **თორნიკე სანიკიძემ**. მართალია, მან ზედიზედ ოთხი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ბოლო ტურში **დავით არუთინიანთან** დამარცხდა და საუკეთესო ათეულში ვერ შევიდა. საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის მესამე პრიზორმა არუთინიანმა კი 7 ქულით მეორე-მეათე ადგილები გაინაწილა. კოეფიციენტით მერვე ადგილი ხვდა. საგულისხმოა, რომ ბოლო შვიდ ტურში მან 6,5 ქულა აართვა მეტოქეებს. ასეთი შედეგი თვით ტურნირის გამარჯვებულს უკრაინელ **იაროსლავ ჟერებუხსაც** არ ჰქონია, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ბოლო ტურში იგი ინდოელ **პარიმარიან ნეგის** დაუზავდა და სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. უკეთესი კოეფიციენტით მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, უკრაინელი **იური კრივორუჩკო** და ბულგარელი **იულიან რადულსკი** გავიდნენ.

# მეშხედში ოცდახუთი ოროსანია

ირანში მოჭადრაკეთა კასპიის თასის გათამაშების მონაწილეთა უმეტესობამ ქალაქ მეშხედში გადაინაცვლა, სადაც ორიოდე დღის წინათ დიდი საერთაშორისო ტურნირი დაიწყო. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის 200-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის - 15 დიდოსტატი. ასპარეზობის რეიტინგ-ფავორიტია ჰოლანდიელი **სერგეი ტივიაკოვი** (2662), რომელსაც მეტოქეობას გაუწევენ კასპიის თასის გამარჯვებული, აზერბაიჯანელი, **ფარიდ აბასოვი** (2553) და მისი თანამემამულე, მეორე პრიზიორი **აზერ მირზოევი** (2594), ირანელი **ეჰსან ჩაემი** (2589), ქართველი დიდოსტატები - **კონსტანტინე შანავა** (2551), **ვალერიან გაფრინდაშვილი** (2433) და სხვები. ჩვენმა მოჭადრაკეებმა წარმატებული სტარტი აიღეს. შანავამ **ფარვიზ დარაბი** და **ბაბაკ ზანგანეხი** დაამარცხა, გაფრინდაშვილმა კი **აკბარ ჩენედისა** და **მილად საკხარის** სძლია. მესამე ტურში ჩვენები შავი ფიგურებით, შესაბამისად, **ჰამიდ დეჩანსა** და **ალი მურავის** შეხვდებიან. ორი ტურის შემდეგ 2-2 ქულა 25 მოჭადრაკეს აქვს.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ფანტასტიკური ტი-მაკი

გასულ უქმეებზე ყველაზე საინტერესო მატჩი ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში" გაიმართა. „ნიქსმა" საკუთარ მოედანზე „ოკლაჰომა-სიტი" მიიღო. ინტერესი კი იმით იყო განპირობებული, რომ ნიუიორკელთა რიგებში დებიუტი ჰქონდა „ჰიუსტონ როკეტსიდან" შეძენილ **ტრეისი მაკგრეიდის**.

ახლო წარსულში ტი-მაკი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი იყო, მაგრამ ბოლო დროს მისი მომავალი ბუნდოვანი გახდა. უკანასკნელი ორი სეზონის განმავლობაში მან მუხლის ტრავმის გამო სულ 41 მატჩი ჩაატარა, 2010 წელს კი მხოლოდ ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობდა, რადგან „როკეტსის" მენეჯმენტმა ის ტრანსფერზე დააყენა.

მიუხედავად ამისა, „ნიუ იორკის" დამრიგებელმა **მაიკ დ'ენტონიმ** უთამაშებელი მცველი სასტარტო შემადგენლობაში დააყენა. ვეტერანმა ვარსკვლავმა მწვრთნელი არ დაალალატა, პირველ მეოთხედში 10 ქულა ჩააგდო, პირველ ტაიმში - 19, ხოლო მთლიანად მატჩში - 26 ქულა.

მატჩმაც გაამართლა იმედები. გუნდებმა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყეს შეხვედრა. თავიდან მასპინძლები უკეთესად გამოიყურებოდნენ. **დევიდ ლი, ედი ჰაუსი** და მაკგრეიდი განსაკუთრებით აქტიურობდნენ - ისინი ხშირად შედიოდნენ სამწამიანში და ბევრ ქულას ფარქვეშიდან აგროვებდნენ. პირველ მეოთხედში მოპოვებული ექვსქულიანი უპირატესობა „ნიქსმა" 11 ქულამდე გაზარდა (38:27), რაც სათადარიგოთა სკამიდან შესული **ჯონათან ბენდერის** დამსახურება იყო. სტუმრებმა მცველების - **ჯეიმს ჰარდენისა** და **რასელ უესტბრუკის** ზუსტი ტყორცნებით უპასუხეს და ანგარიში გათანაბრდა, თუმცა დიდი შესვენების წინ მაკგრეიდიმ ზედიზედ ხუთი ქულა დააგროვა - 57:52.

მესამე მეოთხედში „ოკლაჰომამ" უფრო აგრესიულ დაცვას მიმართა და „ნიქსს" ერთი სამქულიანის ჩაგდების საშუალებაც არ მისცა. ამან მალე იმოქმედა შედეგზე. უკვე სტუმრებმა იგდეს ხელთ ინიციატივა და ბოლო მეოთხედის წინ ორი ქულით დაწინაურდნენ - 82:80. ბოლო 12-წუთეულის მსვლელობისას სხვაობა ხუთ ქულამდე გაიზარდა (91:86) მაგრამ „ნიუ იორკმა" უკვე ნახსენები კალათბურთელებისა და **დანილო გალინარის** წყალობით 17:6 გაქცევა მოუწყო. ეს არ აღმოჩნდა ამ მატჩის გადამწყვეტი მომენტი. **ჯეფ გრინმა** და **კევინ დურანტმა** ორი ურთულესი სამქულიანი ჩააგდეს და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანეს - 105:105.

ალბათ, ნამდვილი ჰეფი-ენდი იქნებოდა, დამატებითი დროის ბოლო წამებზე მაკგრეიდის ტყორცნას შედეგი რომ მოჰყოლოდა, მაგრამ „ნიქსის" ახალბედას არ გაუმართლა. „ოკლაჰომა" 117:118-ს აგებდა, როცა დურანტმა **ჩენდლერს** აჯობა და წინ გაიყვანა თავისი გუნდი, შემდეგ კი მასპინძელთა უზუსტო შეტევას ორი საჯარიმოც დაუმატა. დ'ენტონის შეგირდებს მატჩის გადარჩენისთვის საკმარისი დრო ჰქონდათ, მაგრამ მათ შორეულ ტყორცნებს



შედეგი არ მოჰყოლია. „ოკლაჰომამ" 121:118 მოიგო და გამარჯვებათა სერია 8 მატჩამდე აიყვანა.

**19 თებერვალი**

**შარლოტი-კლივლენდი 110:93**

27:32, 23:18, 32:18, 28:25

შ: ჯექსონი (29+8 მოხსნა), დიაო (18+9 პასი+5 მოხსნა), უოლასი (17+8 მოხსნა), ფელტონი (16+6 პასი), აგუსტინი (12).

კ: ჯეიმსი (22+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), უესტი (13), უილიამსი (12), პარკერი (11), შ. ო'ნილი (10+7 მოხსნა).

**ფილადელ.-სან ანტონიო 106:94**

25:26, 20:26, 28:24, 33:18

ფ: იგუოდალა (20+9 მოხსნა+8 პასი+4 ჩაჭრა), უილიამსი (20), ბრენდი (18+7 მოხსნა), ჰოლიდეი (13), იანგი (12).

ს-ა: ჯინობილი (24), ჰილი (18+5 პასი), ბლეირი (12), დანკანი (10+9 მოხსნა).

**ვაშინგტონი-დენვერი 107:97**

28:25, 24:35, 21:22, 34:15

ვ: ტორნტონი (21), ჰოვარდი (20), ბლეტჩი (18+11 მოხსნა), ბოიკინსი (12+5 პასი), იანგი (12).

დ: ბილაპსი (28), ენტონი (23+7 მოხსნა), ნენე (17+9 მოხსნა).

**დეტროიტი-მილუოკი 85:91**

29:23, 17:27, 19:22, 20:19

დ: ჰემილტონი (29), სტაკი (13+5 პასი), პრინსი (12+8 მოხსნა+7 პასი), ჟერებკო (12), უოლასი (3+12 მოხსნა).

მ: სალმონსი (19), ილიასოვა (16+12 მოხსნა), დელფინო (16+6 პასი), ბოგუტი (12+12 მოხსნა), ჯენინგსი (10).

**მემფისი-მაიამი 87:100 (ო)**

14:21, 17:25, 26:17, 19:13, 11:24

მემ: გასოლი (22), მაიო (17), რენდოლფი (16+19 მოხსნა), გეი (15+8 მოხსნა), კონლი (10+7 პასი+6 მოხსნა).

მაი: ბიზლი (30+8 მოხსნა), ო'ნილი (18+9 მოხსნა), ჩალმერსი (18+7 მოხსნა), ჰასლემი (10+6 მოხსნა), აროიო (10+6 პასი).

**მინესოტა-ჩიკაგო 94:100**

29:30, 29:25, 18:22, 18:23

მ: ბრიუერი (19), ფლინი (14+7 მოხსნა+6 პასი), ჯეფერსონი (10), გომესი (10).

ჩ: ჰაინრიხი (20+5 პასი), როუზი (19+8 მოხსნა+5 პასი), დენგი (18), გიბსონი (14+9 მოხსნა), ნორიკი (10+9 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი-ტორონტო 89:106**

21:32, 20:24, 30:26, 18:24

ნ-ჯ: ლოპესი (22+8 მოხსნა), ჰარისი (19+11 პასი), ლი (17).

ტ: ჯეკი (18+10 პასი), ნესტეროვიჩი (16+7 მოხსნა), კალდერონი (16), თურქოგლუ (14+6 პასი), დეროზანი (14), ჯონსონი (10).

**ნიუ ორლეანი-ინდიანა 107:101**

31:19, 31:24, 21:28, 24:30

ნ-ო: უესტი (29+9 მოხსნა+7 პასი), კოლისონი (18+13 მოხსნა+12 პასი), სტოიაკოვიჩი (17+8 მოხსნა), ოკაფორი (13+12 მოხსნა), თორნტონი (12).

ი: გრეინჯერი (29), დანლივი (15), ჰიბერტი (13), უოტსონი (11), ჰედი (11).

**ორლანდო-დალასი 85:95**

33:23, 14:19, 22:23, 16:30

ო: ჰოვარდი (29+16 მოხსნა+5 დაფარება), ნელსონი (16+6 პასი), კარტერი (16+5 პასი), ლუისი (12).

დ: ნოვიცკი (23+5 პასი), ბატლერი (16+7 მოხსნა), ტერი (16+7 მოხსნა), ჰეივუდი (15+9 მოხსნა), კიდი (10+8 პასი+8 მოხსნა+4 ჩაჭრა).

**ფინიქსი-ატლანტა 88:80**

26:23, 23:27, 21:16, 18:14

ფ: სტაუდმაიერი (22+8 მოხსნა), ჰილი (16), ლოპესი (12+9 მოხსნა), ფრაი (10).

ა: სმიტი (21), ჯონსონი (19+9 მოხსნა), კროუფორდი (11), ჰორფორდი (10+9 მოხსნა).

**გ. სტეიტი-იუტა 89:100**

31:28, 10:31, 24:26, 24:15

გ-ს: უოტსონი (22), მაგეტი (14), კარი (13+7 პასი), მოროუ (10).

ი: ბუზერი (30+16 მოხსნა), კირილენკო (22+5 აეპეხვთირვ), მაილზი (16).

**პორტლენდი-ბოსტონი 76:96**

25:32, 13:24, 23:17, 15:23

პ: მილერი (16), ოლდრიჯი (15+9 მოხსნა), ბეილესი (14).

ბ: ალენი (21+5 პასი), გარნეტი (16+7 მოხსნა), რონდო (10+11 პასი), დევისი (10).

**20 თებერვალი**

**ტორონტო-ვაშინგტონი 109:104**

34:32, 30:25, 21:31, 24:16

ტ: ჯეკი (23+8 პასი), რაიტი (19), ბარნიანი (18), თურქოგლუ (16+5 პასი), ნესტეროვიჩი (10), კალდერონი (10).

ვ: ბლეტჩი (24), ჰოვარდი (17+7 არლრქპრვ), ფოიე (14+6 პასი), მაკგი (10), ტორნტონი (10).

**ნიუ იორკი-ოკლაჰომა 118:121 (ო)**

31:25, 26:27, 23:30, 25:23, 13:16

ნ-ი: ლი (30+10 მოხსნა+6 პასი), მაკგრეიდი (26+5 პასი), ჰაუსი (24), ჩენდლერი (15).

ო: დურანტი (36), უესტბრუკი (31+10 პასი+9 მოხსნა), გრინი (16+11 მოხსნა), ჰარდენი (14), კოლისონი (10+8 მოხსნა).

**ჩიკაგო-ფილადელფია 122:90**

25:23, 33:16, 30:30, 34:21

ჩ: გიბსონი (20+13 მოხსნა), როუზი (17+6 პასი), ჰაინრიხი (17), მილერი (15+10 მოხსნა), ნორიკი (15+9 მოხსნა), დენგი (12+7 მოხსნა+5 პასი+4 ჩაჭრა), მიური (12).

ფ: იგუოდალა (23+5 პასი), იანგი (17+8 მოხსნა), აივერსონი (13), უილიამსი (10).

**დალასი-მაიამი 97:91**

21:27, 23:25, 27:12, 26:27

დ: ნოვიცკი (28), კიდი (21+11 პასი), ბატლერი (20), ჰეივუდი (11+11 მოხსნა), მერიონი (11).

მ: კუკი (22), ო'ნილი (18+13 მოხსნა), ბიზლი (12+5 პასი), ჩალმერსი (11+8 პასი).

**ჰიუსტონი-ინდიანა 115:125**

30:27, 35:27, 25:36, 25:35

ჰ: ბრუქსი (26+7 პასი), სკოლა (25+11 მოხსნა), არიზა (16+9 მოხსნა+5 პასი), მარტინი (14+5 პასი), ბადინგერი (11), ანდერსენი (6+11 მოხსნა).

ი: გრეინჯერი (36+7 მოხსნა), ფორდი (23), მერფი (18+12 მოხსნა+4 ჩაჭრა), უოტსონი (10), რაში (10).

**მილუოკი-შარლოტი 93:88**

24:16, 30:23, 19:23, 20:26

მ: ჯენინგსი (19+7 მოხსნა+5 პასი), სალმონსი (19+7 პასი), ბოგუტი (18+13 მოხსნა+5 დაფარება), მბა ა მუტე (12+7 მოხსნა).

შ: ჯექსონი (35+5 პასი), ტომასი (12+11 მოხსნა+4 დაფარება), უოლასი (11+8 მოხსნა), დიაო (11+7 მოხსნა).

**კლიპერსი-საკრამენტო 99:89**

21:22, 39:23, 17:23, 22:21

კ: გორდონი (30+6 პასი), კამანი (22+16 მოხსნა), ბატლერი (14), ბლეიკი (11+12 პასი).

ს: ევანსი (21), კასპი (15), ლენდრი (10+8 მოხსნა).

კრივი

# კლიჩკომ წასვლა უარყო

უკრაინელმა მძიმეწონოსანმა **ვიტალი კლიჩკომ** უარყო დიდი სპორტიდან უახლოეს პერიოდში წასვლის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია.

*„დიახ, პატარა ასაკი ნამდვილად არ მაქვს - წელს 39 წელი მისრულდება. მართლაც, ნებისმიერი მომდევნო ბრძოლა შეიძლება ბოლო აღმოჩნდეს ჩემს კარიერაში. მაგრამ პენსიაზე გასვლას ჯერ არ ვაპირებ. საკუთარ სხეულში დიდ ენერგიას ვგრძნობ. ამიტომაც იმედი მაქვს, რომ კიდევ არაერთხელ გავახარებ ჩემს გულშემატკივარს რინგზე ლამაზი გამარჯვებებით"*, - განაცხადა WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა.

შეგახსენებთ, რომ 17 თებერვალს უკრაინულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კლიჩკომ ახლო მომავალში სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა. გაზეთებმა მოიყვანეს ვიტალის სიტყვები, რომლის მიხედვითაც ჩემპიონს მობეზრდა „ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობა და უცხო ადამიანებისთვის სახის გალამაზება".

ვიტალი კლიჩკო ისტორიაში პირველი ევროპელია, ვინც WBC-ის ყველაზე პრესტიჟული ვერსიით სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ეს ტიტული ოთხჯერ შეინარჩუნა.

2005 წელს მან ტრავმის გამო დაასრულა სპორტული კარიერა და საკუთარი პოლიტიკური პარტია დააარსა. 2008 წელს უფროსმა კლიჩკომ რინგზე გამოსვლა განაახლა და პირველივე ბრძოლაში ნიგერიელი **სამუელ პიტერის** დამარცხების შემდეგ WBC-ის ტიტული მოიპოვა.

■ ■ ■

თითქმის 30-წლიანი პაუზის შემდეგ, კრივი შეიძლება ნიუ იორკის ლეგენდარულ Yankee Stadium-ზე დაბრუნდეს. ბოლოს ბეისბოლის მოედანზე მოწყობილ რინგზე საბრძოლველად ლეგენდარული **მუჰამედ ალი** გავიდა. მაშინ მისი მეტოქე **კენ ნორტონი** იყო.

როგორც სტადიონის წარმომადგენლები აცხადებენ, **იური ფორმანისა** და **მიგელ კოტოს** ბრძოლის შესახებ მოლაპარაკებები დასასრულს მიუახლოვდა. სავარაუდოდ, ეს საინტერესო შეხვედრა 5 ივნისს სწორედ Yankee Stadium-ზე ჩატარდება. ახლა მხოლოდ პრომოუტერ **ბობ არუმის** თანხმობაა საჭირო.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ფორმანისა და კოტოს ბრძოლა 12 ივნისს ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში" იგეგმებოდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ჩილე** | |
| ევერტონი-უაჩიპატო | 0:1 |
| უნ. ესპანიოლა-უნ. კატოლიკა | 2:1 |
| უნ. კონსეპსიონი-სან ლუისი | 1:1 |
| აუდაქსი-კოლო კოლო | 2:3 |
| კობრესალი-სანტიაგო | 1:0 |
| პალესტინო-კობრელოა | 1:0 |
| სან ფელიპე-ო'ჰიგინსი | 2:0 |
| **კოლუმბია** | |
| დეპ. პერეირა-ატ. უილა | 1:3 |
| ატ. ნასიონალი-ხუნიორი | 1:0 |
| მილიონარიოსი-კუკუტა | 2:0 |
| კორტულუა-ინდეპენდიენტე | 1:2 |
| დეპ. კალი-დეპ. კინდიო | 2:0 |
| ლა ეკვიდადი-ჩიკო | 2:1 |
| რეალ კარტახენა-ამერიკა | 1:0 |
| დეპ. ტოლიმა-ონსე კალდ. | გადაიდო |
| **ეკვადორი** | |
| ემელეკი-მანტა | 3:3 |
| დეპ. კიტო-ესპოლი | 2:0 |
| ელ ნასიონალი-უნ. კატოლიკა | 1:2 |
| მაკარა-დეპ. კუენსა | 1:2 |
| ოლმედო-ლდუ კიტო | 0:1 |
| ინდეპენდიენტე-ბარსელონა | 1:1 |
| **პერუ** | |
| ინტი გასი-ლეონი | 1:2 |
| სპ. კრისტალი-მელგარი | 3:1 |
| კ. ნასიონალი-სპორტ ბოისი | 3:1 |
| ტოტალ ჩალაკო-სესარ ვალეხო | 0:1 |
| სენსიანო-სან მარტინი | 1:3 |
| ხოსე გალვესი-სპორტი | 1:0 |
| ხუან აურიჩი-უნივერსიტარიო | 2:1 |
| **ურუგვაი** | |
| ნასიონალი-რივერ პლეიტი | 1:4 |
| სენტრალი-სერო | 1:2 |
| სერიტო-რასინგი | 3:0 |
| დანუბიო-სერო ლარგო | 2:0 |
| რამპლა-ტაკუარემბო | 1:0 |
| ფენიქსი-დეფენსორი | 3:0 |
| ატენასი-მონტევიდეო | 0:2 |
| პენიაროლი-ლივერპული | 3:1 |
| **მექსიკა** | |
| ხაგუარესი-პაჩუკა | 2:2 |
| მონტერეი-კერეტარო | 3:0 |
| ჩივასი-პუებლა | 3:2 |
| მორელია-ტოლუკა | 0:0 |
| სან ლუისი-ატლასი | 3:1 |
| პუმასი-ატლანტე | 1:0 |
| ინდიოსი-კრუს ასული | 0:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| ორლანდო-კლივლენდი | 101:95 |
| დენვერი-ბოსტონი | 114:105 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **ფინალი** | |
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 68:64 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ვალენსია-ბარსელონა | 64:72 |
| კახა ლაბორალი-რეალი | 50:78 |
| **ფინალი** | |
| ბარსელონა-რეალი | 80:61 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| აველინო-ვირტუსი | 61:73 |
| სიენა-ბიელა | 83:53 |
| **ფინალი** | |
| სიენა-ვირტუსი | 83:75 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ვილერბანი-როანი | 82:73 |
| ვიში-ორლეანი | 67:82 |
| **ფინალი** | |
| ვილერბანი-ორლეანი | 70:69 |
| **გერმანია** | |
| ერტლანდი-პადერბორნი | 96:57 |
| ლუდვიგსბურგი-გესენი | 98:90 (ო) |
| ალბა-ტელეკომი | 83:48 |
| ფინიქსი-ბამბერგი | 80:100 |
| სკაილაინერსი-მიტლდოიჩე | 77:65 |
| ბრემერჰავენი-ტიუბინგენი | 82:60 |
| ბრაუნშვაიგი-ტრირი | 94:73 |
| დიუსელდორფი-ულმი | 72:75 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **ოლიმპიადა** | |
| რუსეთი-ჩეხეთი | 4:2 |
| **ავსტრია** | |
| ვენა-ალბა | 2:2 ბულ. 0:1 |
| გრაცი-ზაგრები | 2:1 |
| ზალცბურგი-კლაგენფიურტი | 2:3 |
| ლინცი-ვილახი | 3:2 |
| **დანია** | |
| ფრედრიკშავნი-რუნგსტედი | 7:0 |
| ჰერნინგი-ოდენსე | 5:2 |
| სონდერიისკი-ესბერგი | 1:1 დ.დ. 1:0 |
| ოლბორგი-ჰვიდოვრე | 6:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-პოპრადი | 2:2 ბულ. 1:0 |
| მარტინი-სლოვანი | 2:5 |
| სკალიცა-ზვოლენი | 2:5 |
| სლოვაკეთი (U20)-ნიტრა | 3:0 |
| ტრენჩინი-ნოვა ვესი | 4:1 |
| კოშიცე-მიკულაში | 8:2 |
| **ფინეთი** | |
| კერპეტი-კალპა | 2:2 |
| პელიკანსი-ილვესი | 4:1 |
| სეიპა-ჰიფკ | 5:2 |
| ტაპარა-ჰპკ | 3:4 |
| ტპს-კიეკო | 4:3 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ბუენოს აირესი** | |
| ფერერი-ფერერო | გვიან დასრულდა |
| **ATP. მარსელი** | |
| ცონგა-ბენეტო | 6:7, 7:5, 6:7 |
| ლოდრა-ზვერევი | 6:1, 7:6 |
| ლოდრა-ბენეტო | 6:3, 6:4 |
| **ATP. მემფისი** | |
| ისნერი-პეტცშნერი | 7:5, 4:6, 6:3 |
| კუერი-გულბისი | 6:3, 6:4 |
| კუერი-ისნერი | გვიან დასრულდა |
| **WTA. ბოგოტა** | |
| დულკო-კერბერი | 5:7, 3:6 |
| პარა სანტონხა-დუკე მარინო | 4:6, 5:7 |
| კერბერი-დუკე მარინო | 4:6, 3:6 |
| **WTA. დუბაი** | |
| ვ. უილიამსი-აზარენკა | 6:3, 7:5 |
| **WTA. მემფისი** | |
| შარაპოვა-არვიდსონი | 6:2, 6:1 |

TV პროგრამა

**22 თებერვალი. ორშაბათი**

**I არხი**

12:30 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ვანკუვერი. კანადა.
18:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ვანკუვერი. კანადა.
21:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. კაცები. ვანკუვერი. კანადა.
22:00 არენა - სპორტული პროგრამა.
01:30 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ტრამპლინიდან ხტომა. HS140. გუნდური. ვანკუვერი. კანადა.
05:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ფიგურული სრიალი. ცეკვა. თავისუფალი პროგრამა. ვანკუვერი. კანადა (LIVE).

**რუსთავი 2**

00:00 საფეხბურთო ღამე.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ხეტაფე (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

23:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. კაიზერი-სანკტ პაული (LIVE).

**EUROSPORT**

20:30 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ტრამპლინიდან ხტომა. HS140. გუნდური. ვარჯიში. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
22:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ტრამპლინიდან ხტომა. HS140. გუნდური. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
01:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. თხილამურებით რბოლა. გუნდური სპრინტი. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
05:45 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ფიგურული სრიალი. ცეკვა. თავისუფალი პროგრამა. ვანკუვერი. კანადა (LIVE).

ცურვა

# ფელპსი ლონდონის მერე წავა

ლონდონის ოლიმპიადა ბოლო იქნება ლეგენდარული ამერიკელი მოცურავის **მაიკლ ფელპსის** კარიერაში. ამის შესახებ 14-გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვანკუვერში განაცხადა, სადაც ამერიკელი ოლიმპიელების გასამხნევებლად ჩავიდა.

*„მე უკვე ვუთხარი საკუთარ თავს: 30 წლის შემდეგ ცურვას თავს დავანებებ. გამოდის, რომ ლონდონის თამაშები ჩემთვის უკანასკნელი იქნება. თავად ოლიმპიადაზე საკუთარი გეგმების შესახებ ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია. ერთი რამ ზუსტად ვიცი: რვა დისტანციაზე არ გავცურავ"*, - ამბობს ფელპსი სააგენტო „როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

მაიკლის სიტყვებით, კარიერის დასრულების შემდეგ ის ბავშვებთან იმუშავებს ცურვის სკოლებში, რომელიც ფელპსმა ამერიკაში გახსნა.

*„ბედნიერი ვიქნები, თუ რომელიმე ბავშვს ოცნების ასრულებაში დავეხმარები. სიტყვებით ვერ აღვწერ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამას ჩემთვის"*, - განაცხადა ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანმა სპორტსმენმა.

# ავსტრიამაც გაიხარა

სწრაფდაშვების შემდეგ მამაკაცების სუპერგიგანტისგან საინტერესო შოუს ელოდნენ. აქ რთული იყო აშკარა ფავორიტის დასახელება. **კარლო იანკა, დიდიე კუში, მიხაელ ვალჰოფერი, დიდიე დეფაგო, ბენიამინ რაიხი, აქსელ ლუნდ სვინდალი** და კიდევ რამდენიმე მოთხილამურე ფიგურირებდა ოქროს პრეტენდენტთა სიაში.

მაგრამ ოლიმპიადა სწორედ იმით არის გამორჩეული, რომ ხშირად ის სიურპრიზს გვთავაზობს. მესამე ნომრად აილო სტარტი ნაკლებად ცნობილმა ამერიკელმა **ენდრიუ ვაინბრეხტმა.** აქამდე მსოფლიოს თასის ეტაპებზე მისი საუკეთესო შედეგი მეცხრე ადგილი იყო და ბუნებრივია, ვაინბრეხტისგან ბევრს არაფერს ელოდნენ. ამერიკელმა დისტანცია უშეცდომოდ გაიარა და როგორც აღმოჩნდა, კარგა ხნით იგდო ხელთ ლიდერობა. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ საბოლოოდ ენდრიუ პოდიუმზე შეძლებდა ასვლას.

ვაინბრეხტის დრო მისმა თანამემამულემ **ბოდე მილერმა** გააუმჯობესა. გენიალურმა და უდისციპლინო ამერიკელმა მხოლოდ სამი მეასედი წამით აჯობა თანაგუნდელს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც რთული იყო იმის წინასწარმეტყველება, რომ ბოდე ვანკუვერში მეორე მედალს მოიპოვებდა, რადგან უძლიერესთა ჯგუფის წევრების შემდეგ გადიოდნენ ტრასაზე.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ კანადური რბილი თოვლი ევროპელებს ბევრ პრობლემას უქმნის. უჩვეულო პირობებს მხოლოდ ნორვეგიელმა **აქსელ ლუნდ სვინდალმა** აუღო ალღო. დისტანციის პირველი ნაწილი ნორვეგიელმა საკმაოდ მშვიდად, რისკის გარეშე გაიარა, სამაგიეროდ, ქვემოთ მოუმატა ტემპს და შედეგად მილერს ერთბაშად 28 მესამედი წამით მოუგო, რაც დღევანდელი კონკურენციის პირობებში დიდი უპირატესობა იყო.

რა მოხდა ამის შემდეგ? ავსტრიის ნაკრების მორიგი კრახი - **მიხაელ ვალჰოფერმა** და **ბენიამინ რაიხმა** ვერ დაამტკიცეს მაღალი კლასი. კანადელმა **მანუელ ოსბორნ-პარადიმ** ისევ ვერ დაასრულა დისტანცია, **დიდიე კუშმა** მორიგი სასტიკი მარცხი ინვნია...

შედეგად, სვინდალმა ოქროს მედალი მოიპოვა და ნორვეგიას ზამთრის თამაშების ისტორიაში საიუბილეო - მე-300 მედალი მოუტანა. პოდიუმის დანარჩენი ორი საფეხური ამერიკელებისა იყო.

■ ■ ■

მეორე დღეს იმავე დისციპლინაში ქალებმა გაარკვიეს გამარჯვებული. სუპერგიგანტი ჩქაროსნული სახეობაა, შესაბამისად, აქ პირველ რიგში სწრაფდაშვების ჩემპიონის **ლინდსი ვონის** პირველობას ელოდნენ. შემდეგ მოდიოდა სუპერკომბინაციის ტრიუმფატორი, გერმანელი **მარია რიში,** მიუხედავად იმისა, რომ სუპერგიგანტი წელს მას მაინცდამაინც არ გამოსდის.

როგორც წესი, სამთო-სათხილამურო სპორტში უძლიერესთა ჯგუფის გამოსვლა მე-16 ნომრიდან იწყება. ფავორიტებიდან სწორედ რიში გავიდა პირველი ტრასაზე და ლიდერი გახდა. გერმანელის დრო შემდეგმა მონაწილემ გააუმჯობესა. ეს გახლდათ ავსტრიელი **ელიზაბეტ გიორგლი,** რომელიც იმ დღეს 29-ე დაბადების დღეს აღნიშნავდა. კარგი იქნებოდა მას საკუთარი თავისთვის მედალი ეჩუქებინა, მაგრამ არ გამოვიდა.

ჯერი ლინდსი ვონზე მიდგა. ამერიკელს ბრწყინვალე დასაწყისი ჰქონდა და ძალიან დიდი უპირატესობით გაასწრო გიორგლს, მაგრამ მეორე ნაწილში მცირე შეცდომებმა ლინდსის ბევრი დრო დააკარგვინა. მართალია, ვონი დაწინაურდა, მაგრამ აშკარა ფავორიტად აღარ მიიჩნეოდა.

ტრასაზე **ანდრეა ფიშბახერი** გავიდა. ავსტრიელ გულშემატკივრებს შესანიშნავად ესმოდათ, რომ ის მათი ბოლო იმედი იყო, თანაც ანდრეა სწორედ სუპერგიგანტშია ძლიერი. ფიშბახერმა ძლიერად დაიწყო და როგორც აღმოჩნდა, ოქროს მედლისკენ მიქროდა. ავსტრიელი ერთადერთი იყო იმ დღეს, ვისაც ტრასაზე შეცდომა არ დაუშვია. მომავალმა ჩემპიონმა იდეალურად შეარჩია ტრაექტორია, ყოველ მეტრზე ზრდიდა უპირატესობას და თითქმის წამი მოუგო ვონს.

ეს უკანასკნელი აშკარად გაკვირვებული ჩანდა, მაგრამ კიდევ უფრო გაოცებული დარჩა მაშინ, როცა უძლიერესთა ჯგუფის ბოლო მონაწილემ - სლოვენიელმა **ტინა მაზემაც** გააუმჯობესა მისი დრო, ვონს ისღა დარჩენოდა, ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილებულიყო.

ფიშბახერმა პირველი ადგილი მოიპოვა და ავსტრიის ძლიერ ნაკრებს პირველი ოქრო მოუტანა. ეს დროული გამარჯვება იყო, თორემ ავსტრიული პრესა უკვე უმოწყალოდ აკრიტიკებდა სამთო-სათხილამურო სპორტის იქაურ ვარსკვლავებს.




**სუპერ-გიგანტი. კაცები**

1. **აქსელ-ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 1:30,34; 2. **ბოდე მილერი** (აშშ) - +0,28; 3. **ენდრიუ ვეიბრეხტი** (აშშ) - +0,31; 4. **ვერნერ ჰილი** (იტა) - +0,33; 5. **ერიკ გუი** (კან) - +0,34; 6. **კრისტოფ ინერჰოფერი** (იტა) - +0,39...

**სუპერ-გიგანტი. ქალები**

1. **ანდრეა ფიშბახერი** (ავსტრია) - 1:20,14; 2. **ტინა მაზე** (სლოვენ) - +0,49; 3. **ლინდსი ვონი** (აშშ) - +0,74; 4. **იოჰანა შნარფი** (იტა) - + 0:85; 5. **ელიზაბეტ გიორგლი** (შვეიც) - +1:00; 6. **ნადია შტიგერი** (შვეიც) - +1:11...

**გია თვალაბეიშვილი**







